ჩვენი თეატრი

2

თბილისი
1939

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სამჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური ორგანო

19 448

2

სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი
1939 წელი. თებერვალი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სამჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური ორგანო

19 ᲙᲐ 878

2

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
1939 ᲬᲔᲚᲘ. ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

შინაარსი

გვ.

მხატვრული ლიტერატურა

გ. კალანდაძე — გაზაფხულის წვიმა წითელ მოედანზე 3
შალვა ამირხულაშვილი — მეგობრობა . . 4
ვიქტორ გაბესკირია — ზამთრის პეიზაჟები . 6
გაბრიელ ჯაბუშანური — ბალადა მესაზღვრეზე 8
ლადო ბალიაური — სტუმარი 9
ანდრო თევზაძე — ჩანჩქერები 38
კლავდია დევდარიანი — დაიგვიანა . . 39
ნიკოლოზ გუნია — ლექსები კოლხეთზე . . 43

კრიტიკა

შ. იმნაძე — ილო მოსაშვილი 45

კონსულტაცია

პანტელეიმონ ჩხიკვაძე — ერთი მაგალითი . 52
ვლად. ჯიბუტი — ჩარლზ დიკენსი . . 58
გ. მებუკე — ივანე მაჩაბელი . . 59
დ. შ. — ოვანეს თუმანიანი 62

ბიბლიოგრაფია

მკითხველი — აკაკი ბელიაშვილი—ახალი მოთხრობები — „ფედერაცია“, 1938 წ. . 63

პასუხისმგებელი რედაქტორი **ირაკლი აბაშიძე**
პასუხისმგებელი მდივანი **ნიკოლოზ აბიაშვილი**

წარმოებას გადაეცა 14/II-39 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/III-39 წ. ჟურნალის ზომა 6½ × 11, ქაღალდის ზომა 72 × 105. ფორმების რაოდენობა 4. შეკვეთის № 408. მთავლიტის რწმუნებულის № ხ — 3805. ტირაჟი 4000.

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ჟორესის ქ. № 5.

ზ. კალანდაძე

გაზაფხულის ნვიმა წითელ მოედანზე

დღემ მაისის მზე ჩამოატარა,
დედაქალაქის ცა იყო წყნარი;
მაგრამ, სად იყო, უცებ, სად არა,
ქალაქში გაჩნდა ძლიერი ქარი.

შავი ლრუბლები წამოგვაყარა,
გარდაქმნანის გვიჩვენა ძალა,
გაშალა ფრთები, დაჰკრა ნალარა
და გაეჯიბრა ხმაურში ქალაქს.

შემდეგ ასწია ნისლის ნაკეცი
და ქვაფენილზე გაჩალდა ცეკვა.
ელვა-ქუხილის ლურჯი ნაკვესი
კრემლის ვარსკვლავებს გაება ძეწკვად.

იქუხა — გაწყდა, გაება — ვუცქერ,
და ასფალტებზე წავიდა ღვარი,
მაშინ თბილისელს რა მეთქვა უცებ?!
ვთქვი: „შემოვარდა მოსკოვში მტკვარი!“

მაგრამ თანდათან გამოიდარა,
კრემლის საათზე ვითვლიდი წამებს,
ქარმა დაუშვა დაბლა კითარა
და შემოვიდა მაისის ღამე.

მაშინ აენთო კრემლზე ლალები,
ძეგლად დაედგა ბრწყინვალე ალაგს;
და უბრწყინვალეს ყველა თვალების
ბელადის თვალი გასცქერდა ქალაქს.

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲐᲛᲘᲡᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

1938 წ. 11 დეკემბერს, ქ. მოსკოვში მოეწყო ახალგაზრდა მწერლების კურსკონფერენცია. სხვა რესპუბლიკებთან ერთად მონაწილეობა მიიღო საქართველომაც.

ჩვენ არ აგვისხამს ტანზე აბჯარი,
არც აგვიმართავს დაშნები სამტროდ;
ჩვენ მოვიტანეთ სიტყვის ხანძარი
და სამეგობრო სიმტკიცე მარტო...
მაშ, გადავკოცნოთ ერთიმეორე...
მოწმე იქნება დიადი კრემლი;
კრემლის კედელთან სძინავთ მეომრებს,
ლიმილი მოსწონთ, არ იყოს კრემლი!
ვიხაროთ, ძმებო, სტალინის დროშას
არ უყვარს მტრობა ჟამგადასული;
ჩინგისხანური ყიჟინა მორჩა,
ქვეყნად მოვიდა სხვა გაზაფხული!..
ვიხაროთ, ძმებო, ჩვენი ქართულიც
ლაე თქვენს ხმებში რეკდეს ნიადაგ,
შიგ არაგვია გამოსახული,
მხრის გაშლა იცის არაგვიანმა!
თუ არ ჰყოფილხართ ოდესმე ქართლში,
წამოდით, ნახეთ ოქროს აკვანი,
რომ ჯუღაშვილის ბავშვობის აჩრდილს
თან ახლდეს მუდამ თქვენი თაყვანიც...
წამოდით სტუმრად, მომავალ მგოსნებს
გადაგეშლებათ ალალი სუფრა!..
აღარ ატყვია ტრამალებს, ბორცვებს
საუკუნეთა ველური სუნთქვა...
მოდის, მოშხუის ჭაღარა მტკვარი,
მოუტაცნია ლიახვის ტალღა;

დგანან კლდეები და როგორც ჭარი,
წნორების შუქი ტრიალებს მაღლა...
ჩვენ აქ ვართ, მაგრამ, — ქართლის ბუნებას
იქ ესმის ჩვენი გულების ფეთქვა;
იგი არადროს არ ილრუბლება,
ზეიმობს მარად მოსკოვთან ერთად.
ჩვენ, მეგობრებო, ერთი მზე გვაწრთობს,
თავს დაგვჩხრიალებს ლალების ჩქერი;
ჩვენ სტრიქონებზე სტრიქონებს ვაწყობთ, —
რომ ავამაღლოთ სამშობლოს ბჭენი...
და როცა საქმე ხმალზე მიდგება,
მოგვდგამს ჯილაგი მამაპაპური.
მოვიდეს მტერი, როგორ იქნება
არ დავცეთ გულმკერდგადაფატრული!..

ვიქტორ გაბეხკირია

ზამთრის პეიზაჟები

I

ათოვს მთის ღელეს, ქარი ქრის ხევზე, —
ათოვს ხეებზე ატანილ ჩალას;
მარტო ზის, სოფლის ბოლოში, ხეზე
ყვავი — ყვანჩალა.

თოვაში მშვიდი შებინდების დროს
უახლოვდება განაბულ სოფელს.
ათოვს ალვის ხეს, საყანე მინდორს
და წნელის ღობეს.

II

დადუმებულა მთისძირის ხევი,
დამშრალა წყარო, აღარ ხმაურობს.
გაძარცულ ხეებს შემოხვევია
ხავსი და სურო.

როგორც სიმები გაბმული ქნარზე, —
ბუჩქზე სხივები გაუბამს ნიავს,
და იქვე ობლად, დათოვლილ ნარზე
ჩამომჯდარია ჩიტი ნიბლია.

III

დათოვლილია მთის კალთა, ველი,
მთვარე მიდამოს მკრთალ სინათლეს ფენს.
სერზე შემდგარი მშიერი მგელი
დაჰყურებს სოფელს.

ზვერავს მიდამოს, უცებ გაბედა —
დაეშვა, თოვლში იფლობა მკერდით.
ზოგჯერ შეკრთება, მაგრამ იმედად
ჩრდილი ყავს გვერდით.

მოსჩანს სინათლე მისი გამრთობი
სოფლის ბოლოში, მაგრამ, უეცრად
თეთრ ბუჩქებიდან გავარდა თოფი
და ტყის ნადირი თოვლზე დაეცა.

ბედს დამორჩილდა, არსად იჩქარის,
ისევ სიჩუმე და ისევ თოვა...
მაგრამ ჩრდილი კი, ჩრდილი სად არის,
რად მიატოვა?..

ᲖᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲯᲐᲑᲣᲨᲐᲜᲣᲠᲘ

ᲑᲐᲚᲐᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲖᲔ

„—...ნუთუ ჩაქრება ელვარე დღე... მზის ღიმილიცა... —
სამშობლოს დარაჯს დღეს სიკვდილი შემოგაძლიეს, —
შენ ერთი იყავ სიმრავლით გძლიეს
და განგმირული დაეცი მიწას.

ო, შენი ხელი — შემართული ხიშტისდაგვარად,
ო, შენი ხელი — შეუხრელი, ცივი ხდებოდა.
იქ მიჯნა მტრისგან. ილახებოდა,
ვინც ვერაგულად სისხლი დაღვარა.

„—ეჰ, დიდო მზეო... გშვენის მარად ეგ ამაღლება...
რა იქნებოდა, ჩემთვის ჯანი რომ გეთავაზნა...
მხოლოდ მცირე ხნით... ეს ათი ვაზნა...
მერე ჯანდაბას... არ მენაღვლება!..“

საზღვარს გადმოდის თეთრი ნისლი ტანათქვირული,
ნისლს უტევს ქარი, შვენით შეხლა მამაც მეომრებს.
უცებ თოფის ხმა!.. ერთი... მეორე...
და შეძახილი გულგანგმირულის...

„—ჩვენები დახვდნენ...“ ჩურჩულებენ თრთოლვით ბაგენი,
ქრება ნაღველი — მოწოლილი სიმარტოეთი.
შენს წინ მზიური სდგას საბჭოეთი,
წყნარობენ ველნი მოციაგენი.

„—მზე იწვერება მთის თხემიდან სხივების მჩენი,
მომაკვდავს მისი ელვარება კვალად გალაღებს,
მხოლოდ შენს სისხლში მოსვრილ ბალახებს
ესმით ხმაჩუმი სიმღერა შენი.

ლადო გალიაური

სტუმარი

„სტუმრის მოისას მზე მოგა,
წაისეს — შავი ლურბელი“...

. . . . . .

„ნუ წახოლ, კარგო სტუმარო,
თუ წახოლ, თან წამიყოლე“.

ხალხური.

თავი პირველი

ანდაქურმა ქარმა მძლავრად ამოისუნთქა, ფიფქი თოვლი ასწმინდა დედამიწას და სახეში შეაშალა იდუმლად შემოპარულ მწუხრს. ბინდი დააწვა გორგურებს და თეთრ საბანწამოსხმულმა მთებმა ყინჩად ჩასთვლიმეს უკუნეთში. სალ კლდეზე არწივის ბუდესავით მიკრული სოფელ შატილში ცეცხლის სინათლეები აციმციმდა. სამამაცოს სკამზე ნაჯდომმა ხევსურმა მამაპაპური ფანდურის ლარებს ჩაჰკრა ხელი და წინაპართ გმირობას უმღერა... უმღერა, მაგრამ ივი სიმღერა კი არა, ბღავილი იყო, ვაჟკაცის საშინელი ბღავილი... მძლავრმა ხმამ გაჰკვეთა უკუნეთი, გაიჭრა შორს, შორს სიბნელეში, დაიმსხვრა, დაქუცმაცდა, შეუერთდა ბუნების იდუმალ ხმაურს და არღუნის ღმუილში ჩაიხჩო. მისწყდა სიმღერა. დადუმდა შატილი. ფიქრს მიეცნენ მრავალი ტანჯვის მოწმე ქავციხენი... უცბად მგზავრები გაჩნდნენ სოფლის ბოლოზე, შატილის გალავანს შემოჰყვნენ და ჯალაბაურის კოშკს მიაშურეს...

— ჰეი!.. მასპინძელო, გარეთ გამოდი, ხვთის მადლს!.. ქისტი მუსა დგას შენს კარებზე და გელოდება!

— ჰაი, ჰაი, სტუმარი ხვთისაა!.. რამდენ სტუმრისთვის გაღებულა ჯალაბაურის კოშკის კარი. რამდენ სტუმრისთვის გადმოუდგამს ჯალაბაურის დიაცს ტაბლა, მაგრამ მტერი კი... ქისტო, ღალატი არ იყოს! ქვეყანა არეულია, ძაღლი პატრონს ვერა სცნობს, ძმა ძმას აღარ ენდობა, ყველა ავკაცობაზეა დამდგარი და...

— არა, არა! — ალახს ფიცავს მუსა, სტუმრად მოსულა, ერთიც გურჯი მოუყვანია ამხანაგად... გააღე კარები, ალახის მადლს!.. მუხოურთ ყმაწვილი გეხვეწება, მუხოს შვილი, ბაბო ჯალაბაურო!..

ბაბო ჯალაბაური შურთხივით ფრთხილია, სოფელში აუგს ვერ დაიდებს: რამდენჯერ შემოპარულა შატილს ლაშქარი მეგობრობის სახელით... ოგი სათოფურიდან გაუჭვრეტს კარზემომდგარ მგზავრს, ჩაფიქრდება და...

— ყმაწვილო, გაული კარი! — ამბობს ბაბო, შუბლშეკრული დინჯად ჯდება ტახტზე.

ბალღი კარებს გააღებს, კოშკში სტუმრებს შემოუძღვება. ყმაწვილს მოსდევს სახეალეწილი ქისტი მუსა და ერთიც დახარებული ვაჟკაცი, არწივისებური ცხვირი და ჯიხვის რქასავით დაგრეხილი ულვაში რომ ამშვენებს...

— აშენება შენი, ბაბო ჯალაბაურო! — ამბობენ ერთხმად სტუმრები.

— დამიმშვენდით, ვაჟნო!.. მობრძანდით, თქვენი ჭირი ბაბოს! — დინჯად და მედიდურად პასუხობს ბაბო. სტუმრებს თვალით ზომავს და გულში ღიმილი ჩაეღვრება...

— კარგი სტუმარი გულს გაახარებს!..

— სიხარული დაგილოცოს ალახმა, ჯალაბაურო!..

— შუბლგახსნილი მასპინძელი საამოა, ხევსურო!..

— ლამაზ ქართული მესმის, ყმაწვილებო!

— დიაღ!.. თქვენი ძმა არის, თქვენი, ქართველია, — ხაცბუცობს მუსა.

— ცუდი ამბავი თუ რამ დაგატყდათ თავზე?!.

— ბარში ბრძოლის ქარცეცხლი ტრიალებს, ბაბო!

— ქარცეცხლს ქარცეცხლით პასუხობენ, ვაშკაცებო!.. — ამბობს ხევსური და უგემურად ილიმება. კუთხეში ნადგომ ყმაწვილს გადახედავს, უმცროსი მიხვდება მოხუცის წადილს: ცეცხლზე შეშას წამოურთავს, საწყლეს მოარბენინებს, ბოსელში შევარდება და ჯალაბს სტუმრების მოსვლას ახარებს:

— სტუმრები მოვიდა, დედი!

— სტუმარი ხვთისაა, სიხარულო!..

— უცხოები არიან: ქალაქით მოვედითო!..

— სტუმარ ქალაქელობით არ დაიწუნების!

— სტუმარ ჯალაფთ გაამხიარულებს!

ამბობს ჯალაბაურის ხიზანი და იდუმლად იჭვრიტება სტუმრებისაკენ. გახურებული ცეცხლი გიზგიზებს კერაზე, და სახლის ჭერიც კი იცინის, ჭერი სტუმართად მაცქერალი.

თავი მეოთხე

— ვაჟნო, შავზამთარ ბადეთ რად იარებით, რაისად გარჯილხართ?! — იკითხა ჯალაბაურმა, როდესაც სტუმრები შეთბნენ და თავისუფლად ამოისუნთქეს.

— საქმე ბევრია ქვეყანაზე, ჯალაბაურო! — უპასუხა მოუთმენელმა მუსამ და ამხანაგს ისეთნაირად გადახედა, თითქოს ეკითხებოდა: უმხელ თუ არა ჯალაბაურს შენს მიზანსო.

— ჩვენ რუსეთიდან წამოსულები ვართ, საქართველოსკენ მივდივართ, პატარა საქმე გვაქვს დავალებული, ბაბო, — თქვა მერე სტუმარმა ცოტახნის სიჩუმის შემდეგ. ბაბო მისკენ შემოტრიალდა და სტუმარს გამომწვევი კილოთი უთხრა:

— ცოტაის საქმის გულისად ამდროს ხალხი მთებზე არ დაიარება, სიკვდილს თავს არ მისცემს: საშიშია შატილის გადასავალი, იქ ახლა მხოლოდ მშიერი მგლები დაეძებენ სალუკმოს, თოვლის ზვავები დედამიწას ანდგლევენ, სიცივე ქვას ხეთქს და დელგმა-ქარბუქი კლდეს აატირებს.

— არწივს არცერთისა ეშინიან! — იცინის ჭისტი.

— ეგ მართალია, მუხოურო, მაგრამ...

ხევსური ჩაფიქრდა. გვერდზე ნაჯდომ სტუმარზე შეჩერდა მისი თვალები. შავწვერულვაშიანი ვაჟკაცი ცეცხლის ალს მისჩერებოდა, ნალველი რამ ემჩნეოდა ოდნავ მოლუშულ სახეზე, მაგრამ როგორც ჩანდა, ცდილობდა მასპინძლისთვის არ შეემჩნევინებინა. ბაბომ თვალი ვერ მოაშორა სტუმარს: მისმა გმირულმა იერმა ანდამატივით მიიზიდა ხევსურის გული, მისი ძმობა რადმე მოსწყურდა ჯალაბაურს, საამო გრძნობამ ულიტინა გულში და მოეჩვენა, თითქოს ახლა კი არა, მთელი წლობით მჯდარა მის გვერდით... ველარ დაფარა ბაბომ და პირდაპირ ჰკითხა სტუმარს:

— ვითამ მეცნაურები, სტუმარო, სადაური იქნები, რა გქვიან?!.

— დასავლეთ საქართველოდან ვარ, ბაბო, იმერელი, სერგოს მეძახიან.

— შორი მხრიდან ყოფილხარ... მე იქ არსად მივლია, იმერლები კი ბეთილები გამიგონიან, — ჩაილაპარაკა თავისთვის ბაბომ და ჩაფიქრებით დაუმატა: — საქართველო დიდია!.. იმერელს ხევსურისა არა გაეგების, ხევსურს — იმერლისა, მხოლოდ გული სწვდება ერთიმეორეს, სიყვარულს სიშორე ვერ იჭერს, ახლა იმერელიაო საქართველოს ბატონი: ქარუმიძე დროებით მეფობსო, მეუბნებიან, ქართველებს მეფე ერეკლეს შვილიშვილი გამოუწვევიათ უცხო ქვეყანაჩიგით სამეფოდ.... ნეტამც გამეფდებოდეს ბაგრატიონი!..

— მეფე უნდა მოისპოს ქვეყნიდან, ბაბო: ახლა სხვა ხანა დადგა — ხალხმა თავათ უნდა განსაჯოს თავის საქმე, ხალხი უნდა გათავისუფლდეს ტანჯვისგან...

— მეფე ღმერთს გაუჩენიაო, სტუმარნო...

— რუსეთის ხალხს მეფე აღარა ჰყავს: ერთობა მყარდება, ჯალაბაურო, — იცინის მუსა.

— ერთობა რახლად იქნების!.. ერს ერობა უნდა ეტყობოდეს, კაცთ — სიმდიდრე!..

— მშრომელნი თავისუფლებას მოიპოვებენ, ბაბო, მზე ქვეყნად ჩამობრძანდება, ერს ერობა დაეტყობა, ერი აყვავდება, თავისუფლად ამოისუნთქავს, რჩეულნი გამრავლდებიან, დედამიწაზე ოქროს წყარონი იდენენ, სილაღე და სიმხიარულე დამყარდება კაცთა შორის!..

— ბაბოს ბევრი სმენია სიმშვიდის შესახებ, მზეო სერგო, ბევრი სტუმარი სტუმრებია ჯალაბაურის კოშკს; ამ კერაზე მჯდარა ერთ დროს საქართველოსთვის თავდადებული ალექსანდრე ბატონიშვილი, მწვავე ფიქრები გადაუდულებია გონებაში და იმედის მრავალი ციხე აუშენებია. აქ უმსჯელნიათ შამილის ნაიბებს საჩეჩნეთის ბედზე, მაგრამ ტანჯვის მოწმე გამხდარა შემდეგაც ეს ჩახავსებული ქვები...

— ჩვენსა და მათ შორის განსხვავებაა, ბაბო ჯალაბაურო: ჩვენ ბოლშევიკები ვართ, მშრომელი ხალხისთვის გვსურს სიკეთე. ხომ ხედავ, რა გაჭირვებით დავიარებით; არ ვერიდებით არც იდუმალ ტყვიას, არც გალესილი ხმლის ფხას, არც სუსხიან სიცივეს, მხოლოდ იმისთვის, რომ მშრომელი ხალხი გათავისუფლდეს ტანჯვისაგან, სიმშვიდე დამყარდეს ქვეყნად. შენ თავათ თქვი წელან, ბაბო: ქვეყანა არეულია, ძმა ძმას არ ენდობაო. ჩვენ ვიბრძვით ქვეყნის საკეთილდღეოდ, ამიტომ მივდივართ საქართველოშიც: ახალი მზე უნდა ამოხდეს, რომლითაც გავთბებით ყველანი... მაშინ აყვავდება ერი, მაშინ აღსდგებიან ჩაგრულნი...

— ნეტამც მაგას მოვესწრობოდეთ, მზეო სერგო!.. — ინატრა ჯალაბაურმა და კიდევ რალაცაში უნდა გამოსდავებოდა სტუმარს, მაგრამ ამდროს კარები გაიღო: ჭაბუკები შემოვიდნენ — ტაბლაზე დაწყობილი ხინკლები, გაცხელებული რძე, ერბო, ლუდ-არაყით სავსე ქვაბები და ფანდური შემოიტანეს. მოწიწებით დადგეს სუფრა ბაბოს წინ — ოჯახის უფროსს პატივი დასდვეს, სტუმრები ტაბლაზე მიიპატიჟეს, რამდენიმე ნაბიჯით — დაიწიეს უკან, — სამამაცოს ჩაჯარდნენ ფეხზემდგომნი, ქუდმოხდილები და სიმღერა თქვეს:

„სტუმრებო, სტუმრების მზესა,
უსტუმროდ არც რა ლხინია,
უსტუმროდ პური, სასმელი
ვის უამს, უამურია!“

დაიძახა ერთმა ჭაბუკთაგანმა, მეორემ ბანი მისცა, მესამემ იგივე სიტყვები გაიმეორა, მეოთხემ ჯიხვის რქის ყანწი აავსო შავი ლუდით და სერგოს წინ მუხლზე დაჯდა. სტუმარს ღიმილი შეუთამაშდა სახეზე და თასი გამოართვა...

„თქვენსა მოსვლაზე მზე მოვას,
თქვენ წახოლთ, შავი ღურბელი“!

განაგრძობდა სიმღერას მომღერალი, დანარჩენები ბანს ეუბნებოდნენ. სტუმრები ვახშამს შეექცეოდნენ. მთელი კოშკი იცინოდა, იმღეროდა, ცეკვლები ჟღერდა ფოლადის ხმით და გულში იცინოდა ბაბო ჯალაბაური: უმცროსების თავაზა ახალისებდა, სტუმრებისთვის პატივისცემა ახარებდა. სიმღერითა და ხალისით იცლებოდა ლუდიანი თასები. ბოლოს მომღერალი ბაბო ჯალაბაურის წინ დადგა, მორცხვად დახარა თავი და ნელი ხმით უმღერა უფროსს:

„ბერო ბერობას ნუ სჩივი,
მოკლებას თვალებისასა!..
ეცადე — ჭკვაგონებასა,
რიგებას თემსოფლისასა!..“

ეს სიტყვები რამდენიმეჯერ იქნა განმეორებული მომღერალთა მიერ. ბაბო ჯალაბაური ფეხზე ადგა:

— დიდხანამც იმღერთ კაის გულით, ყმაწვილებო!... — თქვა მანტკბილად, მშობლიური გრძნობით და ფეხზე ნადგომმა დაცალა სასმისი. მადლი გადაიხადა, ზედამდეგს თასი დაავსებინა, სერგოს წინ დადგა, ლუდიანი ყანწი მიაწოდა სანუკვარ სტუმარს და ჭაბუკებთან ერთად უმღერა:

„შენთან გვეწადა, არწივო,
სმაჭამა, ლხინი გრძელია;
რა უდარობა დაგვიდგეს,
ჩაგვაფარნიდით თბენია!..“

გრძელდებოდა ვახშამი. ყველა მხიარულობდა, მაგრამ ერთი ჭაბუკი შუბლშეკრული იდგა სკამის ბოლოს, ფეხი-ფეხზე გადადებული, ხანჯარზე ხელი დაედო, მწყრალად იჭვრიტებოდა: მუსას და სერგოს თავიდან ფეხებამდი ათვალიერებდა; მუსას ვერცხლითმორთული მაუზერის ხილვა უცნაურ ჟრუანტელს ჰგვრიდა... ბაბოს უკრთოდა, ქისტის სიმარტოვეს ნატრობდა. მალიმალ მიუდიოდა ხელი იარაღისკენ, მაგრამ თავს ძალას ატანდა. სიბნელეს იფარებდა. ეს ახალგაზრდა გახლდათ ლეკო ჯალაბაური, კოჭნაობასა და ფარიკაობაში ცნობილი, წაწალმრავალი და ათასჯერ ლექსით ქებული. სამოცი ჭრილობა ჰქონდა მიღებული, — სამოცჯერ ეგემნა ხევსურის ხმლის ფხა. სამოცზე მეტი დაეჭრა, სიმამაცით სახელი მოეხვეჭა. მოუსვენარი იყო: მარადჟამს მთაგორებზე დაიარებოდა: ჯიხვებს ხოცავდა. ვაჟკაცებს ძარცვავდა, დიაცყმაწვილს ასაჩუქრებდა, ალაღებდა. ახლა, მაუზერის დანახვაზე, გულმა ალლო იგრძნო და ბნელი ზლართები აიბურდა მის გონებაში. ცოფმორეული უბღვეროდა მუსას, მაგრამ სერგოს გამოხედვა იმორჩილებდა. თავისკენ უხმობდა სერგოს შავი თვალები, კეთილის სხივს აყენებდა ბოროტებით სავსე ლეკოს გულში. სერგოს სიტყვა შაქარივით ტკბილი ეჩვენებოდა, იერი — მომხიბვლელი, ქცევა — ვაჟკაცური და უკვირდა ლეკოს: რაისად უნდოდა ამ კაცთან ახლოს ყოფნა, რაით ატკბობდა სერგო მის გულს... „ნეტამც არ ეტანას ასეთ ვაშკაცი ამ დუსურბანს!“ ბრაზობდა იგი...

ბაბო ჯალაბაურის მზერა არწივის თვალზე მკაცრი და შორსმჭვრეტელია; ლეკოს შეხედა და შეაკრთო. თავი დახარა მამაცმა ვაჟკაცმა; უხმოდ იდგა რამდენიმე ხანს და ოჯახის უფროსის თვალებში კითხულობდა: „ლეკო, გახსოვდეს ბაბო ჯალაბაური!..“ დიალამც ახსოვს ლეკოს ბაბო ჯალაბაური, მაგრამ.. ლეკოს საკუთარი სურვილი აქვს, წადილმა თავი აიწყვიტა, ნაქერალ ხვადივით ხელდება...

მგელი არ იწვრთნება, ბაბო ჯალაბაურო!.. იდუმლად ტოვებს კოშკს ლეკო და არშიასავით ჩავლებულ კიბეს ჩაჰყვება მშფოთვარე არღუნისკენ; ჩაჰყვება და ჩავს ჩადუდუნებს: „დღეს თუ არა, ეგ მაუზერი ხვალ ჩემი იქნება — სოფელს ხომ გასცდება სტუმარი, შუამთაზე დაუხვდება წინ“... არღუნის ნაპირებს უახლოვდება, შავს ღამეში ხახადაღებულ უფსკრულს გადაადგება თავზე — კლდეზე დაფეთებული მდინარის ღრიანცელი ატკბობს, მშიერი მგლის ყმუილი ახელებს და მის ველურ ინსტიქტს შვილივით იგუებს უკუნი ღამე, ღამე ქარიანი, თმაგაშლილი ქალივით რომ წარმოუდგენია ლეკოს. ტკბება ქარის აწყვეტილი კივილით, მრავალფეროვანი ჩქროთი და აქ, მარტოდ ხეტიალში, იოხებს იგი მოზღვავებულ წყურვილებს.

თავი მესამე.

კვლავ ლემადის ქარი დათარეშობს მთაგორებზე. ნამქერით ივსება შავი ულრანები, უზარმაზარი ვეშაპებივით რომ დაუღიათ ხახა. ელდელდად გამოჩნდებიან შატილის შავნი ქავციხენი, და ახლა ცეცხლის სინათლე მხოლოდ ჯალაბაურის კოშკის სარკმელში ციაგობს. ჭუდმოხდილი ჭაღარა ბაბო დგას კერის პირას, სამამაცოს და თავის სალოცავს — ანატორის ჯვარს ავედრებს შვილობილს და მის სახლში შემოხვეწილ სტუმრებს.

— ნუ მოიწყენ, შენს მადლს!.. უშველე, დიდი ანატორის სალოცავო!..—ამთავრებს ლოცვა-ვედრებას ხევსური და საუფროსოს ნადგომ ლოგინისკენ წავა. მოხუცმა ლომმა ძილი დააგვიანა — საყვარელმა სტუმარმა სერგომ ღამე გაუფატრა. რამდენი რამ გაიგო ბაბომ იმ ღამეს!.. ნეტამც დაუბრუნა ჯალაბაურს ახალგაზრდობა: წავიდოდა სერგოსთან და სამუდამოდ მისი მეგობარი გახდებოდა... ერთხელ კიდევ ააელვებდა ჯალაბაურთ ფრანგულს, მემრ გინდაც მომკვდარიყო. აღარ დაინანებდა... ძალლურად გდებას სიკვდილი ურჩევნია ჯალაბაურს: მოსწყინდა ხევსურს მუქთად გდება მთაში... სიმწარით ჩამოლია სიყმაწვილის დღეები და სიბერეშიც ვერ მოისვენა. ნეტამც, შვილო, ბოლოს მაინც რამე ეშველებოდეს.... ბაბო მწყრალად წვება ლოგინში და ქარიშხალივით აშლილი ფიქრები ლოდივით აწვება გულზე.

ჯალაბაურის კოშკში მარტო სერგო წევს, ბაბოს სანუკვარი სტუმარი... არ სძინავს მას: ოცნებით გადადის შორს, შორს სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვეულ თეთრების წინაალმდეგ; ამხანაგებს ებაასება და სახვალიო გეგმებს ისახავს: შატილის გადასავალი უნდა გადალახოს აოხებულ ქარბუქში...

ფიქრს კარის ხმაური შეუწყვეტს...

იქნება ქარი იყო?!.

ქარი კვლავ ქრის, აწყდება სიმაგრეს, მაგრამ დაჯახება სუსტია!.. კარებთან შავი ლანდი ატუზულა, დგას ქარბუქში და იცრიცება. აჩქარებულ სუნთქვას ინელებს. გულს იმორჩილებს. ფრთხილად შეეხება კა-

რის საკეტს და დინჯი ნაბიჯით გადახტება ზაბო ჯალაბაურის კოშკის ზღურბლზე; კერას მიუახლოვდება, ჩირაღს აანთებს და შემკრთალი, ერთი ნაბიჯით დაიწევს უკან. სერგოს მშვიდი თვალები უჭვრეტენ მას.

— რა ვნებავს?!. — შეეკითხა სერგო საამო ხმით. შეკრთა ხევსური, ენა დაება; სერგოსთან შეხვედრას არ ელოდა.

— დაბრძანდი! — უთხრა სერგომ და მახლობელ სკამზე მიუთითა. სიჩუმე დაწვა ქვიტკირში: თვალები თვალებს გაუსწორდა, ორი ვაჟკაცი ზომავდა ერთიმეორეს: მკაცრი, თოვლშიამოგანგლული, თოფიანალიანი ხევსური და ლომებრ მშვიდი და მძლავრი სერგო, სტუმარი უცხო ოჯახში!..

— შენი საქციელი უცნაურია, ჭაბუკო! — დაარღვია სიჩუმე სერგომ.

— უცნაურობა ეშმაკს დავულოცოთ, მე კი... ვაშკაცი ვარ!..

— ვაჟკაცობა ნუ მოგიშალოს!

— შენ სიკეთე, სტუმარო! შენფერი სტუმარი ნუ მოუშალოს ჯალაბაურთ.

— შენ თავათ ვისი გვარისა ხარ?!.

— მე ლეკო ვარ, ჯალაბაური...

— სად ყოფილხარ ამ სიცივეში?!.

— არლუნის ნაპირზე ვიარებოდი!

— მონადირე ხარ?!.

— მგლების ნახვა მსურდა...

— კარგი სროლა გეცოდინება!..

— ეგ ჯიხვებს ვკითხოთ სანადიროში!.. — თქვა ლეკომ და ორივე გაჩუმდა...

— კარგი ვაჟკაცი ჩანხარ, ლეკო, — დაიწყო სერგომ, — შენისთანა ვაჟები დიდად საჭიროა ჩვენთვის: ჩვენი ძმები ბარში ბრძოლის ქარცეცხლში არიან გახვეულები, შენ კი... ღამის წყვდიადში ჰკლავ ბრძოლის ჟინს... ისინი ხალხის თავისუფლებისთვის იბრძვიან, ერთი მებრძოლი ას მებრძოლად ულირთ, თუმცა ისინი მამაცები არიან, მაგრამ...

— სიმამაცე ვაშკაცის საქმეა, ალბათ კარგი იარაღიც ექნებათ. იმათ?!

— ო!.. ძალიან!.. შენ არა გაქვს კარგი იარაღი?!

ლეკომ თავი დახარა, არაფერი უპასუხა.

— აბა მიჩვენე, ლეკო შენი თოფი!..

— არა, სტუმარო. კარგი ხარ, მაგრამ „მშვილდ თავათ უნდა მთრეხელსა, ნაპირის ადგილისასა“..

— როგორც ჩანს, ძალიან გყვარებია!

— ვაზნები შემომელია ბოლო დროს, ნადირი ბევრია სანადიროში, ასროლი კი...

— მე გაჩუქებდი ვაზნებს, მაგრამ...

— ის დუსურბანი ქისტი რა იქნა?! იმას ბევრი ვაზნები ხქონდა.

— ბაბოს ოთახში იძინებს!

— მაუზერიც ხქონია!..

— დიალ!.. ის ყოჩაღი ვაჟკაცია, ჩემი ძმადნაფიცი... კავკავში შევხვდით ერთიმეორეს მტერთან ბრძოლის დროს და აი, სამი თვე იქნება, სულ ერთად ვართ.

— ნეტავინ იმას... — თქვა გულნატკენმა ლეკომ და უნებური ნათქვამი თავადაც გაუკვირდა.

— როგორ?!..

— ეხ... მომწყინდა კლდე-ღრეში ხეტიალი, წასვლა მინდოდა ბარში, წყურვილი რამ მაწუხებს...

— იქნება შენც გინდა ჩვენი ძმობილი გახდე?!.

— საკადრისი არა ვარ!.. — მორცხვად ჩაილაპარაკა ლეკომ, უნდოდა ვაზნა ამოეღო, გადაეგდო სერგოსთვის — ძმობა ეთქვა, მაგრამ უცბად შეკრთა: მუსას მაუზერი გაახსენდა. მუსა ხომ ძმადნაფიცი იყო სერგოსი!.. სწრაფად დატოვა ლეკომ კოშკი და ბოსელში შევარდა.

„უცნაური ყმაწვილია!“.. სთქვა სერგომ და საკუთარ ფიქრებს დაუბრუნდა.

თავი მეოთხე

ღამე ტყდება. მიდამო ისფრად იღებება. ბაბო ჯალაბაური კოშკის კარზე გადმომდგარა, მიდამოს ათვალიერებს...

— ცუდი ამინდია, მზეო სერგო, ერთი დღეც უნდა მოიცადოთ, — მიმართავს იგი სერგოს ტკბილი ხმით.

— ერთი დღე ძვირფასია ჩვენთვის, ბაბო!

— ერთ დღეში ბევრი კეთდების. ერთ დღეს ქალაქები აშენდების, მაგრამ... ბუნებას ხომ არ შეეჭიდები, სტუმარო, შენ უცხო ხარ ამ კუთხეში; მთა კერპია, იდუმალი და სევდაჩახლართული. ერთი დღეც მოითმინე ჯალაბაურის ჭერქვეშ, სათქმელი ბევრი აქვს მასპინძელს, მთისას და ბარისას გეტყვის, ხევსურულ ანდერძებს მოგიყვება. უკითხავს გკითხავს. დარდს გაგიქარვებს. შატილის ჭაბუკებს მოუხმობს და ახალუხალს გაგიმართავს. ჯიხვის ხორცით გაგიმასპინძლდება, სვიან ლუდს გასმევს და ფანდურზე გიმღერებს ზურაბ ერისთავთან მებრძოლ ქალუნდაურის სიმღერებს.

— ეს ყველაფერი კარგია, ბაბო, მაგრამ ქალაქში მიმეჩქარება.

— აჩქარებული წყალი წყალს არ გაურევიაო, უთქვამთ წინაპართ, მზეო სერგო; დილამდენ მოიცადე, დილას ჩემს შვილს გაგაყოლებ გზის მაჩვენებლად — ლეკო ვაშკაცია, მთაში გაზრდილი, აქაური ადგილებისა არა მოეტყუება, მარდია. შურთხის სიფრთხილე და მგლის მუხლი აქვს.

— ახლა სად არის ლეკო?!.

— ლეკო დილის ჟამს მთის ყურეს წავიდა: შენს გადასავალ მთას დაზვერავს, ჭაუხებში გაინადირებს, ჯიხვის ხორცს მოუტანს საყვარელ სტუმარს!..

— ჭაბუკები ჭაუხებში ნადირობენ და მე კი გარეთ არ მიშვებენ, ცუდი ამინდიაო!..

— ნუ გიკვირს, მზეო სერგო, ადგილს ადგილის ჩიტი უნდაო, გამიგონია. ლეკო მგლებთან გაიზარდა, არწივებთან სადილობდა ჭაუხებში, ფეხშიშველი დადიოდა იანვრის სუსხიან სიცივეში საყვარელი ვაშკაცი, ჯალაბაურთ სიამაყე, მაგრამ ერთი ცუდი სენი სჭირს ლეკოს, მზეო სერგო. ბევრი ეცადა, ბაბო, ბევრი ეჩხუბა, ეფერებოდა, არ იქნა და ვერ მოაშლევინა: სხვისი თუ რაიმე მოეწონა ლეკოს, არ შეარჩენს. ცხენს შინით აუხსნის, ხარს დაუკლავს, ქალს მოსტაცებს. ავი ხასიათი დაჰყვა ხვთისაგან წყეულს, ცუდს ვარსკვლავს დაბადებულაო, ამბობენ მკითხავები; წუხელ ქისტს უთვალთვალებდა: მუსას მაუზერი მოსწონდა, მაგრამ ბაბოს მოერიდა, მგლების მოლოდინში ჩაჰკლა წყურვილი. მთელი ღამე ელვიძა, თვალს ძილი არ მიჰკარებია, თეთრად გატეხა ღამე და დილით სანადიროში წავიდა. საცაა დაბრუნდება და ჯიხვის ხორცს მოიტანს.

ამდროს კარები გაიღო და მუსა შემოვიდა. დამხდურთ მიესალმა. ამინდი დასწყევლა და ცეცხლიპირას ჩამოცუცქდა. სერგომ ყურადღებით შეათვალიერა თანამგზავრი, თითქო ახლა ხედავსო პირველად — სრულის ტანის ვაჟკაცი, მხარბეჭიანი. ვიწრო წელს სავაზნე და ვერცხლით მორთული მაუზერი რომ უმშვენებდა. მასში ჭარბად სჩქეფდა თავისუფლების მოყვარული მთიელის ლაღი ბუნება, სიმკვირცხლე და ქისტური ჩვევანი. სერგომ გონებაში დაუპირისპირა ერთიმეორეს: ლეკო და მუსა. ორი მთიელი ვაჟკაცი, რომელნიც ყოველთვის მზად არიან თავისუფლებას შეეწირნონ, მაგრამ მტრები ერთიმეორისა — მოსისხარი მტრები, მამაპაპურ ამბებს რომ ინახავენ გულის ყურში.... ერთიმეორეს ეჭიდებიან წითელი ფერით დახელებული ხარებივით, ჩიგავენ ერთიმეორეს და ბრძოლის მიზეზი კი ორივესთვის გაურკვეველია... „რა დიდებული იქნება, რომ მათი ბრძოლის ჟინი გადავიდეს კლასიური მტრის წინააღმდეგ“...

ჩაიფიქრა სერგომ და ხელი დაჰკრა თანამგზავრ ქისტს მხარზე.

— დღეს ისევ ჯალაბაურის სტუმრები ვართ, ძმობილო მუსავ! — თქვა პირმოლიმარემ.

— მადლობა ალახს!.. ჯალაბაურს სტუმარი არ მოძულდება, სტუმარს ჯალაბაური!.. — სხარტად უპასუხა მუსამ და ფეხზე წამოდგა.

— შენ მართალი ხარ, მაგრამ.. მთა გვაქვს გადასასვლელი.

— არწივები მუდამ ჭაუხების თავზე გადადიან, — ჩაიცინა სერგოს თანამგზავრმა.

ბაბოს მოეწონა ქისტის ნათქვამი.

— მუხოურთ გვარის ღირსი ვაშკაცი ყოფილხარ, მუსა, მაგრამ... ხევსურეთში მაინც უნდა იფრთხილო, — უთხრა მზრუნველობით სტუმარს, — თავსისხლი გაუწმენდელია ჩვენსა და თქვენს შორის: ჩვენს მამებს ერთიმეორე უხოციათ, თავათ ჩვენს გვარში ხუთი ვაშკაცია ქისტის ხელით მოკლული...

— ეს გარდასული საქმეა, ბაბო ჯალაბაურო, ახლა მუსა მტერია ძველი წესებისა, იმისთვის ერთია: ქისტი, ხევსური, ოსი თუ რუსი, კაცი — ყველა კაცია...

19478

— მე არავინ მომიკლავს, სხვის მაგიერ არ ვაგებ პასუხს, და თუ ვინმე მოითხოვს, ალახის მადლს ვფიცავ, შევანანებ!. — ამაყად სთქვა ქისტმა და უნებურად შეუთამაშდა ზედა ბაგე.

სტუმარ-მასპინძლების ლაპარაკი მხიარულმა ხმაურმა დაფარა: ახალუხალი შემოვიდა კოშკში. ყმაწვილები არწივის მართვესავით ჩამოლაგდნენ სკამზე და ყველა მოცინარე თვალებით ეალერსებოდა სერგოს. მისი ვინაობა მუსასგან გაეგოთ წუხელის... ახალუხალში შემოვიდა რამდენიმე ახალგაზრდა ქალი. შავთვალწარბანი, ოქროსფერთმებიანნი, თავდახრით დადგნენ ჯალაბაურთ სადიაცოს. გარმონს დაუკრეს და ერთმა მათგანმა სიმღერა თქვა:

„ჯალაბთ მწყემსობად წამლალეს,
გორშუ ვაძოვებ ცხვარსაო,
მოგნატრი, გუროს ციხეო,
ქვაო, ნადებო ქვასაო!
მერმე, შენ გუროელაო,
გაზრდილო ლერწმის ტანსაო;
შავხედავ ყინვართ ბოლოსა,
დაკრიახულთა მთათაო;
შამახდა მენადირეი,
ვიყურებ თოფის ხმასაო.
თეთრჩოხა რაიმ გადმახდა,
მასრან უცემენ თვალსაო,
ვაფერებ ჩემსა ძმობილსა,
ხოლიგათ თათარასაო“...

. . . . . .

. . . . . .

მთელი ახალუხალი ამღერდა. დიდხანს, დიდხანს მღეროდნენ, სიტყვებს ესროდნენ ერთმანეთს. შემდეგ მთიულური საცეკვაო დაუკრეს და ცეკვა ერთ ხნიერ მოლხინეს შეუთვალეს. იგი ზლაზვნით წამოდგა, ბაბოს წინ თავი დახარა, ელვის სისწრაფით დაიწია უკან და ქორულად ჩამოუარა ახალუხლებს. ხელებს შლიდა, ფეხებს მსუბუქად გაჰკრავდა, კიოდა და წაწალ ქალს თვალით ანიშნებდა: გადმოდიო.

მუსას ცეკვის სურვილი აუხევდა, ადგილზე ვეღარ ჩერდებოდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა, არ იმჩნევდა. პირველი მოთამაშის შემდეგ ბაბო ჯალაბაური ადგა და მუსას თხოვნით მიმართა:

— პატივი დაგვდე მუხაურო: გვიშუშპრე, ბგრემც შეგეწევა სტუმრობის მადლი!..

მუსა ერთხანს ნაძალადევად უარობდა, შემდეგ დაჰკივლა, ელდანაკრავივით დატრიალდა ახალუხლების წრეში. საამო ჟრუანტელმა შეაჟრჟოლა მაყურებელნი, გარმონი და ტაში გააფიცხეს, დაჰქადნეს და დატკბნენ მისი ცქერით. მუსა თავადაც მგელდებოდა, ბოლოს შუაწრეში შეჩერდა, მარცხენა ფეხის თითის წვერზე შემოტრიალდა და, სწორედ ამ-

დროს, კარები გაიღო, ახალუხალში შემოსულის თვალები უნებურად მოხვდა მოცეკვავეს. შეაკრთოლა და მაუზერის ტარის ელვარებამ უნებურად შეაკრთო. შედგა იგი ფერმკრთალი, ნაოფლარი და თვალებით შემოცელა იქ მყოფნი. მუსიკა და ტაში მინელდა, ახალუხალი გაიტვრინა, მუსამ ცეკვა მიატოვა. წამით ყველაფერი გაჩუმდა, თითქოს მეხმა გაუარაო და, შემდეგ გაისმა შეძახილები:

— კვლავ უკეთესი მოგცას, ოჩოპინტემ, ლეკო!

— ჯიხვი მოგიკვლია, ვაშკაცო!

— ჯიხვით მოსვლა ნუ მოგიშალოს!..

ლეკომ თავი დახარა, ამაყად განვლო ქაზდარი, შესდგა სერგოს წინ, დინჯად მოიხადა ზურგზე ნაკიდები, სისხლით-გასვრილი მანძილა ჯიხვი და სტუმრის წინ დასვენა სკამზე:

— შენი პატივი იყოს, სტუმარო სერგო! — თქვა მან თავმდაბლად.

— ღმერთმა პატივი და გამარჯვება ნუ მოგიშალოს! — შესძახა გახარებულმა ბაბომ, სანამ სერგო რამეს ეტყოდა და ხელი ჩამოართვა გვარის სიამაყეს.

სერგომ ტკბილად შეხედა მონადირეს, მადლობელი ვარო, თქვა და ჯიხვს დააშტერდა. შეეცოდა დადუმებული პირუტყვი: „ეგლო ლაღად თავისუფალს, რას ვერჩით ამ ლამაზებს“, ჩაიფიქრა და ჯიხვის მოზრდილ რქებს შეეხო ხელით.

ლეკომ მუსას ცერად გადახედა, მაუზერი შეათვალიერა, ნელიად ამოიოხრა და ახალუხალს მიმართა ნალვლიანი ხმით:

— იქნება ჩემი მოსვლა გეწყინათ?!. რად გაჩუმდით?!.

— შენი მოსვლა გულს გაახარებს!

— შენი ხილვით სწორფერნი გალალდებიან!

— შენი ლხენა ახალუხალს გაალხენს! — თქვეს ქალვაჟებმა, ტაშგარმონს დაჰკრეს, კვლავ გახურდა ლხენა, სიმღერა, ცეკვა.

თავი მეხუთე

საღამოს ჟამს ქარი მიწყნარდა. მთებზე ლემადე მიკვდა. მიდამო დაჩნდა. ადამიანებს შუბლი გაეხსნათ და ხევსურები ნელნელად მოგროვდნენ „საფეხნოში“...

ჯალაბაური წინ გაუძღვა სტუმრებს, — ფეხონში გაიყვანა. მიდიოდა დინჯად, ამაყად, თავაღებული: ვის ჰყავდა შატილს მისთანა სტუმარი ნასტუმრები!.. იგი სერგოს წამოუმხრისულებდა, ერთ-ორ სიტყვას ეტყოდა, ნათქვამს მოუსმენდა და ყინჩად ჩაიცინებდა. მიდიოდნენ სიცილით, ლაღნი — ლაღად!..

ლეკომ განგებ ჩამოიტოვა მუსა უკან: უმალ სროლაზე ჩამოაგდო ლაპარაკი — მაუზერის სროლა მწადიანო, ეჩურჩულებოდა სტუმარს. მუსა ადრევე მიუხვდა წადილს: წუხელს შენიშნა ხევსურის ანთებული თვალები — მთიელმა მთიელის გული იგრძნო... არაფერი თქვა: თავადაც ბევრჯერ დატანჯულა მუსა კარგი იარაღისთვის მაცქერალი... ახლა კი, ცოტა არ იყოს, ცივად გამოელაპარაკა ლეკოს:

— მე ვაზნები მხოლოდ თეთრებისთვის მაქვს შემონახული!..

— რამდენ თეთრი ას გარშემო!.. — გაიოცა ლეკომ და თოვლიანი მთაგორები შეათვალიერა.

— მე სხვა თეთრებზე მოგახსენებ!..

— ნეტავ რაღა იქნების სხვა თეთრი!

— ეს ხალხია... ცუდი ხალხი: ჩვენი მტერი... ახლა ისინი ჩვენს ძმებს ებრძვიან, სისხლს ღვრიან... — ამბობდა თეთრების ხსენებით გამწარებული ქისტი.

— მაშ ისინი ჩვენი მტრებიც არიან?

— დიაღ, თქვენიც, ჩემიც, სერგოსიც, ჩვენი ძმებისაც, ყველას მტრები... ვაზნებს მხოლოდ იმათთვის ვინახავ, ისე... გნებავს ვესროლოთ!..

— ახ, ვესროლოთ!.. ვესროლოთ, მაგრამ, ის ხალხი სად არის ეხლა?!..

— ბარში... ყველგან... იქნება აქაც არიან!..

— მაშ შენ რომ წახოლ, იმათთან უნდა იბრძოლო?!.

— დიაღ!..

— სერგომაც?!.

— ჰო!...

სერგომ მოჰკრა იმათ ლაპარაკს ყური. ნაბიჯი შეანელა. უნდოდა გაეგო, რაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ მუსამ ლაპარაკი უმალ შეწყვიტა. ძმობილს მიუახლოვდა.

— რაზე გელაპარაკებოდა ეგ ახალგაზრდა, მუსა?! — იკითხა სერგომ, როდესაც ისინი წუთით მარტო დარჩნენ.

— ისე!..

— მაინც?!.

— როგორც ჩანს მაუზერის სროლა სწადიან!

— ხომ არ გინდა დაუძმობილდე ლეკოს?!.

— ის კარგი ძმობილი მექნებოდა!..

— შენი მაუზერი გიყვარს?!.

— ძალიან!..

— ლეკოს თურმე ენატრება მაუზერი: წუხელ არ სძინებია!..

მუსა გაჩუმდა: წადილს მიუხვდა ძმობილს, მაგრამ... მუსა უმალ მარჯვენას მოიჭრიდა, ვიდრე მაუზერს დაუთმობდა ვისმეს.

უხმოდ განვლეს რამდენიმე ნაბიჯი.

— ჩავალ ქალაქში, იარაღი ბევრია, — დაიწყო სერგომ და მუსას გადახედა. — ძმობილი კი... შატილს მასპინძელი გეყოლება...

მუსას პასუხი არ მიუცია: საფეხნოში ნასხდომი ხევსურები აიშალნენ. გაისმა ნელი ჩურჩული:

— მოდის!..

— კარგ ვაჟ ყოფილას!..

— ღირს იას სახელისა!..

— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოუშალოს!..

— ხალხის გულისად იბრძვისავ!..

— ხელ მოუმართოს!..

— ნეტავი მაგის მასპინძელს!..

სერგო დინჯი ნაბიჯით მიუახლოვდა ფეხონს.

— გამარჯვებათ, ხევსურებო!.. — მიესალმა იგი მშვიდი ხმით.

— გაგიმარჯვას!..

— ხელიმც მაგემართებისთ!..

პასუხობდნენ ხევსურები და ხელებს უწვდიდნენ:

სერგომ რამდენიმე მოხუცს ჩამოართვა ხელი და სათავეს „სასტუმრო სკამზე" დაჯდა.

ხალხი ერთხანს თვალით ზომავდა სტუმრებს. შემდეგ მოხუცებმა ყალიონები ააბოლეს და დინჯად იკითხეს ბარის ამბები. სერგო დაწვრილებით ელაპარაკა ხალხის მდგომარეობაზე. აიმედებდა მომავლით, თუ ხალხი იბრძოლებს, საქართველოშიც თავისუფლებას მოიპოვებსო. უთხრა ისიც, რომ ქისტებსა და ხევსურებს შორის ძმობა უნდა დამყარდეს, თუ გინდათ გაიმარჯვოთო მტერზე.

— დღესნამდინაც უმიზეზოთ ვღვარეთ სისხლი, მზეო სერგო, — თქვა ჯალაბაურმა და ფეხონს თითებზე ჩამოუთვალა უდანაშაულოდ დახოცილი ქისტები და ხევსურები.

დიდხანს გრძელდებოდა საუბარი ქისტებისა და ხევსურების შერიგების ირგვლივ. შემდეგ ახალგაზრდები განზე გადგნენ: ახალგაზრდულმა წადილმა დასძლია. თოფიკაობა მოიწადინეს.

— ვისროლათ! — თქვა გახარებულმა ლეკომ. მხარზე ნაკიდები თოფი გადმოიტანა. — პირველად სტუმარმა უნდა ესროლას. — და თოფი მუსას მიაწოდა. მუსას სროლის იმედი ჰქონდა, არ სწყენია, დინჯად დაჯდა იგი საყუჩში, თოფი გაასწორა, დაუმიზნა „ჯილდას" და საკმაოდ მოშორებით ნაყუდები ხელის ნების ოდენა რგვალი ფიცარი შუაზე გაახვრეტინა. ხევსურებს არ ესიამოვნათ. გაიმართა რიგითი სროლა. ბოლოს ლეკომ მოიწადინა სროლა. სამჯერ ესროლა, სამივე ერთსა და იმავე ადგილზე მოარტყა, მაგრამ შუბლი მაინც შეკრული ჰქონდა: მუსას ნატყვიარი შუაწრეში იყო მოარტყმული.

— გავიჯიბროთ, მუსა! — მიმართა მან ქისტს.

— რა იყოს სანაძლეო? — წამოიძახა გახარებულმა მუსამ.

— სერგომ თქვას, — წამოიძახა ლეკომ და სერგოს ღიმილით გადაეხედა. ხევსურებს გაუკვირდათ: ლეკო იშვიათად იცინოდა.

ხოლო სერგომ მის თვალებში ამოიკითხა:

— გვითხარი, მზეო სერგო, სანაძლეო!..

— საუკეთესო იარაღი ძმობის ნიშნად!..

— თანახმა ვარ! — თქვა მუსამ.

ლეკოს ხმა არ ამოუღია: „რად არ დაასახელეს იარაღი" — ჩაიფიქრა მან და ვაზნა მისცა თოფს. ორი ესროლა, ორივემ შუაწრე გაწყვიტა. ამაყად ადგა ლეკო საყუჩიდან და თოფი ქისტს მიაწოდა. მუსას ხანი არ დაუყოვნებია — თითქმის ერთი-მეორეს გაჰყვა თოფის ხმა: ოთხი ნატყვიარი ერთსადაიმავე ადგილას მოხვედროდა ჯილდას.

სერგომ და ბაბომ განსაჯეს ნასროლები. პირველობა არც-ერთს დარჩენია. მხოლოდ ბაბომ თქვა:

— ქისტმ სწრაფად ესროვ!..

— სისწრაფე ნუ მოუშალოს, — დალოცა ფეხონმა ერთხმად და მუსას საქებარი უთხრა.

ლეკო ნაწყენი გაშორდა ფეხონს. კარგა ხანს დადიოდა მდინარე არღუნის ნაპირებზე. მხოლოდ ვახშმობის ხანს დაბრუნდა შინ. ნაწყენობა ეტყობოდა. მუსამ წაჯალდა იგი სროლაში — შატილში სახელი დაუმცირა: აქამდინ მისებრ მართლსროლა არვის ძალუძდა. ლეკო იმავე საღამოს დაასვენებდა გულს: სიცოცხლეს გამოასალმებდა დუსურმანს, მაგრამ მუსა ჯალაბაურთ სტუმარი იყო, შვილი მამას ვერ შეარცხვენდა, — გვარი არ აპატიებდა სტუმრის მოკვლას... ბრაზი გულში ჩაიკლა დროებით. ნაძალადევის ღიმილით შევიდა სტუმრებთან, მაგრამ სერგომ მაინც შეამჩნია მოწყენილობა, გვერდზე დაუჯდა ლეკოს, ხელით ხელს შეეხო და ღიმილით უთხრა:

— მე და ჩემი ძმადნაფიცი მუსა გახარებულნი ვართ: როგორც ბაბომ გვითხრა, ხვალ ჩვენი მეგზური იქნება ჯალაბაურთ სიამაყე: ლეკო!..

ლეკოს მონასმენი არ ესიამოვნა: გადაწყვეტილი ჰქონდა მოკლე გზით, იდუმალად გადაევლო მთაგორები, დახვედროდა გზაში სერგოს და მუსას, როდესაც ისინი შატილის საზღვრებს გასცდებოდნენ, რომლის იქითაც სტუმრების გაძარცვა ჯალაბაურთ გვარის სირცხვილად აღარ ჩაითვლებოდა — და მუსას მაუზერი მიესაკუთრა, თუნდაც მუსას სიცოცხლედ დამჯდარიყო, ხოლო სერგოს კი ხელს არ ახლებდა, რადგანაც სერგო ქართველი იყო და ამავე დროს სანდომიანი ვაჟკაცი. ახლა კი... მამას მისთვის მიუნდვია სტუმრების პატრონობა!.. დიდხანს იყო გაჩუმებული ლეკო. ფერიფერ ეცვლებოდა სახეზე.

— იქნება არ გსურს ჩვენთან მგზავრობა?!. — გამოეხმაურა სერგო.

— რა ვიცი... ცუდად რადმე ვარ!.. — იცრუა ლეკომ. ალმაცერად გადახედა მუსას, ცეცხლის მახლობლად რომ ჩამომჯდარიყო. ვერცხლითმოკაზმულ მაუზერის ტარს ცეცხლის ალი მოწითალო ფერით აშუქებდა, გონება უბნელდებოდა მის მაცქერალ ლეკოს, ცივი ჟრუანტელი უვლიდა ტანში და უნებურად ამოიოხრა.

შემკრთალი ბაბო დააშტერდა შვილს: იშვიათად მოუსმენია მას ლეკოს ოხვრა: ლეკო გაფითრებული იყო. პირში ნერწყვი ჰქონდა გამშრალი, ტუჩები ოდნავ უთრთოდა, მარცხენა წარბი უთამაშებდა.

— უგუნებოდ ხო არა ხარ, ლეკო!.. — იკითხა ბაბო ჯალაბაურმა.

— ოდნავ! — მორცხვად ჩაილაპარაკა ლეკომ და მამის მზერას თვალი აარიდა; შემამჩნევსო. წასვლა მოისურვა, მაგრამ ვერ ადგა: სერგოს ეჭირა მისი მარჯვენა ხელი და უცნობი სიამე გადადიოდა ლეკოს გრძნობაში, ატკბობდა უჩვეულოდ. — გინდა მახკვდ, სტუმრებს უნდა გახყვ!.. — ამბობდა ბაბო, — ბაბოს შენს მეტი საიმედო შვილი არა ჰყავს, სტუმარს კი პატრონობა უნდა მტერსთანაც, მაკეთესთანაც, ვერ შეირცხვენს ბაბო ვერც საურჯულოს, ვერც მთავრობაში და ვერც ხევსურეთში. უპატრონოდ

ვერ გაუშვებს სტუმრებს უცხო მხარეში: რამდენი მოკეთე ჰყავს ბაბო ჯალაბაურს, იმდენი მოჯიბრე ჰყავს. ვინმე უამურს წაჰკიდებს სტუმრებს და მაშინ მთელ ჯალაბაურთ ფლასი დაეხურება თავზე — სირცხვილი დაედება გვარს. ბაბო ლეკოს მეტს ვერავის ანდობს სერგოს. წინათაც ერთი უბედურება დაატყდა ჯალაბაურს. იგი ჩაფიქრდა. ლეკო შეკრთა— მიწას მიაშტერდა. ბაბომ ყმაწვილს გადახედა, სამყოფის კუთხეში რომ ატუზულიყო:

— მგელიას უძახე, ყმაწვილო!.. — უბრძანა მას. ბალღი სწრაფად გავარდა კოშკიდან. არ გასულა ხუთი წუთი, რომ სტუმრებთან შემოვიდა მაღალი ტანის, მხარბეჭიანი ახალგაზრდა. იგი ქოსა იყო, სახედანაოჭებული. დიდი ფაფახი ქუდი ეხურა მოგვერდულად, სახის მხოლოდ ერთი მხარე უჩანდა. მორცხვად მივიდა და ბაბოს წინ გაჩერდა მოწიწებით.

— ქუდ მაიხადე!.. — უბრძანა ბაბომ.

მგელია ოდნავ შეკრთა, წვრილი, შავი თვალები მორცხვად მოავლო გარემოს — დინჯად ასწია ქუდს და სტუმრები გააოცა. სახის მარჯვენა მხარეს, დაწყებული მხრიდან წარბის თავამდე შავი, ღრმა ჭრილობა შემოსალტოდა. გაწყვეტილი ყური დასჯუნკროდა, დანაოჭებოდა და ხის ტანზე უდროოდ ამოსულ ჯირკვივით მიჰკროდა ყბას. კისერი დამოკლებოდა, — გვერდზე ჰქონდა მოხრილი. მან სინათლისკენ შემოატრიალა ჭრილობიანი გვერდი, რომ უფრო კარგად შეეხედნათ მაყურებელთ, მორცხვად განვლო ქაზდარი და უხმოდ დატოვა სტუმრები. ყველანი გაჩუმებულნი იყვნენ. მუსა გაფაციცებით ათვალიერებდა იქ მყოფთ; სერგო ფიქრს რასმეს გაჰყოლოდა, ხოლო ლეკოს სახე განაცრისფერებულიყო...

ბაბომ დაარღვია სიჩუმე:

— ეგ ჩემი უფროსი შვილია, მზეო სერგო, ჩემი შემარცხვენელი... ბშვიათად თუ გამოვა ხალხში, ყველას ერიდება. მარტოობა დასჩემდა. ლაპარაკი სძულს. ოჯახში ხმა არ ამოეღების, სტუმართან არ მიევალების...

— რა დააშავა ეგეთი?! — იკითხა სერგომ.

— გიამბობ. — თქვა ბაბომ, ლეკოს გადახედა ისეთნაირად, თითქოს მოსაყოლი ამბით ახსენებდა მასპინძლის მოვალეობას სტუმრის წინაშე; ყალიონს თამბაქო დაუმატა, ხარბად მოსწია, მძიმედ ამოიოხრა და შემდეგი უამბო სტუმრებს:

...მგელია ბაბოს საყვარელი შვილი იყო. უყვარდა ბაბოს, ძალიან უყვარდა. მაგრამ მგელიამ არ შეიშნოვა ბაბოს ამაგი, მთელ ხევსურეთში შეარცხვინა ჯალაბაურთ გვარი: რამდენიმე წლის წინათ სამი ცხენოსანი მგზავრი მიადგა შატილის გალავანის კარებს. სამივე უცხო იყო, უმაკეთეო, უმასპინძლო. ბაბო ჯალაბაური იკითხეს და მის ეზოში ჩამოხადეს ბარგები ცხენებს. ბაბომ უმასპინძლა — მიიღო სტუმრად უცხომ-უცხონი. ორი ქალაქელი იყო. ერთიც — ფშაველი. სავაჭროდ წამოსულიყვნენ. დახმარება სთხოვეს ბაბოს, გვეშინიაო, ამბობდნენ. როგორც ეტყობოდათ, ბევრი ფული და ცოტა სიმამაცე ჰქონდათ. მფარველს და-

ეძებდნენ: არცერთ მათგანს არ შეეძლო მამაც ვაშაკაცისთვის დახვედრა. გზაზე კი ყაჩაღობა, ძარცვა-გლეჯა იყო გაძლიერებული. ბაბო დახმარებას დაჰპირდა. იმღამეს კარგად გაუმასპინძლდა სტუმრებს. დილით მგელიას დაუძახა, საიმედო შვილს ჩააბარა სტუმრები და დაარიგა:

— სამშვიდობოს მიყვანენ. ერთი ბეწვიც რო დაკლდეს, შენ აგებ პასუხს! — უთხრა ბაბომ და გაისტუმრა... ორი დღე გავიდა, არ ჩანდა მგელია. მესამე დღეს ხევსური რამ ესტუმრა პირიქით ხევსურეთიდან შატილს. სტუმარი საფეხნოს მიიყვანეს, ხევსურეთის ამბები ჰკითხეს და ბაბომ ჩუმ ჩურჩულს მოჰკრა ყური: „გუშინ მგზავრები დაუცვარციან,— ამბობდა პირიქითელი ხევსური,—თავად მგელიაც მონაწილე ყოფილა“.—ბაბო ჯალაბაურს მეტი აღარ მოუსმენია. თავზარდაცემული იჯდა იგი ერთხანს — სახეგაფითრებული გულში სწყევლიდა სიყრმის შვილს. შემდეგ წამოდგა, უსიტყვოდ დატოვა ფეხონი, შეევიდა კოშკში და ტახტთან დაჩოქილი ხევსურეთის სალოცავებს შეეხვეწა:

— დიდებულნო ხთის შვილნო, ამაცდინეთ ხიფათი!!.

არაფერმა უშველა.

მთელ სოფელში გავარდა ხმა — „ჯალაბაურთ სტუმრები დაუცვარციან შატილის მიჯნაზე“..

ბაბო მოუთმენლად ელოდა შვილს. მესამე დღეს, ბინდის ჟამს მგელია ეზოში შემოვიდა. კიბის თავზე ნადგომი, სახემოღუშული მამა დაინახა და შეკრთა, ნაბიჯი აერია, მხრის აქცევა დააპირა, მაგრამ...

— აქ გამაიარი!..

შესძახა ბაბომ არეულის ხმით.

წუთით შეჩერდა მგელია, ჩაფიქრდა, დაბარბაცდა და კიბეს შეჰყვა ნაძალადევის ნაბიჯით.

ბაბოს დიდი ქურქი წამოეხურა, უზარმაზარ ქვის ქანდაკებასავით იდგა კიბის თავზე — შვილს ელოდა...

კიბეზე მიმავალ მგელიას მუხლები მოუდუნდა: ხიფათი შეიგრძნო. მაშას ალმაცერად უჭვრეტდა და ზარავდა — მშობელი შავ სიკვდილივით დაჰყურებდა თავზე. მოისურვა: დაეჩოქა მამის წინაშე და პატიება ეთხოვა, მაგრამ არ დასცალდა. სუნთქვააჩქარებული კიბის ბოლო საფეხურზე შედგა. ერთი ნაბიჯი აშორებდა მშობელს. სცადა ნაბიჯის გადადგმაც და, სწორედ ამდროს, ბაბო ჯალაბაურის შევერცხლილი თმა ხვადლომის ფაფარივით აიშალა, სახე გაუფითრდა და მის ხელში ნაჭერმა ხმალმა ელვის სისწრაფით გაიელვა სივრცეში, გველივით დააწივლა ჰაერი და მეხივით დაეცა მგელიას... მოჭრილ ხესავით მოსწყდა იგი კიბეს, საფეხურზე დაყირავდა ხარივით ვაჟკაცი.

„თფუ!.. არამი იყოს შენზე დედმამის ამაგი!..“ მიაფურთხა ბაბომ და შვილის სისხლით შესვრილი ჯალაბაურთ ფრანგული ჩოხის კალთაზე გაიწმინდა...

მგელია კარგმა ექიმმა გადაარჩინა, მაგრამ სიკვდილი ურჩევნია ეგეთ სიცოცხლეს — თითით საჩვენებელი გახდა ხევსურეთში, გატეხა ხევსურეთის ადათი:

სტუმარი გაცვარცა თავის სოფლის მიჯნაზე!..

— შვილის ნდობა მაინც არ იკარგება, მზეო სერგო, ის ჭრილობა ჩემს გულზეა გადაჯაჭული! — ამოოხვრით დაამთავრა ბაბომ ამბავი და ლეკოს გადახედა, — აი, ეს ვაჟიღა დამრჩა საიმედო... — ნაღვლიანად თქვა მან და ლეკოზე მიუთითა.

ლეკო გარინდებული იჯდა, მიწას მისჩერებოდა, ოფლის ნამი დასდებოდა სახეზე. თავის სახელის ხსენებაზე შეიშმუშნა, მორცხვად შეხედა მამას და თვალები ვერ გაუსწორა.

— ხვალ ეს გამოგყვებათ, — ამბობდა ბაბო, ახლა კი... შევუდგეთ მზადებას. ადეგი, გენაცვალოს ბაბო, — მიმართა მან ლეკოს, — დაემზადე დილისთვის

ლეკო მძულად წამოდგა, დატოვა კოშკი და მზადებას შეუდგა — ბანდავდა ჯღანებს, ფიქრი უღრღნიდა ტვინს: რა ხერხით ჩაეგდო მუსაა მაუზერი ხელში. იცოდა: მუსა ნებით არავის დაუთმობდა იარაღს. მხოლოდ იყო ერთი გზა, ლეკოს თავიდანვე გამონახული ჰქონდა ის, მაგრამ ბაბო ჯალაბაურის მარჯვენა შესძლებდა ფრანგულის ქარქაშიდან ამოკრეფას... დიდი იყო შიში მამისა.

თავი მეექვსე

დილა გათენდა. ცა მოწმენდილიყო — ღრუბელი გადაეყარა, ლურჯად მოკამკამე დასცქეროდა თოვლით თეთრადშებურვილ დედამიწას. მთები იდგნენ ამაყად, ფიქრსმიცემულნი... სიჩუმე სუფევდა ირგვლივ; არ ისმოდა არც ფრინველთ საამო ყივილი, არც არწივის ამაყი ყივილი და არც შურთხების სტვენა, რაც ესოდენ ხშირად ისმის ჭაუხებიდან. მდინარეთაც ხმა გაეკმინდათ, თოვლი და ყინული გადაეხურათ თავზე, თითქოს მოსწყინდათო ცისა და დედამიწის ჭვრეტა. ბუნების ფიქრთა სიმყუდროვეს მხოლოდ სამი მგზავრის ფეხის ხმა და ნელი ლაპარაკი არღვევდა: სერგო, მუსა და ლეკო ბილიკს შესდგომოდნენ თენების ჟამს, საქართველოში გადასასვლელ მთისკენ. ლეკო დასდგომოდა წინ და დიდის სიფრთხილით მიიკვლევდა გზას — ზომავდა ბილიკს და რუვის ყელებს, რომ ფეხი არ დასცერებოდა და ფიწალო კლდეს არ მისცემოდნენ, ან საზვავო რუვის ბოლოზე არ გაევლოთ.

კალთადაკვართული მუსა კარგ ხასიათზე იყო. მგელივით მიძუნძულებდა — უხაროდა საქართველოში გადასვლა, ხუმრობდა და სასაცილო ამბებს მოუთხრობდა თანამგზავრებს.

ორ მთიელ ვაჟკაცს, ლეკოს და მუსას შუაში ჩაეყენებიათ მეგობარი სერგო, რომელიც ორი კვირის წინათ გამოვიდა ბრძოლის ქარცეცხლიდან მხოლოდ იმისთვის, რომ საქართველოში გადასულიყო და იქ, ლენინის დავალებით, გაეჩაღებინა ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ.

სერგო მიდიოდა დინჯად, გაზომილის ნაბიჯით, მუსას ნათქვამზე იცინოდა და გულისგამლაღებელ სიტყვებს წითელ ვარდებივით ესროდა ლეკოს.

მართალია, ლეკოს ეხუმრებოდნენ, ძველს ამბებს ეტყოდნენ, მაგრამ იგი მაინც შუბლშეკრული მიდიოდა, ფიქრი მძიმედ დასწოლოდა გულზე...

ლეკო მალიმალ შედგებოდა, შეჰყურებდა ცას და სახე მოეღრუბლებოდა — არ მოსწონდა ამინდი.

— დღეს თუ ღურბელი გაჩნდა, ცუდად იქნების ჩვენი საქმე: ქარი ამოვარდება, თოვლი ახალია, ბუქვს აიტანს და... გზა-კვალი აირევის!..— ამბობდა იგი მდურვით.

მუსა გულს არ იტეხდა, აიმედებდა ლეკოს:

— აგერ, გახედე არწივს!.. ისიც სულიერია, გული აქვს, სისხლი უდგას, ჩვენებრ სუნთქავს... იმას მხრები აქვს, ჩვენ ფეხები, გონება მეტად გვიჭრის... ის ლაღად დადის, ჩვენც ვიაროთ, ძმაო ლეკო!.. ესეც ბრძოლაა, იგივე ბრძოლა!..

ლეკოს გალესილი მახვილივით ხვდებოდა მუსას ნათქვამი: „ძმაო ლეკო“, — ენას კბილს ადგამდა. „რაღა ძმობა ამოიჩემ?“ — ფიქრობდა ჯალაბაური, და შუბლშეკრული, მუხლებით მიანგრევდა თოვლს.

მუსა განაგრძობდა:

— სიცივეს და ქარბუქვს ვინ შეუშინდება!.. რამდენჯერ შემხვედრია ცუდი ამინდი ჭაუხებში: თავათ მთიელი ვარ, ჩემი აული ასის ხეობის ფიწალო ფერდზეა მიკრული შევარდნის ბუდესავით. (იქაა ახლა მუსას მეუღლე, მუსას ზეზიკი!..) თავზე კი დარაჯივით დასდგომია „ტერდის მაღალი“... აქედან არც ისე შორსაა, იქ ძალიან ბევრი ჯიხვი იცის. ხშირად დავდიოდი სანადიროდ. ზამთარში, — ჯიხვის მოკვლა ზამთარშია კარგი, — უფრო მსუქანია, ხორციც შეინახების... ბევრჯერ შემხვდა ცუდი ამინდი, მაგრამ მუხოურთ მოხუცებისთვის ჯიხვის ხორცი მიმირთმევია ვახშამზე. ერთხელ კი... მართლაც ალქაჯებმა გვიმუხთლეს და უბედურება დაგვატეხეს თავზე მონადირეთ...

ლეკოს არ ეამებოდა მუსას ხმა, იდუმლად უჭვრეტდა ცისნაპირთ: ზეს შუქი გამოესხივა, აღმოსავლეთიდან შოფში დაძრულიყო, გუნდგუნდად შეკრული ღურბლები მზის სხივებს წითლად შეეღება. წითელი ჩაჩქნები დაეხურათ მთებსაც და იდგნენ უზარმაზარ გოლიათებივით, ცივნი, მიუკარებელნი, თითქოს საბრძოლველად გამზადილან და მტრის მძლავრ რაზმებს ელოდებიანო. მთის უბეზე მოცეკვავე ნიავი მიჰქროდა ბარისკენ და თოვლის სუფთა ფიფქს ოდნავ აცილებდა დედამიწას, დილის ჟამს დაცვენილ მსუბუქ ფარტენებს ათამაშებდა სივრცეში...

...— დილით ადრე ავდექით, — განაგრძობდა მუსა, — მე და ჩემი ამხანაგი სოფლის ბოლოს შევხვდით ერთიმეორეს და პირი სანადირო ჭაუხებისკენ ვიბრუნეთ.

... „იქ ბევრი ჯიხვები იცის“... მეუბნებოდა ამხანაგი და ნადირთ ლმერთს დახმარებას სთხოვდა.

...იანვრის მიწურული იყო, საკმაოდ ციოდა, მაგრამ ნადირობა მაინც არ დავიშალეთ, ჩქარი ნაბიჯით შევჰყევით სანადიროსკენ მიმავალ ბილიკს. შუადღე იქნებოდა. ჯიხვებს წავაწყდით — საძოვრიდან ბრუნდებო-

დნენ სიმაგრისკენ, სადაც ისინი უშიშრად ისვენებდნენ: ნელის ნაბიჯით მოსდევდნენ ფხაგორს და მანძილა ჯიხვები ლაღობდნენ—რქებით სცემდნენ ერთიმეორეს, ჩიგანაობდნენ. შუნები კი ჩვეულებრივი სიფრთხილით იცქირებოდნენ აქეთ-იქით, ხანდისხან შედგებოდნენ და ცხვირით უსტვენდნენ, ფეხით სცემდნენ კლდეს. ჯიხვების რქების ჯახუნი აკრთობდა მათ გულს, თუ ჩვენი მიახლოვება იგრძნეს, არ ვიცი, ხოლო ეს კია, რომ იმათ დაგვიფრთხვეს ჯიხვები: ჩაუსაფრდით თუ არა, მაშინვე დაიჭყიტინეს, ნიავის სუნი დაიყარეს და გაფრთხვნენ... ვესროდით ხარჯიხვებს... რქებით ეცემოდნენ კლდის მკერდზე და ქვიშას ღებავდნენ სისხლით... რამდენი მოვკალით!.. მოვაგროვეთ ერთად, წყრომით მოგვჩერებოდნენ მათი გაცივებული ლურჯი თვალები, რომლებიც სულ ცოტახნის წინათ ჩააქრო ჩვენმა ნასროლმა ტყვიამ და მეჩვენებოდა, რომ ისინი საწყევარს გვეუბნებოდნენ... (იმითაც დაგვატყდა უბედურება!..) დიაღ, ვაგროვებდით მოკლულ ჯიხვებს, ძმაო ლეკო, და სიბნელეც თან მოგვდევდა შავი მხრებით, თითქოს ყორანი ფარფატობსო ჯიხვების სისხლზე... ჯერ კიდევ მზის დაბრძანების ჟამს ამოვარდა ქარბუქვი და ტყვიასავით გადიოდა ტანისამოსში — კანს წვავდა...გვციოდა, ძმებო, მაგრად გვციოდა, მაგრამ ალახს გეფიცებით, ისე ვიყავი, თითქოს ახლა გამოსულაო ოთახიდან, სადაც ჩეში გული, ჩემი საყვარელი ცოლი ზეზიკი ზის გახურებული ბუხრის გვერდით და ფიქრობს მუსაზე... ქარი ქროდა, საშინლად ქროდა, გარემო ბნელდებოდა... ჩვენ ვრჩებოდით ჭაუხებში უპუროდ, უცეცხლოდ... კარგა ხანს ვიდექით ერთ ადგილზე, ვაშკაცურად ვხვდებოდით სიცივეს, ვიგონებდით მამაც მტერს და ლამაზ ქალებს. შემდეგ ქარაფებს ჩავყევით გზააბნეულები, დაღლილები, მომშეულები და ცოტახნის შემდეგ ერთიმეორეც დავკარგეთ... მხოლოდ თოფის ხმით ვსაუბრობდით, მაგრამ შეხვედრა გვიძნელდებოდა. კვეხნით არ ვიტყვი, ძმაო სერგო, სიცივის ატანა შემეძლო, ღამესაც ვჭვრეტდი... მაშინ არცერთი ჭრილობა არ მქონდა მიღებული, ახლა კი... თეთრებმა ძაუგის ბოლოს ორი ტყვია შემომთავაზეს, სიცივეში ფეხს მხუთავს. მიმძიმდება, თითქოს ქვა მაქვსო დაკიდებული... ჰო, იმას მოგახსენებდით, ძმობილებო, სიცივის ატანა შემეძლო-მეთქი... ჩქარის ნაბიჯით მივდიოდი შინისკენ... ვახშმობამდინ მესმოდა ამხანაგის თოფის ხმა, მეც ვპასუხობდი, როგორც ეტყობოდა, ისიც შინისკენ მიდიოდა, მაგრამ გზა დაებნა, სხვა ხეობაზე გადავარდა...

— მე მგონია, არც ახლა დაგვადგება კარგი დღე!.. — შეეცილა სიტყვაში ლეკო და მუსასა და სერგოს მაღალ მთის მწვერვალზე მიუთითა: ფხა გორს ძაბად გაჰბმოდა ჰაერში შეტოტავებული ბუქვი, თითქოს ყალიონს ეწევაო მთა. — ის კა ლიშან არ ას, სერგო, ქარ-ბუქვი ამოვარდების... ვიჩქაროთ!.

— თანახმა ვარ, შემიძლია ნაბიჯს მოვუჩქარო. — უპასუხა სერგომ,

— კეთილი! — სთქვა მუსამ, — იქნება გგონიათ, მე ვერ შევძლებ!.. ფეხი რომ მომჭრან, ამ მთას ტოტებით გადავივლი დღეს. თუმც... საგრძნობლად დამიწყო ტკივილი ფეხმა: ეს ოხერი სულ ახალი ჭრილობაა...

— ამბავი განაგრძე... რა დაგემართათ სანადიროში? — იკითხა სერგომ.

— დიაღ... — განაგრძო მუსამ, — ამხანაგისთვის შველა არ შემეძლო... მთელი ღამე ვიარებოდი, არ დავმჯდარვარ, შემციოდა, ძალიან შემციოდა, ძმაო სერგო, ყველაფერი გაყინული მქონდა... ქარი და სიცივე უფრო ძლიერდებოდა. გავკიოდი, ვხტოდი, ხელფეხს ვამოძრავებდი... საშველი არაფერი ხყო... ენა დამება, ხელები მომიდუნდა, ფეხები აღარ მემორჩილებოდა, წაქცევას ვაპირებდი, დავეცემოდი კიდეც, მაგრამ.. უცბად ძაღლის ყეფა შემომესმა!.. ჩემი ძაღლი ყეფდა, ჩემი ბროლია!.. ყეფდა საშინლად... კი არ ყეფდა, კვნესოდა, ღმუოდა, წკმუტუნებდა, ძაღლის ხმის გაგონებამ იმედი მომცა, ძალა მომემატა, გავიარე რამდენიმე ბანძილი, თავს ძალა დავატანე, ენა ამოვიდგი და ძაღლს დავუძახე... საშინლად დაიწკმუტუნა: მიხვდა, გაიგონა, უეჭველად მიხვდა ჩემს გაჭირვებას: მეჩვენებოდა: იგი კბილით ღრღნიდა ჩემი ხელით ჩადებულ რკინის ჯაჭვს, მაგრად რომ მივაბი ქოხის კარზე ყარაულად... ღმუოდა, წკმუტუნებდა, ჩემმა ძმებმაც გაიღვიძეს... როდესაც ადამიანი დავინახე, შევრცხვი... უგრძნობლად დავეცი ძირს. გონს რომ მოვედი, თოვლში ვიწექი: ჩემს ძმებს დაეხვასტათ მკლავები და მზელდნენ თოვლით... ჩემი მეუღლე დამდგომოდა თავზე და მის შავ თვალებში ცრემლის ზღვა დავინახე და ცეცხლი!.. იმ ცეცხლმა გამათბო და ავიწიე!.. ფეხზე კი წამოვდექი, მაგრამ კვლავ დავეცი... ყველაფერი მტკიოდა... ალახს ვფიცავ, არ დამიკვნესია... ჩემს კვნესას ჩემს ლამაზ ზეზიკს როგორ გავაგონებდი: დამტოვებდა, სხვას შეირთავდა, მამაცი ვაშკაცი რამდენია დალესტანში...

ქარმა ჩამოუქროლა, მგზავრებს ფიფქი შეაშალა სახეში და ჭაუხების უბეებში ჰპოვა თავშესაფარი. მუსა დადუმდა, უხმოდ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, ფითქოს სათქმელი აღარაფერი აქვსო, სერგომ წაუმხრისულა და ნაღვლიანად ჰკითხა:

— შენ ამხანაგს რაღა დაემართა სანადიროში?!

— დიაღ... გამეღვიძა და ჩემი ზეზიკის თვალები დამეპკურნენ უებარ წამლად... გამოვცოცხლდი... ქარი კვლავ ქროდა, კიოდა მუცელმოწყვეტილ დედაკაცივით... გეგონებოდათ, ქვეყანას ალქაჯები დაეუფლნენო. ისმოდა: წკმუტუნი, კვნესა, კივილი და ღმუილი, საშინელი ღმუილი ფითქოს დედამიწა დაუჭრია ვილაცას და სულთ ებრძვისო... გვეშინოდა. მთელი აული შიშით კანკალებდა. ამინდის სიცუდეს ჩვენ გვაბრალებდნენ:

— ნადირთ ღმერთ შემოსწყრომია!..

— ალქაჯების ოჯახი დაუთოფიან!..

ლაპარაკი რომ შევძელი, ყველაფერი უამბე...

სოფელში ხმა გატყდა: ბექსოლდი დაკარგულაო.

ქალები ატირდნენ... ლამაზი ქალები...

მამაკაცებს სიტყვა გაუშრათ პირზე. ფიქრს მიეცა ყველა.

კარგი ვაშკაცი იყო ბექსოლდი:

ჯიშიანი!

მამაცი!..

კარგი მსროლელი!..

ამხანაგის გამტანი.

კლდეში ისე დადიოდა, როგორც კატა კერაზე!..

იმწუთშივე მოგროვდნენ ვაშკაცები, მკითხეს გზაკვალი და სანადიროში წავიდნენ ბექსოლდის მოსაძებნად.

ვიწექი ლოგინში, ჩემი ცოლი მივლიდა, ჩემი ზეზიკი. მისი თეთრი ხელები მალამოსავით მხვდებოდნენ დამზრალ ტანზე, მისი შავი თვალები შარბათივით მიღვრიდნენ სილაღეს გულში, კოცნა იყო ტკბილი, შაქარზე ტკბილი... (ნეტავ ახლა რას აკეთებს ჩემი ზეზიკი!..) ვიწექი მეთქი, გული მიდნებოდა, ხელფეხი მტკიოდა, ყველაფერი დამზრალი მქონდა, ძმობილო სერგო, მეორე დღეს...

მუსამ სათქმელი ვეღარ დაამთავრა: ჭაუხებიდან ჩამონაქროლმა ნიავმა თოვლში გახვია იგი.

მგზავრები შედგნენ...

ლეკომ მწყრალად შეხედა ცას, შავი ღრუბელი ზღვის ტალღებივით რომ აეზვირთა მკერდზე, და ჯალაბაურმა ნაღვლიანად უთხრა სერგოს:

— ცუდი ამინდი დგება, მოგვატყუა დილამ...

— გულს ნუ გავიტეხთ!.. გვახსოვდეს: ერთი დღით დაგვიანება ავნებს ჩვენს საქმეს... სახუმროდ ხომ არ მივდივართ, ლეკო, საქართველოში...

— ალახის მადლს ვფიცავ, ნამქერის მაგიერ ცეცხლის-მფრქვეველი ვეშაპები რომ გაწვნენ გადასასველზე, ზედ გადავხტები!.. — იამაყა მუსამ.

— ეხ, ქისტო!.. ნეტამც არ იყავთ სუბუქი!.. ლეკოს თქვენთვის ეშინია, თქვენი დაღუპა არ სურს, თორემ... აქ გაიზარდა ლეკო, ტიალ მთებში... ოცდაათი წელიწადი უჭვრიტა ამ გორებს.

— ვიაროთ! — თქვა მუსამ და თავის სასაუბრო განაგრძო: — ბევრი თურმე ეწვალნენ ახალგაზრდები. ბოლოს ნამქერზე სისხლის წვეთები შეემჩნიათ, მიჰყოლოდნენ კვალს და მაღალ ქარაფს გადასდგომოდნენ თავზე... იგი კლდეზე გადავარდნილიყო!.. საკაცით ჩამოიტანეს ტანდაფეთილი...

ჩვენი მოლა ამბობდა:

— შესცოდვეთ ნადირთ ღმერთს... ალახის თხოვნით მოევლინა უბედურება...

გული არ გამტეხია: ხშირად ვნადირობდი ჯიხვებზე, ახლა კი... მხოლოდ თეთრებზე, თეთრებზე ვნადირობ... — ჩაიცინა მუსამ.

არავინ გამოხმაურებია...

ქარი სისინებდა, დავლურს უვლიდა მგზავრების გარშემო; იღებდა ნამქერს, ასიგირგალავებდა—ატრიალებდა ირგვლივ, ტანზე ახვევდა მგზავრებს. ხანდიხან აცდებოდა დედამიწას, ჰაერში შეტოტავდებოდა დამფრთხალ ცხენივით ფაფარაშლილი და შემდეგ სივრცეში გაიჭრებოდა... დაეხეტებოდა გზადაბნეული კაცივით. ღმუოდა, წკმუტუნებდა და სადმე უღრანში გადაიღრჩვებოდა...

ქარისაღებული ფიფქი თოვლით დაბნელდა გარემო; უდაბურში ამოვარდნილ გრიგალს ჰგავდა გორგურებიდან დაძრული ნამქერი. გადასასვლელ მთაზე ელდელდად გამოჩნდებოდა ლემადე, პირაქეთისკენ გამოშლიდა ფრთეთ, შუბით დაკოდილ ვეშაპივით ამოიშქუნებდა, სიმწარით გადმოანთხევდა ქარბუქვს და შეყვარებულივით ჩაეხუტებოდა პირიქითელ ფორის ყელებს. ერთხანს გატვრინდებოდა, თითქოს ახალ ძალას იკრეფსო და კვლავ აოხდებოდა. ქარი ირგვლივ ატრიალებდა მგზავრებს და წინსვლას უშლიდა. გამწარებული მუსა მალიმალ წამოიკივლებდა, შეტოტავდებოდა, ნამქერს გადაახტებოდა წინ და ლეკოს თოვლის გაკვალვას ეცილებოდა. თავათ მიიკვლევდა გზას, აკვირდებოდნენ მას და ამჩნევდნენ: რაც მანძილის გავლა მატულობდა, მუსას მარჯვენა ფეხი უმძიმდებოდა, აკოჭლებდა, ახალი ნატყვიარი ჰქონდა განაკურნი, მაგრამ ქისტი თავისას არ იშლიდა, მიდიოდა წინ.

— ჩვენი გადასვლა ჭირს!.. — თქვა ჩაფიქრებულმა ლეკომ.

— რატომ?!.— გაიოცა მუსამ.

— ღურბელი მატულობს, ქარი ძლიერდება, რამდენიც მაღლა მივდივართ, იმდენიც მკაცრდების ამინდი. ქარი შუადღის შემდეგ უფრო გაძლიერდების.

— მიზანი ერთია: გადავლახოთ მთა!.. აგულიანებდა სერგო. იგი იდუმლად გადაყელავდა თანამგზავრებს წინ, შეეცილებოდა თოვლის კვალვაში. ლეკო აბუზღუნდებოდა, წაეჯიბრებოდა სერგოს და თავათ გაუკვალავდა თოვლს.

მგზავრები იღლებოდნენ... ქარი კი:

ქროდა!..

ქროდა!..

ქროდა განუწყვეტლად, ძლიერდებოდა, ხარხარით ჩაუვლიდა ულრანებს, სადღაც შორს გადაიმსხვრეოდა ქარაფებზე და აკივლდებოდა... დგანგარებდა მიდამო. ლემადე შქუნავდა. ქარი ეჯახებოდა მთათ, თითქოს დევკაცები აპირებენო მთების გადადნობას და საბერველი მიუდგესო მათ. შქუნავდა ლემადე, ღრუბელი ბორკილობდა, ეჯახებოდა ერთიმეორეს და ბოროტად ანთხევდა სუსხიან ქარბუქს. გზა ებნეოდათ მგზავრებს. მთაგორები წამით გამოჩნდებოდნენ, ფიწალო ფერდები უთამთამებდათ, ვაკესავით მოჩანდნენ არილში...

მგზავრები მაინც არ იშლიდნენ წინსვლას.

მუსა ამბობდა:

— ეს სულ ალქაჯების ბრალია, ძმაო ლეკო, ცოტაც მოვბთმინოთ, დავეწევი მათ მთაზე, მოვსტაცებ პატარძალს და ჩავუშლი ქაჯურ ცეკვას... ვიქორწინებ ოქროსთმიან ალქაჯზე, დავიხვევ მის თმებს მკლავებზე და გაგიძღვებით წინ... ალქაჯებს მაყრად გავიყოლებ, ლხინს შევაჩერებ და ქარბუქვი ჩადგება, ღრუბელი გადაივლის მწვერვალებს, გასცდება კავკასიონს და შორს, დასავლეთის მხარეს გაიფანტება ნისლეთში. ცაზე არწივები გამოჩნდებიან, სადმე შურთხები დაუსტვენენ, ახლა რომ გაჩერებულა, ჯიხვები საძოვარზე გამოიშლებიან, წყარონი ვაშას შემოგ-

ვძახებენ. სულ ცოტა ხნის შემდეგ საქართველოს მიდამო გაგვიღიმებს და ჩვენ გამარჯვებულნი ვიქნებით...

ჰოი, ალქაჯებო!..

ჰოი, ალქაჯებო!..

ალქაჯებო!..

გაჰკიოდა მუსა სივრცეს.

ლეკოს ცამდე აოცებდა მუსა: ქარში, თოვლის ბუქვს რომ აშლიდა სახეში, მიდიოდა ქისტი ფეხმტკივანი, ამაყად მოიქნევდა ხელს, უღალმაღალოს ლაპარაკობდა, უგემურად იცინოდა, ბურუსს კივილით კვეთდა და ქარს ატანდა ალქაჯების წყევლა-კრულვას, ხარხარებდა, მკაცრად ხარხარებდა მუსა, თითქოს დასცინისო ბუნებას.

თავათ ლეკო ფრთხილად დაიარებოდა, ხელის გულის ოდენა ადგილსაც კი ზომავდა, უფრთხილდებოდა, — ფეხის დასადგმელს ეძებდა. ნაბევარი ნაბიჯის გაუფრთხილებლად გადადგმაც კი დაღუპავდა მგზავრებს: ზვავად იჭექებდა ჩამძიმებული თოვლი, ორსულ ქალის მუცელივით რომ დაჰკიდებოდა მთის ფერდებს. ასეთ ადგილებში იგი ამხანაგებს შეაყენებდა, თავათაც შედგებოდა, სუნთქვას შეინელებდა, არგნით მოსძებნიდა ბილიკს, ფრთხილად გაზომავდა ,ნაბიჯს და ნაფეხურში ფეხის დადგმას უბრძანებდა ამხანაგებს...

ასე ვიდოდნენ ისინი გრძელ სადილობამდე...

— წინ!..

ამბობდა სერგო, დინჯი, ზვიადი, და მისი ხმა ფრანგულივით ჰკვეთდა ბურუსს.

აერჭოლებდა ლეკოს — მუხლებში ძალა ემატებოდა ჯალაბაურთ სიამაყეს.

მუსა იცინოდა და გასძახოდა სივრცეს:

ალქაჯებო!..

ჰოი, ალქაჯებო!..

იცეკვეთ, იცეკვეთ, საცაა მუხოური გესტუმრებათ!..

ლეკოს გადასძახებდა: — ალახს ვფიცავ, ძმაო ლეკო, პატარძალს მოვსტაცებ მაგ წყეულებს, ოქროსთმიან პატარძალს, ქაჯად ვიქცევი და ჩემი საკუთარი მხრებით გადაგაფრენთ შორს, შორს ტფილისისკენ...

„ეხ... ნეტამც გაჩუმდებოდე, ქისტო!.. ეგ ძმობა რაღად აიკვიატე, შე წყეულო!.. მაუზერი მაინც არ გიჩანდეს, გვერდზე რომ მოგიგდია დი მალიმალ ლეკოს თვალების წინ რომ შეათამაშებ... მოკლულ გულს ნულარ უკლავ თანამგზავრს, დუსურბანო, დამალე, ცოტახანს მაინც დამალე და ხვალ ვნახოთ, რა მოხდების“...

— ძმაო ლეკო, ქარბუქვისა არ გვეშინის, არა!.. — იძახის მუსა თოვლში ამოგანგლული.

ქრის ქარი და ჯაჭვებაწყვეტილი ლომებივით ღრიალებენ უღრანები. ნამქერს ანთხევენ — შუადღე უკუნეთად ხდება...

გრიგალი დაეცემა მგზავრებს, დაიფანტებიან...
სად არის მუსა?..
სად გაქრა ჯალაბური?..
სერგო რად დარჩა მარტოკა?..
ქრის ქარი!..
ქარი ქრის და ჯაჭვებაწყვეტილი ლომებივით ღრიალებენ ულრანები...
— ყმაწვილებო!..
იძახის სერგო და მისი ხმა ქარს მაყრად მიჰყვება ჭაუხებისკენ.
— ჰაუ!..
ისმის ხმა სილრმიდან, თითქოს ულრანი იძლეოდეს პასუხს.
დგას სერგო და მდუმარედ ელოდება ძმობილებს.
ქარი ქრის. ჯაჭვებაწყვეტილი ლომებივით ღრიალებენ ულრანები...
უკუნეთს თოფის სროლა ჰკვეთს!..
ერთი!..
ორი!..
სალ კლდესავით დგას სერგო, ქარბუქვი უთამაშებს გარშემო, მთაგორები დახელებულ დევებივით დალმუიან თავზე, აზვირთებულ ღრუბელთ მწვერვალები ეჯახებიან... დგას იგი დინჯი, ზვიადი და ჰაერში ფრიალებენ მისი რუხი მაზარის კალთები ვით ფრთენი არწივისა!.. ხახადაღებულ ნაპრალს დასცქერის ზემოდან და:
— ჰეი, ყმაწვილებო!.. — იძახის იგი დინჯად.
— ჰაუ!..
პასუხობს ვილაც.
ლეკოა თუ მუსა?!.
კვლავ სროლა:
ერთი!..
ორი!..
სალ კლდესავით დგას სერგო, ქარბუქვი უთამაშებს გარშემო, მთაგორები სისხლითდახელებულ დევებივით დალმუიან თავზე, აზვირთებულ ღრუბელთ მწვერვალები ეჯახებიან...
დგას იგი დინჯი, ზვიადი და ჰაერში ფრიალებენ მისი რუხი მაზარის კალთები, ვით ფრთენი არწივისა. ხახადაღებულ ნაპრალს დასცქერის ზემოდან და ქარს ამოაქვს ულრანიდან ადამიანის მიბნედილი ხმა...
ლეკოა თუ მუსა?!
ბურუსში ლანდებს ამჩნევს — ორი ვაჟკაცი ტოტებით დაჰკიდებია ფიწალო კლდეს...
— მუსა!..
— ჰაუ!..
— ბიჭო, სად დაიკარგე, შე წყეულო?!.
— ალქაჯს გამოვეკიდე, ძმობილო სერგო!..
— ეგ რაღა ამბავია?!. ლეკოს რა მოსვლია შუბლზე?!.
— განწარებულმა ალქაჯმა გაჰკრა კაწარი!..
— ბიჭო, ლეკო!..

— ავსხლტით და ულრანში დავცურდით!..

— სროლა რაღა იყო?!

— ხმას გაძლევდით, ძმაო სერგო!.. — პასუხობს მუსა.

სირცხვილის ალში იწვება ჯალაბაური: — სრუ მუსას ბრალია, ძმაო სერგო: ცეკვავს!.. ფეხი აუსხლტა, მოვეხმარე, მაგრამ ქარმა გვძლია და ულრანს მიგვცა...

— მაშ ახლა?!.

— ვიაროთ!..

— ვერაფერს ვამჩნევ: წინ სივრცე ქრება!.. — ამბობს სერგო და უკუნეთს უჭვრეტს. მიდამო დგანდგარებს, უჩვეულო გუგუნი შეუჯდება ზთებს...

— ზვავი!..

იძახის ლეკო.

გრიალი ძლიერდება. შემკრთალ ხევებს პირი დაუღიათ და თოვლის საბურველწამოსხმულები გატვრინულან.

მგზავრები შემდგარან ქარაფის ძირში: ზვავს ელოდებიან!..

სამი ვაჟკაცი მისჩერებია ერთიმეორეს!..

შიში რა საკადრისია ვაჟკაცების.

სერგოს უხარიან:

შამაცნი არიან მთიელნი!..

მთები გრიალებენ.

ზვავი ახლოვდება!..

ირგვლივ უკუნეთი წვება, შავი, საზარელი...

— ფეხი არ მოიცვალოთ!..

იძლევა განკარგულებას სერგო.

უცნაური ძალა მოაწყდა ბურუსიან არეს, ბუქვი გამკაცრდა.

— მწვერვალნი!..—კივილით წამოიძახა ლეკომ. მისი ხმა საშინელმა გრიალმა შთანთქა. გაქრა ყველაფერი... მიდამო გაუჩინარდა... მხოლოდ მთაგორები გრიალებდნენ, ახველებდნენ ულრანები...

ზვავის ხმამ გრიალით ჩაუარა მთაგორებს და სადღაც მინელდა, მისწყდა. ნელად ეცემოდა ზვავის ნაბუქვი კლდის ძირში შეხიზნულ მგზავრებს, პირქვე რომ დაზღეპილიყვნენ თოვლზე...

სამი ვაჟკაცი წამოდგა ფეხზე: უცინოდნენ ერთიმეორეს!..

— შიში რა საკადრისია, ვაჟკაცებო!..

ხერგოს უხარიან:

შამაცნი არიან მთიელნი!..

ზვავმა მეხივით გადაუარა თავზე და არცერთს ფერი არ შესცვლია!..

— კლდემ გვიხოიშნა, ძმაო სერგო!.. — წამოიძახა გახარებულმა ლეკომ და ზვავის შეშლილი თოვლი ჩამოიწმინდა სახედან.

— კლდეს კლდე მფარველობს!.. — იცინის მუსა.

— ბუნებაც ომს გვიცხადებს, ვაჟკაცებო!.. — ეუბნება სერგო თანამგზავრთ.

— ვაჟკაცისთვის ყველგან ომია!.. — ხაცბუცობს ქისტი.

იცინიან...

ზვავის უკანასკნელმა კორკომიჭამ გადაურბინა წინ, ავორდა ნაზვავზე და ხევს მისცა თავი. ძმობილებმა გზა განაგრძეს და მუსამ სივრცეს გაჰკივლა:

ალქაჯებო!..

ალქაჯებო!..

ჰოი ალქაჯებო!.. დედას გიტირებთ მუხოური!..

კოჭლობდა მუსა — ნატყვიარს ცეცხლი ეკიდებოდა ყიბმან სიცივეში...

ლეკო იდუმლად უჭვრეტდა ქისტს და დანანების სურვილი ღვივდებოდა მის გულში...

უცბად არწივის ყივილი მოიტანა ქარმა... დამფრთხალი შურთხების გუნდმა გადაუარა თავზე მგზავრებს. მათი გულამოწყვეტილი გნიასი შემზარავი იყო ბურუსიან უკუნეთში, შურთხები დამარცხებულ ჯარივით ირეოდნენ, ჭყიოდნენ, მშიერი არწივი მოსდევდათ უკან.

არწივი ძლიერი მხრებით ჰკვეთდა ქარს და მისი თბებოლონი უცნაურად წიოდნენ...

„ჰოი, არწივო!..

რა დიდია შენი სიძლიერე!..

მხოლოდ შენ შეგიძლია ლაღად ფრენა ასეთ ქარბუქვიან უკუნეთში!..“ — მუსას თვალები ნაღვლიანად გაჰყვა უკან არწივის დაგრუშვილ ფრთეთ...

ლეკო კი... გზას ეძებდა ჯალაბაურთ ვაჟკაცი და ველარ გაეცნო სავალი... იწვოდა სირცხვილით...

— სად მივდივართ, ძმაო ლეკო?!..

— ეშმაკმა იცის!..

— იქნებ გადასასვლელში ვართ?!..

— შეიძლება... ჰაერის მოძრაობა იცვალა: გამკაცრდა! — ნაწყენი კილოთი თქვა ლეკომ, დასწვდა თოვლს, მტკიცედ შეკრა ხელში და დაადგორა...

ორი ნაბიჯის შემდეგ გაჩერდა გუნდა.

— ვაკეა! — წამოიძახა მუსამ.

— მე მგონია ამოსასვლელზე ამოვედით!.. — თქვა სერგომ და ლეკოს წაუმხრისულა. — აჩქარებით საქმეს წავახდენთ, დაკვირვება გვმართებს! — უთხრა დინჯად მეგზურს...

ქროდა ქარი და მგზავრებს ირგვლივ ატრიალებდა, ქარბუქში ხვევდა, გზას უბნევდა...

გამწარებული მუსა სივრცეს აფურთხებდა და ჩახლეჩილი ხმით იძახოდა:

— ჭაუხების კუჭულაზე შემჯდარა წყეული მოხუცი ქაჯი, ძმაო ლეკო, და ბრძანებლობს!

ჩქარა!..
ჩქარა!..
ჩქარა!.. ალქაჯებო, წვრილნო და დიაც-ყმაწვილნო!..
ქროდეთ!..
ქროდეთ!..
ქროდეთ!..
ქროდეს ქარი!..
ძრწოდეს მიდამო!..
ფუ!.. დაგწყევლოთ ალახმა!.. იხარხარეთ ალქაჯებო, იხარხარეთ, მაგრამ... მუხოურთ ყმაწვილს არ ეშინიან, არა!.. მოიტაცებს თქვენს ოქროსთმიან პატარძალს და მერე, იცეკვეთ, წყეულებო...

სერგო და ლეკო იცინოდნენ და ვიდოდნენ ბურუსში.

თავი მეშვიდე

ბინდი დააწვა მთებს. ნისლები გაჩნდნენ არაგვის ხეობაში.

ვიწრო ხეობას ნაკვალევი მისდევდა და მგზავრთა ნაფეხურები თოვლითდაბურვილ უღრანებში იკარგებოდნენ. შორს, გორების ბოლოს მარტოდმარტო კაცი ძლივს მიბობღავდა თოვლზე. ხან ჩაიჩოქებდა, ხან წამოდგებოდა, ღონეს მოიკრეფდა და კვლავ განაგრძობდა სვლას...

გარემო ბნელდებოდა, იბურებოდა, დაოსებული ქარი ნელად დათარეშობდა მთის ფერდობზე, აქაიქ ბუქვი დგებოდა ყალყზე და ჰაერში იფანტებოდა, გალმა-გამოლმა ხევებზე ზვავები გრიალებდნენ და ხახადაღებულ ხევებს ავსებდნენ თოვლით. ხანდისხან ზვავი მარტოდდარჩენილ მგზავრის წინ ჩამოწვებოდა, ვიწრო ხეობაში გზას გადაუკეტავდა თოვლის მთით... ის მაინც მიდიოდა შეუკრთომლად წინ, მაგრამ ღონეგამოლეული, თოვლის კვალივით დაოსებული... შორს, გორების ბოლოს ცეცხლის სინათლეები აციმციმდნენ ახლადჩამოწოლილ მწუხრში. მგზავრს იმედი მიეცა... წინ!.. იქ უნდა მივიდეს!..

ქვედა ბაგეს იკბინა: თავს გაუწყრა, მკერდით გაანგრია თოვლის ნამქერი...

— ბოლშევიზმისთვის!.. — თქვა მან, მარტომ, თავისთვის საკუთარ გულში და მისმა თვალების ელვარებამ დაფლითა უკუნეთი...

შორს სინათლე მოსჩანდა... ძაღლი ყეფდა...

მგზავრი მიდიოდა წინ!.. თავს უწყრებოდა, ღონეს იკრეფდა, მაგრამ გულს და გონებას მუხლები ღალატობდნენ: თოვლის სიღრმე სძლევდა: წელამდე ეფლობოდა. ხანდახან შედგებოდა, დაცურდებოდა გორის ფერდებზე, ისვენებდა და ისევ განაგრძობდა გზას.

სინათლე ახლოვდებოდა... კვამლის სუნი მოჰქონდა საღამოს ნიავს...

მგზავრი მიდიოდა წინ!..

გრძელ ვახშმობის ჟამს შედგა იგი ხევსურის ქოხის წინ, გაფითრებული, დაღლილი, დაოსებული, უცხო—უცხოს კარზე... ძაღლი უტევდა ღონეგამოლეულს, მაგრამ მოგერიება აღარ შეეძლო...

ხახმატელი ხევსური, ხახონაური დინჯად გადმოდგა ჰერხოს კარზე და მკაცრად იკითხა:

— ვინ ას?!.

— სტუმარი!..

— სტუმარ ღვთისა იას!.. — ჩაილაპარაკა ხევსურმა და ნელის ნაბიჯით მიუახლოვდა მგზავრს.

— სადაური იქნები?!.

— ეგ სულერთია... მასპინძელი მჭირდება...

— მასპინძლად მიგულებდი!.. — დაიძახა ხევსურმა და ბოძივით შეუჯდა მხარს, ქოხში შეიყვანა... ოჯახი გამხიარულდა. ცეცხლი აგიზგიზდა კერაზე. ნაცარშიმოსვრილი ბავშვები გაოცებით შესცქეროდნენ უცხო სტუმარს, ხოლო დედაკაცები მორცხვობდნენ: ქოხი ღარიბობდა...

სტუმარი იჯდა სამამაცოს სკამზე, დიდგუდანურში გახვეული და ჩაფიქრებული მოლუღუნე ცეცხლს მისჩერებოდა...

— მაშ შენ ამბობ; გადარჩებიან?!.. — ჰკითხა მასპინძელს და თვალი თვალს გაუსწორა.

ხევსური დინჯად შეირხა, ყალიონი ააბოლა, გვერდზე გადააფურთხა და ჩაფიქრებულად თქვა:

— ლეკო ყოჩაღი ას, მაგრამ... ქისტს კი არ დაინდობს, სტუმარო!..

— ვითომ მაუზრისთვის კაცს მოჰკლავს?!.

— ჰაი, ჰაი!..

— მე კი არ მეგონა!.. — თქვა სტუმარმა და გაჩუმდა.

— ლეკო ეშმაკია: გზაც ამიტომ აურევია და შენ კი გგონია — ქარბუქვში დაებნაო!.. — თქვა მასპინძელმა და სწორედ, ამდროს ხმაური რამ გაისმა სოფლის ბოლოს: ყეფრები უყეფდნენ ვიღაცას, ვიღაც უყიოდა ვიღაცას...

სტუმარი შეკრთა: სახის იერი შეეცვალა, გარეთ გავარდნილ მასპინძელს გააყოლა თვალები და თავადაც ფეხზე წამოდგა... დააყურა:

— ვინ ას!.. — დაილრინა კარზე გადამდგარმა მასპინძელმა.

— უცხო!.. მასპინძელს დაეძებს!.. — იყო პასუხი.

— აქ გამოიარე, აქ!..

შემდეგ ხმაური რამ ისმოდა ბოსლის კარზე. უცბად ლეკო შემოვიდა ქოხში, თოვლშიმოგანგლული, სიცივისგან გაკრიახებული ტანისამოსით, ფერი შესცვლოდა, მძიმედ სუნთქავდა, მუხლები ეკეცებოდა...

დამხვდური სტუმრის მკაცრი თვალები უმალ ლეკოს ტანზე ნაკიდ მუსას მაუზერს და თოფ-იარაღს მოხვდა... წამოდგა იგი ცივად, მივიდა ლეკოსთან და თვალებში მიაშტერდა...

ორივე შეაკრთო ერთი-მეორის სიცივემ...

— მუსა სად არის?!.. — ბრაზიანად იკითხა სტუმარმა და მაგრად ჩაჰკიდა ხელი მაუზრის საკიდს.

ლეკოს ხმა არ ამოუღია, თითქოს გზა არ აქვსო, იდგა ცივად, შეუხლართავი...

— სად არის მუსა?!!

უფრო ბრაზიანად შეუტია სტუმარმა და მაგრად შეანჯღრია ლეკო.
ცივი ბაგენი გახსნა ლეკომ. უნდილი ღიმილი შეუთამაშდა სახეზე.
— შენი ძმობილი ჩემიც ძმობილი ას!.. — თქვა მან და მოკვეთილივით დაეცა ძირს.

ამდროს კარები გაიღო და ბოსელში მუსა შემოვიდა კოჭლობით...
ძმობილებმა ერთიმეორე გადაკოცნეს და თავის ჭირვარამი თქვეს...

* * *

დილას სამი ვაჟკაცის ნაკვალევი ვეფხთა ნახტომივით მისდევდა არაგვის ხეობას. ხევსურეთში მიდმოდიოდა ამბავი: სერგო ორჯონიკიძეს ჩაუვლიაო არაგვზე, და საიდუმლოს გულში იხუტებდნენ.

ხოლო ორი კვირის შემდეგ ხახმატელმა ხევსურმა ხახონაურმა ჭირით გადავლო მთა „ველკეთი“ და შატილს ამბავი მიუტანა ბაბო ჯალაბაურს:

ლეკო მუსას გაეფიცაო ძმად და ქალაქს წავიდა. წავიდა.
ჯალაბაურმა ყინჩად ჩაიცინა გულში და ღიმილით თქვა:
„გიხაროდეს, ტფილისო, არწივები გესტუმრებიან!“..

ანდრო თევზაძე.

ჩანჩქერები

ჩანჩქერებო, რად ხარხარებთ?
რა გახარებთ ნეტავ ასე?
ხევი ნებით გიღებთ კარებს,
რად მიდიხართ შეტევაზე?

ვნახე: თქვენი ბროლის ტანი
ტყეში ფესვებს მკლავზე ეწვა,
ახლა როგორ გაგიმეტათ
ამ კლდეებზე დასალეწად?

თქვენ კი მაინც სულ ხარხარებთ
და წინ მიხვალთ გამუდმებით;
რატომ სტოვებთ მშრომელ მხარეს?
მთებში როდის დაბრუნდებით?

გიყვართ წინსვლა, გიყვართ ბრძოლა,
არ გედებათ ტანზე ხავსი;
თქვენც იცით, რომ მოძრაობა
არის ქვეყნის შინაარსი!

ჩანჩქერებო, რად ხარხარებთ,
რა გახარებთ ნეტავ ასე?
მე ცხოვრებას შეგადარეთ
და ერთმანეთს დაგამსგავსეთ.

შეგინახავთ ტყე და მთები,
სხივს დაგაფენთ მზე და მთვარე;
თქვენ არასდროს დაბერდებით,
მუდამ ასე იხარხარებთ!

მეც მწყურია თქვენი ხვედრი,
სიხარული რომ გულს ერგოს;
იხარხარეთ, იხარხარეთ,
გაზაფხულის ჩონგურებო!

კლავდია დევდარიანი

დაიგვიანა

არჩილი მსუბუქი ნაბიჯით დაეშვა ყაზბეგის ქუჩის დაღმართზე. მიდიოდა მსუბუქად, ფართო მხრების თავისუფალი რხევით. ამწვანებულიყვნენ ქუჩის ორსავე მხარეს ჩამწკრივებული ხეები. მაჯის საათს დახედა. ფეხი აუჩქარა.

გუშინ ციალას აღუთქვა სრულ შვიდ საათზე კიროვის ბაღში, ჩოგბურთის მოედანზე ვიქნებიო. იჩქაროდა. ლექციების დაწყებამდე უნდა ევარჯიშნა, თორემ ახლოვდებოდა შეჯიბრების დღეები. კიდევ რამდენიმე დღე და შეჯიბრების მონაწილენიც ჩამოვიდოდნენ.

არჩილი შევიდა ბაღის ფართო შესავალში.

ჩოგბურთის მოედანზე არავინ იყო. მტკვრისკენ წავიდა, გადახედა ქალაქს. მდორედ მიიზლაზნებოდა მტკვარი. ხელისგულივით მოსჩანდა სანაპირო ქუჩა, ვერის პარკი. ლამაზ ქუჩაზე მისრიალებდნენ მსუბუქი ავტოები. გამოსულიყო რამდენიმე ველოსიპედისტიც.

არჩილი ბალახებში გაწვა. გაჰყურებდა ქალაქს, აგონდებოდა ძველი სახე ქალაქისა, გონებაში ძველი სწრაფად იცვლებოდა ახლით. მოაგონდა ნაგვით სავსე სანაპირო ქუჩა, ეს ადგილები, ძველი საფლავებითა და წარწერებით. მეხსიერებაში აღდგა რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლი. მერე უეცრად ციალაზე გადავიდა. ოთხი წელია ერთად არიან, ერთ კურსზე, ერთად მეცადინეობენ, ჩოგბურთს ერთად თამაშობენ. არჩილს ვეღარ წარმოუდგენია ყოფნა უციალოდ. ციალა მისთვის ისევე აუცილებელია, როგორც წყალი, მზე და ჰაერი.

ციალას? ვერ გაუგია არჩილს, თითქოს იმასაც უყვარს, სულ ერთად არიან. არჩილი გულალმა გაწვა. აკაციის ჩირგვს ხელი გაუწია. ფოთლის ერთი ღერო წაწყვიტა, თითო ფოთოლს წყვეტდა, უხმოდ იმეორებდა:— ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ, ვუყვარვარ... არ ვუყვარვარ—შერჩა ბოლოს. გაბრაზდა, გადააგდო. არა, დღეს უსათუოდ ეტყვის. ან ჰო, ან არა! რად დაებმის ხოლმე ეს ოხერი ენა, როცა დაინახავს.

მოედნისკენ გაეშურა. ციალა მოსულიყო, სკამზე იჯდა. წითლადმოყრილ აგურის ფხვნილზე რაღაცას ხაზავდა. არჩილი ფეხაკრეფით მიუახლოვდა. დაბალი ხმით წამოიძახა:

— ციალა! — იგრძნო, ხმა უკანკალებდა, შეჩერდა.

ციალა წამოხტა, ზღვისფერი თვალები შეანათა. წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— მძინარა, სად იყავი ამდენხანს?

— მე? დიდი ხანია მოვედი.

— ჰუ, ერთი ამას დამიხედეთ. — მიახალა ციალამ, მხრებში ჩოგანი დაჰკრა. — აბა ჩქარა, დავიწყოთ.

შვლის მსუბუქი ნაბიჯით წავიდა მოედნისკენ. არჩილს თავბრუს ხვევდა მისი ცქერა. თითქოს განგებ გალამაზებულიყო ციალა ამდილით. მხრებამდე ჩამოშვებული ხუჭუჭი შავი თმები, მარჯანივით წითელი ტუჩები, თავბრუს ახვევდნენ არჩილს.

დაიწყეს ვარჯიში. არჩილის თვალთახედვა ციალას დაეპყრო. დღეს მისთვის მეტი აღარაფერი არსებობდა. გონება ერთ აზრს უტრიალებდა: უნდა გაიგოს, უყვარს თუ არა ციალას. მისი თამაში უხეირო იყო და მოუხერხებელი. ციალას აბრაზებდა უთანასწორო პარტნიორი.

— არჩილ, რა დაგემართა შენ დღეს?

— მოიცადე, ციალა, ცოტა დავისვენოთ, — გაისმა არჩილის მავედრებელი ხმა. არჩილი მოედნის ნაპირისკენ წავიდა. ბალახში გაწვა. ჩოგანი გვერდზედ გადისროლა. ციალაც ნელი ნაბიჯით წავიდა მისკენ. ხელში ვარდი ეჭირა, ფურცლავდა, ცალხელში იგროვებდა. ციალაც დაღლილიყო, უცნაურად ებერებოდა პატარა ცხვირის თხელი ნესტოები. არჩილს მიუახლოვდა.

— რა დაგემართა, არჩილ?

არჩილმა ხმა არ გასცა. მხოლოდ მისი შავი თვალები უჩვეულო ცეცხლს აფრქვევდნენ. ციალამ უხერხულობა იგრძნო, თვალები დახარა. მაგრამ არჩილის უცნაურ მზერას ვეღარ გაუძლო.

— არჩილ, თუ არ გინდა თამაში, მე წავალ.

— არა, — სწრაფად წამოიძახა არჩილმა, ზეზე წამოიჭრა. ციალასთან ძლიერ ახლოს მივიდა. თვალებში ჩახედა.

— იცი, ციალა, შენი წამწამები კაცს შეღებილი ეგონება.

— ხა! ხა! ხა! რა უხეირო რამა ხარ! — მიახალა ციალამ. ვარდის ფურცლები სახეში შეაყარა. არჩილი შეაკრთო ამ ხარხარმა. სწრაფად შეიკრა წარბები. ჩოგანს ხელი წამოავლო.

— წამოდი, ვივარჯიშოთ.

დამარცხდა. ცუდად დაიწყო. თავი მთლიანად ჩოგბურთის ვარჯიშს მისცა. თამაში მართლაც მშვენივრად დაამთავრა.

რამდენიმე დღეა შეჯიბრება ტარდება. იმარჯვებენ ციალა და არჩილი. არჩილს ახარებს ეს. ციალაც უფრო ახლობელი გახდა. ის კითხვა, უყვარს-თუ არა ციალას, გამოურკვეველი დარჩა მისთვის. კვლავ გადიკითხა ყაზბეგი, ტურგენევიც, თითქოს შეისწავლა სიყვარულის გამოცხადების ყველა ხერხი, მაგრამ ციალასთან ამ საკითხზე დაწყებული ლაპარაკი კვლავ სასაცილო გამოუდის და უხეირო. აღარ იცის — რა ემართება, ლაპარაკი კარგად იცის, არც გონება აკლია. რაღა ციალასთან ეშმის ენა,

ეხმობა გონება. თანაც ციალა ძალზე დაუმეგობრდა შეჯიბრებაში ერთ მოსკოველ მონაწილეს. ამ ამბავმა სულ თავგზა დაუბნია არჩილს. რაღაც გაურკვეველი მანძილი გაჩნდა მათ შორის. ზოგჯერ თითქოს ციალა ერიდება. როცა არჩილს უარით გამოისტუმრებენ და ეტყვიან: ციალა შინ არ არისო, არჩილს ეჩვენება, რომ ციალა სახლში იყო და დაემალა. ეს ამბავი აღელვებს არჩილს. ნუთუ ციალა ერიდება?

ახლა, მივა თუ არა ციალასთან, აუცილებლად ეტყვის, პირდაპირ ეტყვის, მორჩა და გათავდა. თავისივე გადაწყვეტილებამ გაახარა. შეჩერდა. განიერ გულმკერდით ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი. როგორ ეტყვის? მივა. ხელზე ხელს მოჰკიდებს. ოდნავ მოუჭერს კიდეც და ეტყვის: „ციალა, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია". თავისივე ხმამ შეაკრთო. შერცხვა. მიიხედმოიხედა. არავინ იყო. თვალი ყვავილების მაღაზიას შეასწრო, შეჩერდა, გაიღიმა. მაღაზიას მიუახლოვდა. ყვავილები შეათვალიერა. ურიგო არ იქნება ლამაზი თაიგული გააკეთებინოს, თან წაიღოს. ციალას უყვარს ყვავილები.

— შემიკონეთ თაიგული! — მიმართა არჩილმა ყვავილების გამყიდველს. ყვავილების გამყიდველმა მოხუცმა სათვალეებს ზემოდან გადმოხედა არჩილს, კეთილი სახე ღიმილმა გაუნათა. კითხვა შეაგება:

— როგორი ყვავილები გინდათ, ყმაწვილო?

— რაც შეიძლება, კარგი თაიგული იყოს.

— ყვავილებსაც თავისი მნიშვნელობა აქვს, ყმაწვილო. წითელი სიყვარულს ნიშნავს. თეთრი — სიძულვილს, ყვითელი — განშორებას. ყველაფერს თავისი აზრი და შინაარსი აქვს, — განაგრძობდა ნელნელა მოხუცი. აქა-იქ თაიგულებიდან ამოჰქონდა ყვავილი და ჰკრავდა მთლიან თაიგულს.

— ეგ მე არ ვიცოდი. მაშ, რაც შეიძლება, მეტი წითელი ყვავილები იყოს.

— ჰა! ჰა! ჰა! — კმაყოფილებით ჩაიხითხითა მოხუცმა. — ყვავილები თქვენი გულის სატრფოსთვის მიგაქვთ. მეც ვეცდები მშვენიერი თაიგული გაგიკეთოთ. — შეკრული თაიგული მაღლა ასწია, შორიდან დაანახვა არჩილს. — აი, ამ თაიგულით კი უსათუოდ გაიმარჯვებთ.

— ვითომ? — თავისდაუნებურად წამოცდა არჩილს.

— ნუ გეფიქრებათ, ყმაწვილო. ისეთი ხელი მაქვს, ჩემი გაკეთებული თაიგული არ გაცდება. ინებეთ, გისურვებთ გამარჯვებას! — არჩილმა თაიგული ჩამოართვა, ფული გადასცა. შედგა, თავი თბილისის ქუჩებში წარმოიდგინა თაიგულით ხელში. უხერხულობა იგრძნო. ყვავილების გამყიდველს მიმართა:

— გამიხვიეთ ქაღალდში.

— ნუ გრცხვენიათ, ყმაწვილო. სიყვარული სირცხვილი არ არის.

არჩილმა კმაყოფილებით შეხედა მოსაუბრეს. ჩქარი ნაბიჯით გასწია ციალას სახლისკენ.

ზარის ფოლაქს ხელი დააჭირა. კარი გაიღო. შეიწვიეს. არჩილი ანგარიშმიუცემლად შევიდა. სასტუმრო ოთახიდან მოღწეულმა ხმაურმა შეაკრთო. ხმაურს ჭიქებისა და დანაჩანგლის წკრიალი უერთდებოდა. — რა

უნდა იყოს? უკან დახევა გვიანღა იყო. კარი შეაღო. სუფრის თავში იდგნენ ციალა და მოსკოველი. მოსკოველს ციალას მხრებისთვის შემოეხვია ხელი. მეორე ხელი ღვინის ჭიქით, მაღლა აეწია, ღიმილით ღებულობდა მილოცვას. მაგიდის გარშემო შემომსხდარი ამხანაგების ხელში კი ციმციმებდა წითელი ღვინით შეფერილი ჭიქები.

არჩილი კარებში შედგა. ციალამ თვალი შეასწრო. ღიმილი სახეზე დაკვდა, თვალები ძირს დახარა. გრძელი წამწამები ჩამოიჩრდილა. წამი და... არჩილმა ყველაფერი განიცადა. სიბრალული იგრძნო ციალასადმი. მიუახლოვდა. ღიმილით უთხრა:

— მომილოცნია, ციალა!—თაიგული გაუწოდა. მოაგონდა მოხუცი მეყვავილის სიტყვა: ჩემი თაიგული უთუოდ გაიმარჯვებსო. გაეღიმა. თაიგულმა მართლაც გაიმარჯვა. თვალი შეასწრო, თუ როგორ კანკალებდა ციალას ხელი თაიგულის ჩამორთმევის დროს. გულში თითქოს რაღაც ჩაწყდა. შეშინდა, საიდუმლო არ გაეთქვა. მოტრიალდა, ამხანაგებმა ადგილი დაუთმეს. ჭიქა მიაწოდეს. — დალიე მეფედედოფლის სადღეგრძელოო.

— ბედნიერი იყავით! — უჩვეულო მაღალი ხმით წამოიძახა არჩილმა. ჭიქა ბოლომდე დასცალა.

— ყოჩაღ, არჩილ, ვინა თქვა, არ სვამსო? — მიაძახეს აქეთ-იქიდან.

— დღეს ვსვამ, და ვულოცავ ციალას ორგვარს გამარჯვებას. ხომ ხედავით, მარტო ჩოგბურთში გამარჯვება არ იკმარა. მოთამაშეც ზედ მიაყოლა! — ყველამ გადიხარხარა.

— შენ? შენ რა ქენი არჩილ? ნუთუ ერთი თვალჟუჟუნა შენც ვერ დაატოვებინე მოსკოველებს? — არჩილმა არაფერი უპასუხა. როიალთან მივიდა, თავი ახადა. არ დამჯდარა, ისე აამღერა აკორდი.

დაიკვნესა უკანასკნელმა აკორდმა არჩილის თითებს ქვეშ. ყველანი თავდახრილი იდგნენ. სიჩუმეს არავინ არღვევდა. არჩილი კარისკენ უხმოდ წავიდა. კიბეზე დაშვებულს ზემოდან ხმა შემოესმა.

— არჩილ! — ეძახდა ნაცნობი ხმა. შედგა. მოიხედა. კიბის თავში ციალა იდგა. გრძელ წამწამებზე ორი ცრემლი უბრწყინავდა. ათრთოლებული ხელები კი ცხვირსახოცს ჭმუჭნიდა.

არჩილი შეკრთა. ციალა უცნაურად იზიდავდა. წამი და ის მივარდებოდა ციალას. გვიანღა იყო... სირბილით დაეშვა კიბეზე...

ნიკოლოზ გუნია

ლექსები კოლხეთზე

დილა კოლხეთში

ნიავს დიდხანს ეძინა
მერცხალივით მჩატესა...
ცას სიმორცხვე შესძინა,
ბაღში ყრჟოლა ჩათესა.
მზის სხივებად დაწნული
დღე გადმოდგა ცისმარი,
როგორც ეშხი ქალწულის
და უმანკო სიზმარი.
ტბა რომ ბროლად ჩაბანა,
გადაფარჩა დობერა;
გაქრა ნისლი ჯაბანი,
სისხამს სიომ დაბერა.
სატრფოს თვალთა ციმციმი
ცაზე გაუჩინარდა
და ბურუსიც სიმძიმით
ჩუმად ჩაწვა ჩინართან.
მზე სხივების ჩანჩქერით
მიწას ჩარეცხს, ჩაფერავს;
ციდან ოქროს ნაჭერი
დაღვრის წითელ საფერავს.
ზღვა მზის ღიმილს შეკონავს,
ოქროს ტივად ჩაიტანს
და კოლხელი გოგონა
ცეცხლზე შედგამს ჩაიდანს.

კოლხური ცის ქვეშ

კოლხური წყარო ოქროს თასებით
შესვა მზემ ბალღის ცრემლივით წმინდა.
ქალწულის ღიმილს ქსოვდნენ ვაზები
და მტევნის ეშხი ფოთლებში წვიმდა.

თვალწინ ხავერდად გაშლილი მოლი—
მზისქვეშ განაბულ ზღვასავით ჩანდა.
ცა გატყდა, როგორც ნათალი ბროლი,
და ზურმუხტებში შრიალით ჩადნა.

ტბის მკერდი ნაზად შეთრთოლდა წამით
და სარკესავით დაიწყო ბზარვა.
ფორთოხლის რტოზე ეკიდა ნამი —
ძაფზე სათუთად აცმული ქარვა.

მზე ჟრჟოლას თესდა კოლხეთის ცაზე,
როგორც ქალწულის პირველი კოცნა;
ბაღთან ასული შედგა, და ასე
მკერდზე დაყრილი გიშერი მოწნა.

მწიფე მანდარინს შეახო ხელი,
ჩამოკრიფა და... იფეთქა ალმა.
იდგა: მკერდსავსე მიწის სურნელი,
ქალის ეშხი და ამაყი პალმა.

ფოთლები ლალის შუქში ჩაიწვნენ,
დატკბნენ მთები და ხალიჩა შალეს,
ოქროს უბეში წყნარად ჩაიწვენს
კოლხეთი ზღვას და დაუწყებს ალერსს.

ხანძარი ზღვაზე

მზე ეშხით ქსოვდა ატლასის თაღებს,
იჯდა ზღვაზე და ანთებდა ხანძარს.
ცეცხლი ეკიდათ ბროლისფერ ტალღებს
და გემზე ობლად დარწეულ ანძას.

ზღვა გავდა ღამით ანთებულ ვულკანს,
ცეცხლივით წინწკლებს აყრიდა ქვიშას.
კოცნიდა ნაპირს, გარბოდა უკან
და ცხელ სილაზე სტოვებდა ნიშანს.

ავარდნილ კოცონს კოცონზე მიცლით
დაადევნებდა ტალღების სისქეს.
და, როგორც თივის ბულულებს ფიწლით,
ანთებულ ზვირთებს ისროდა ცისკენ.

ქარვის მარცვლები ბაღნარებს მეგრულს
აწვიმდა, როგორც წამწამებს ცვარი.
მზის სხივებს ოქროს ტივებად შეკრულს
ალივლივებდა ტალღა და ქარი.

კ რ ი ტ ი კ ა

შ. იმნაძე

ილო მოსაშვილი

თანამედროვე ქართულ საბჭოთა პოეზიაში ილო მოსაშვილს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

ილო მოსაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა წლებში. მისი იმდროინდელი შემოქმედება უმთავრესად სოფლის პატრიარქალური თემატიკით განისაზღვრებოდა. მასში საგრძნობი სიძლიერით იყო მოცემული სოფლის იდილიური ბუნების ლირიკულ-სანტიმენტალური გამოტირება. ის თავისი პოეტური კონცეპციით წვრილ-ბურჟუაზიული კლასის ფსიქო-იდეოლოგიის გამომხატველი იყო, დღეს კი იგი საბჭოთა პოეზიის მოწინავე რიგში დგას. ილ. მოსაშვილმა განიცადა იდეური და შემოქმედებითი გარდაქმნის უდიდესი ევოლუცია და მუშათა კლასის სოფლმხედველობის ორგანიულ დაუფლებამდის მივიდა.

ილო მოსაშვილი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გარკვეულად არცერთ ლიტერატურულ დაჯგუფებას არ ეკუთვნოდა, მიუხედავად იმისა, რომ 1928 წლიდან „არიფიონის ჯგუფში“ შედიოდა. მისი პირველი პერიოდის შემოქმედებას ბევრი ჰქონდა მსგავსება (ფორმალური თვალსაზრისით) სიმბოლისტთა პოეტურ პროდუქციასთან, მაგრამ ის არ იზიარებდა ამ სკოლის ესტეტიკურ თვალსაზრისს და უფრო ესენინისებური სოფლის იდილიური ბუნების ლირიკულ სანტიმენტალურ გამოტირებას გვაძლევდა:

„და პატიოსან კაცობას ვფიცავ, —
ახლა სოფელში როცა ვიყავი,
მუხლმოკვეთილი დავემხე მიწას
და თვალზე ცრემლი ვერ შევიკავე“.

ეს გულაჩუყებულობა, ეს ტკბილი სანტიმენტალური ლირიზმი წითელი ზოლივით გასდევს მისი პირველი პერიოდის შემოქმედებითს პროდუქციას. აქვე ხაზი უნდა გაესვას აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ მოსაშვილი ამ პერიოდში ერთგვარ დაბნეულობას, სწორი გზის უქონლობასა და უპერსპექტივობას განიცდის. შემდეგ, სოციალისტური მშენებ-

ლობისა და სოციალისტური კულტურის არაჩვეულებრივი ზრდის ზეგავლენით პოეტის სოფლმხედველობრივ შემეცნებაში ხდება რადიკალური გარდატეხა, თავს იჩენს უტყუარი ტენდენციები საბჭოთა ხელისუფლებასთან გულწრფელი მოსვლისა, რამაც დიდი პოეტური ძალა შეჰმატა მას ძველი გზის გადაფასებისთვის, პოეტმა იგრძნო თანამედროვეობის უშუალობა და მიეცა საშუალება დიადი სოციალისტური ცხოვრების დამაჯერებელ ფერებში ასახვისა. მის უკანასკნელ პოეტურ პროდუქციაში ისმის სიცოცხლისადმი სიყვარული და ჯანსაღი ოპტიმიზმი, რომლითაც ასე გაჟღენთილია ჩვენი დღევანდელი სოციალისტური სინამდვილე.

ილო მოსაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის პირველი პერიოდი გრძელდება 1929-30 წლებამდის. ამ პერიოდში მისი შემოქმედებითი თემატიკა, როგორც უკვე ვთქვით, სოფლის საყოფაცხოვრებო პირობებითა და მისი იდილიური ბუნებით განისაზღვრებოდა. ამ მხრივ საინტერესოა მისი ლექსები: „გამოთხოვება სოფელთან“, „ბარათი“, „ულელტეხილზე“, „თანამედროვე პოეტებისადმი მიწერილი“ და სხვ. ამ ლექსების თემატიკურ რკალში მომწყვდეულია სოფელი. სოფლის ბუნების მხატვრული პეიზაჟის ფონზე ნაჩვენებია პოეტის სუბიექტური განწყობილება. პოეტი სუბიექტური განცდების გზით ალიქვამს ბუნებას და თავისებური პოეტური აპერცეპციით ჰქმნის სურათს, რომელშიც პიროვნული ყოველთვის წინა პლანზე დგას:

„აი ეს ქოხი, აგერ ბებია,
დედიჩემის ხმა კიდევ მახარებს...
შევცქერი ვაზებს ოქროსთმებიანს,
ჩემსკენ რომ მორცხვად თავი დახარეს“.

ლექსში—„ბარათი“ —პოეტი იგონებს ხანას, როდესაც ის „გულღია მეფე უფალი“ მარტო მღეროდა „ბებერ იფანთან“. ეს ბარათი თავისი ლირიულ მელოდიურობით უახლოვდება სერგეი ესენინის დედისადმი გაგზავნილ ბარათს, რომელშიც გრძნობათა უშუალო ინტიმურობა უმაღლეს საფეხურზეა აყვანილი. პოეტს აგონდება თავისი ბავშობა. მას იზიდავს სოფლის საგაზაფხულოდ მორთული აყვავილებული ბუნება, სადაც დაჰყო მან ახალგაზრდობის წლები და „სადაც ბავშვობა და სიხალისე ვერცხლის წყალივით ჩამოიფანტა“, იგი წერს:

„მანდ ახლა მწყობრად ისმის მაყრული,
ძღვენს ამზადებენ ნათლიდედები.
და გოგოები თმაგადაკრული
ღობესთან სხედან, როგორც მტრედები.
მინდა მანდ ვიყო წუთით, დროებით,
ცის ქვეშ გულღია... მეფე... უფალი:::
მხრებზე მეხუროს თეთრი რტოებით
ნუში, ტყემალი და ალუბალი“.

ბავშვობისდროინდელი განცდები კარგადაა აგრეთვე გამოხატული ლექსებში „ულელტეხილზე“ და „გამოთხოვება სოფელთან“, რომლებიც 1926 წელსაა დაწერილი. ამ ლექსებში „გამოთხოვება სოფელთან“ მეტად შტკივნეულ და მწვავე ფერებშია აღწერილი. მაშინდელი ძველი სოფელი არსებითად განსხვავდება დღევანდელ კოლექტივიზირებულ სოციალისტურ სოფლისგან. პოეტი პირველ პერიოდში პატრიარქალური სოფლის აპოლოგეტია და მას ძლიერ იზიდავს მისი პრიმიტიული ბუნება.

მაშინაც, როცა „სად არ ნათრევი პოეტი“ ქალაქმა მიიღო, მასში „მაგიური“ ძალით ცოცხლობს კერძო-მესაკუთრული სოფელი, სადაც ყოველი სუნთქვა მზისა და მიწის ნაზია და ნებიერი. მის წარმოდგენაში ისევე ელავენ ლასტის ქოხები, სოფლის იდილიური ბუნების პეიზაჟური სურათოვნება:

„თვალი შორიდან შენს ქედებს იჭერს,
ფიქრში ელავენ ლასტის ქოხები,
ვხედავ მიმავალ ნიშნობის ბიჭებს
ნუშის გულების ახალოხებით“.

ლექსში — „თანამედროვე პოეტებისადმი მიწერილი“ — პოეტი ასეთივე რომანტიკული ეგზოტიკის გზით იძლევა „გიჟი ქალაქის“ და სოფლის იდილიური ბუნების დაპირისპირებას, და პრიმატს, რა თქმა უნდა, სოფელს ანიჭებს: „თქვენ ქალაქები ცეცხლს შეპარული და მე-მზიანი სოფელი დამრჩეს“-ო — სწერს იგი თანამედროვე პოეტებს.

ამ პერიოდში პოეტი ამჟღავნებს აგრეთვე უიმედობას. მას არა აქვს მომავლისადმი ნათელი რწმენა და პერსპექტივა. მის შემოქმედებაში ისმის გულგატეხილობისა და პესიმისტური განწყობილების მოტივები. პესიმისტური განწყობილების მოტივებს ენასკვება მისტიკურ-რელიგიური ბურუსით გაბრუება. პოეტის ხედვის არე ამ პერიოდში ბინდის ზეწარშია გახვეული:

„მივყავდი ტალღებს, გზადაბურული —
და მდევდა კვლავ თან ბედის მწერალი.
მიმაქანებდა, როგორც შურდული,
ფიქრი ღმერთებთან ნაქიმერალი
გადავიფარე ბინდის ზეწარი,
ყოველი წუთით განცდა სხვაობდა
და დავსხლტი ისევ... და უეცარი
ბედი ოხერი ამიჭაობდა“.

„უიმედობის ჯვრებზე გაკრულმა პოეტმა ბევრი ტკივილები განიცადა, ბევრჯერ დაეცა ცხოვრების „გაუვალ გზაზე“ და ამ გარემოების გამო ბევრჯერ ჰქონია „გული მოკლული“. პოეტი ნაღვლიანი განწყობილების გზით გვიხსნის თავის შინაგან სულიერ სამყაროს და გვაცნობს, რომ „სიხალისე დილის ზარივით აღარა რეკავს ახლა გულიდან“. პოეტი გრძნობს თავისი გზის მცდარობას, უნდა როგორმე აცდეს იმ უკუნეთს,

რომლისკენაც მიდის ის, მაგრამ ეს ცდა პირველ ხანებში სუსტი იყო და პოეტი არსებითად ისევ ძველი პესიმისტური განწყობილების ტყვეობაში რჩება. ვერ ხედავს ვერსად გამოსავალს და მწარედ მოსთქვამს:

„საით წავიდე, ავცდე უკუნეთს,
გულო, გატეხილ ბედის ნაჭერო“.

ეს პესიმისტური გოდება არ იყო შემთხვევითი. პოეტის წვრილბურჟუაზიული განწყობილება საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში გამოსავალს ვერ პოულობდა. შემდეგ, სოციალისტური მშენებლობის კოლოსალური ზრდისა და კულტურული აღორძინების ზეგავლენით იგი თანდათან და გულწრფელად მივიდა საბჭოთა სინამდვილესთან, რამაც ი. მოსაშვილს დიდი პოეტური ძალა შემატა ძველი პოეტური კონცეპციის გადაფასებისთვის. ძველი პოეტური კონცეპციის გადაფასების, იდეური გადაიარაღების პროცესი პოეტმა საკმაოდ მტკივნეულად განიცადა. ერთბაშად არ მომხდარა მისი წვრილ-ბურჟუაზიული ფსიქო-იდეოლოგიის ტყვეობიდან განთავისუფლება. ამ მანძილზე პოეტის შემოქმედებაში გადახვევებსა და მერყეობასაც ჰქონდა ადგილი. მაგრამ მოსაშვილი იძლეოდა უტყუარ იმედებს იმისას, რომ დაბოლოს ის, პოეტური შემოქმედებითი ლოღიკით მუშათა კლასის სოფლმხედველობის თვალსაზრისამდის ამაღლდებოდა — და თავის პოეტურ პოტენციალურ შესაძლებლობას სოციალისტური კულტურის აყვავებას მოახმარდა.

ლექსში: „ნაწყვეტი ფოთლების, გულისა და ლექსების შესახებ“, რომელიც 1928 წელსაა დაწერილი, პოეტი მოსაშვილი გვაძლევს თანამედროვე სოციალისტურ სინამდვილესთან გულწრფელი მისვლის ტენდენციებს. „როგორ გავშორდე წარსულ იარებს, ახლაც მიხვევენ დედის მკერდივით“, — ამბობს ის, მაგრამ სწორედ ამ ტკივილების კოლიზიის ფონზეა ნაჩვენები სოციალისტურ სამშობლოსადმი განუზომელი სიყვარული, სიყვარული იმ დიად ბედნიერ ეპოქისადმი, რომელმაც მძლავრად არწია ის.

„ჩემო დროებავ, მძლავრად მარწიე,
არა ყოფილხარ თავაზიანი.
გადმომაფრინე როგორც არწივი,
თუმცა მრავალჯერ დამაზიანე,
მაინც მიყვარხარ. შენსკენ მეწევა
გული, როდესაც გრგვინავს სანგრები,
ჩემი ლექსებიც ისე ეცემა,
როგორც ამ მკერდის თითო ნანგრევი“.

საბჭოთა სინამდვილესთან მისვლისთანავე პოეტი ცდილობს მოძებნოს თავისი ადგილი ქართულ საბჭოთა პოეზიაში. ამ პერიოდიდან პოეტის შემოქმედებითი ლაბორატორია მდიდრდება მხატვრული საღებავებით. მოსაშვილი თავის პოეტურ ძალას ჩვენი დიადი სოციალისტური ცხოვრების მხატვრულ ფერებში ასახვას ახმარს. ის პესიმისტური განწყობი-

ლება და სევდა, რომელსაც მაგრად ჰყავდა პოეტი შეპყრობილი, დღეს ოპტიმისტური განწყობილებებით იცვლება და უდიდესი სიხარულის გრძნობით შეჰხარის იგი დიადი სოციალისტური სამშობლოს განმტკიცებას და სოციალისტური კულტურის აყვავებას.

ილო მოსაშვილის „მეორე პერიოდის“ შემოქმედების განხილვისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „ლექსების ციკლი ალაზანზე“, „ლეკური სიმღერები“, „მხედრული სიმღერები“ და სხვა ლექსები, რომლებიც მიძღვნილია სოციალისტურ სამშობლოსა და ხალხთა უსაყვარლესი ბელადის — დიდი **სტალინისადმი.**

პოეტმა მოსაშვილმა ლექსში—„ოქტომბრის თაობას“—მოგვცა თავისი განვლილი პოეტური შემოქმედების დახასიათება და გვიჩვენა დღევანდელი სოციალისტური ცხოვრების გრანდიოზული მშენებლობა. პოეტი ამ ლექსში ესაუბრება კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უბედნიერეს ახალგაზრდობას — ოქტომბრის თაობას. პოეტი უზომო სიხარულს განიცდის, როდესაც სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ბედნიერ თაობას ხედავს და ნატრობს: „თქვენსავით ნეტავ მეც ვშობილიყავ ოქტომბრის დილასო“. შემდეგ იგონებს თავის სიყმაწვილეს, თავის განვლილ პოეტურ გზას და სწერს:

„სად არ მივლია, რა ცეცხლი მწვავდა,
მოხეტიალე ლამანჩელ რაინდს,
მაგრამ ჭიდილში საკუთარ თავთან,
ქარის წისქვილებს ვაჯობე მაინც.
ამოვიდაღე მკერდიდან ხორცი
და შევინახე წმინდა, რაც არი,
ორმოცი წლიდან — პირველი ოცი
ქარს წაუღია როგორც ნაცარი“.

ლეკური სიმღერებიდან მშვენიერი ლექსებია: „მყინვარებში შეხვედრა“ და „მოსისხლე ბაშირ“. ამ უკანასკნელში გამოყვანილია ახალგაზრდა ლეკი, რომელსაც ერთმა მწყემსმა ძმა მოუკლა. ლეკში ჯერ კიდევ ძლიერია ტრადიცია და მას ამ ახალგაზრდა მწყემსის სისხლი სწყურია. იგი ეძებს შესაფერ მომენტს განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მაგრამ, როცა შეარჩევს ასეთ მომენტს, ბელადის სახე გაიელვებს მის ცნობიერებაში, იგრძნობს, რომ სისხლის აღება ტრადიციული უმეცრების ნაყოფია და განზრახვაზე ხელს აიღებს.

საბჭოთა პატრიოტიზმის იდეა გამოხატულია ილო მოსაშვილის მთელ რიგ ლექსებში. ყველაზე მკვეთრად კი ეს იდეა მის „მხედრულ სიმღერებში“ გამოვლინდა: საბჭოთა თავდაცვითი უნარიანობის განმტკიცება ყოველი საბჭოთა მოქალაქის მოვალეობას შეადგენს. ქართულ საბჭოთა პოეზიაში ამ თემას თითქმის ყველა თვალსაჩინო პოეტი გამოეხმაურა. ილო მოსაშვილის ამ ციკლის ლექსებსაც პოეტური ოსტატობა ახასიათებს.

ილო მოსაშვილი თავის ახალ ლექსებში გულწრფელად უმღერის განახლებულ ცხოვრებას, საბჭოთა საზოგადოებრიობის კულტურულ-ეკონომიურ აღმავლობას. საბჭოთა მოწინავე ადამიანებს და კაცობრიობის გამათავისუფლებელ დიად ხარტიას — სტალინურ კონსტიტუციას და მის შემოქმედს, უსაყვარლეს ბელადს — **დიდ სტალინს.** ლექსებში „სიმღერის დაბადება", „შენ იცოცხლე", „ბელადს", „სიმღერა სტალინზე", „ხალხთა ბელადს დიდ სტალინს" და სხვებში ნაჩვენებია საბჭოთა კავშირის მშრომელი მოსახლეობის უდიდესი სიყვარული, სიხარული და აფრთოვანება დიდი ბელადისადმი. ილო მოსაშვილი ნათელი მხატვრული საღებავებით ჰქმნის ბელადის სახეს და მკვეთრი ლირიკული ხმით, გულწრფელი პათოსით უმღერის მას:

„ჰყვავის სოფელი, ჰყვავის ქალაქი,
ხალხის დოვლათი დადგა მთებურად,
შენი სიბრძნით და შენი მარჯვენით
ჩვენი სამშობლო განათებულა".

. . . . . .

„მაშ, გაუმარჯოს, ვინც ხალხის გულში
ცოცხლობს და გვაძლევს სიცოცხლის ხალისს,
ჩვენს მასწავლებელს მამას და ბელადს.
ქვეყნის დიდებას საყვარელ სტალინს!"

ლექსი—„ჩემო სამშობლო"—უმშვენიერესი ჰიმნია, რომელსაც უმღერის პოეტი სოციალისტურ ცხოვრების, სოციალისტური მშენებლობის განმტკიცებას და კულტურულ-ეკონომიურ აღმავლობას. პოეტი ისტორიული ანალოგიების გზით ცდილობს გვაჩვენოს დღევანდელობის გრანდიოზულობა.

საქართველოს წარსულ, გავერანებულ და აოხრებულ ცხოვრებასთან დაპირისპირებით პოეტი იძლევა დღევანდელი სოციალისტური ცხოვრების საამურ ყოფას და გრანდიოზულ სოციალისტურ მშენებლობას:

„ახლა მოვიდეს, დახედოს კიდევ
ალაზნის ველზე გაფენილ ფარებს.
ნახოს ავსილი რიონის კიდე,
როგორ მოურთავთ კოლხიდელ ქალებს.
გახსნას ჭალარა თბილისის კარი,
ახლა მეორედ შობილი ბავშვი
და მოდუდუნე ანკარა მტკვარი.
კოხტად ჩასმული ბოლნისის ქვაში".

პოეტური ოსტატობით და ლენინ-სტალინის პარტიისადმი უერთგულესი თანაგრძნობითაა დაწერილი ლექსი: „ლავრენტი ბერიას". ამ ლექსში პოეტი მოსაშვილი გვიხატავს დიდი ბელადის ამხანაგი სტალინის თანამებრძოლისა და მისი მოწაფის ამხანაგ ლავრენტი ბერიას პორტრეტს. ლექსში ნაჩვენებია, თუ როგორ დასტრიალებს ნაცადი ბოლშევიკის

მზრუნველი თვალი ჩვენი ცხოვრების ყოველ კუთხეს, რა დიდი სიყვარულით უვლის ის განახლებულ სოციალისტურ საქართველოს და როგორ წვრთნის, როგორ აფოლადებს „გუშინდელ ჩოხიან ადამიანებს“.

„იგი ხნულებში გახედავს სახნისს,
უვლის თითო ქვას, თითო ხარაჩოს,
აიყვანს კედელს, მაღაროს გახსნის
და შეურყეველ ხელით სდარაჯობს.

. . . . . .

იგი შორეულ მწყემსის ბინაშიც
მზრუნველი გულით მოივლის ფარეხს,
მერე მოჭედილს ქვაში, რკინაში
ფრთხილად შეაღებს თბილისის კარებს“.

რამდენადაც დიდია პოეტში საბჭოთა ჰუმანიზმი, საბჭოთა მოწინავე ადამიანებისადმი სიყვარულის გრძნობა, იმდენადვე დიდია ზიზღი და სიძულვილი მუშათა კლასის საზიზღარ მტრების — ფაშიზმის ცოფიანი აგენტების მიმართ, რომლებიც შეეცადნენ ჩვენი წინსვლა, ჩვენი აღმავლობა შეეფერხებიათ, „ჩვენს სიხარულში ჩაეშვათ გესლი“ და სამტროდ აღემართათ ხელი დიდი ბელადისა და მისი უახლოესი თანამებრძოლების მიმართ. პოეტი უდიდეს ზიზღს გამოსთქვამს მათ მიმართ და წყევლა-კრულვით იხსენიებს მათ ბინძურ სახეს:

„მიტომ ამოძვრა ხვრელიდან გველი
თავის დაწყევლილ მოდგმით და თესლით,
რომ შენს სამუხთლოდ ფმართოს ხელი,
და სიხარულში ჩაგვიშვას გესლი.
არა, გაწყდება მისი სახელი,
ველარ იფიქრებს ქვეყნად დარჩენას,
რისხვადქცეული ხალხის მახვილი
ათჯერ მოჰკვეთავს ძირში მარჯვენას.“

ასეთია მოკლედ ილო მოსაშვილის განვლილი შემოქმედებითი გზა და დღევანდელი პოეტური სახე. მან თავისი პოეტური და გულწრფელი საზოგადოებრივი მოღვაწეობით დაიმსახურა საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი ნდობა. იგი წამოყენებული და არჩეულ იქნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დეპუტატად, ხოლო საკავშირო მთავრობამ იგი დააჯილდოვა უმაღლესი ჯილდოთი, შრომის წითელი დროშის ორდენით.

კ ო ნ ს უ ლ ტ ა ც ი ა

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

ერთი მაგალითი

მწერალს „ადამიანის სულის ინჟინერი“ უწოდა დიდმა ბელადმა. ამ უაღრესად საპატიო სახელწოდების მოსაპოვებლად დაუღალავი შრომა და თავდადებაა საჭირო, გარდა იმისა, რომ ბუნებრივი ნიჭითაც უნდა იყო დაჯილდოვებული. ნიჭის გამოვლინებისთვის კი არცერთ სხვა ქვეყანაში ისეთი პირობები არ არსებობს, როგორიც ჩვენს ძლევამოსილ საბჭოთა ქვეყანაში.

სწორედ ამ გარემოებას უნდა მიეწეროს, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების რედაქციების გარშემო ათეული დამწყები ლიტერატორი იყრის თავს და ბევრი მათგანი მოკლე დროის განმავლობაში მწერალთა რიგებში შესვლის ღირსიც ხდება.

დამწყები მწერლები რედაქციებიდან მოითხოვენ რჩევა-დარიგებას შემოქმედებით საკითხებზე, მოითხოვენ სისტემატურ კონსულტაციას პირველადი შემოქმედებითი გზის გაკაფვისა და ფართო სამოღვაწეო სარბიელზე გამოსვლისთვის.

შემოქმედებითი გზის გაკაფვა და მწერლის საპატიო სახელწოდების მოპოება, არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ეს ზოგიერთ ახალგაზრდას ეჩვენება.

უნდა გვახსოვდეს, რომ რუსთაველისა და ჭავჭავაძის ქვეყანაში, ქვეყანაში, რომელსაც მრავალი საუკუნის ლიტერატურის ისტორია აქვს და მხატვრული მწერლობის ერთერთ კლასიკურ ქვეყნად ითვლება, ახალგაზრდა მწერლისთვის ძნელია საკუთარი ხმის მიგნება, ძნელია გადაუმღერებელ მოტივის გამონახვა და ახალი სიმღერის წამოწყება. მაგრამ სიძნელემ არ უნდა დაგვაშინოს, სიძნელეების გადალახვასა და მიუვალ ციხე-სიმაგრეების აღებას, სწორედ საბჭოთა ადამიანები — უპარტიო და პარტიული ბოლშევიკები არიან ჩვეულნი.

შეიძლება ვისმეს პარადოქსულად მოეჩვენოს ეს აზრი. თუ უდიდესი კლასიკური მემკვიდრეობა გვაქვს, თუ მრავალი საუკუნის ლიტერატურის ისტორია გვაქვს, თუ გზები უკვე გაკაფულია, სიძნელე სადღა არისო.

საქმე ის არის, რომ თუ კლასიკური მემკვიდრეობა გზას გვინათებს შემოქმედებითს მუშაობაში, თუ კლასიკური მწერლობის ცალკეული ნიმუშები ხელს გვიწყობენ ადვილად ავითვისოთ წერის ტექნიკა, ლექსთწყობის ფორმა, პროზისა და დრამატიულ ნაწარმოებთა სუჟეტი და კომპოზიცია, ხშირად სუსტი ნებისყოფისა და ნაკლები ნიჭის პატრონი მწერალი ადვილად ექცევა რომელიმე კლასიკოსის ბრმა ზეგავლენის ქვეშ, ბაძავს მას და ზოგჯერ უყოყმანოდ გადმოაქვს საკუთარ შემოქმედებაში მზამზარეული ხერხი წერისა და ნაწარმოების საერთო კომპოზიციისა.

ამ ტიპის მწერლები არც თუ თითზე ჩამოსათვლელნი არიან. რომ გადახედოთ უკანასკნელ ორმოცდაათი წლის მანძილზე საქართველოში დაბეჭდილ კრებულს „ჩანგს“, რომელიც თავის დროზე ანთოლოგიის როლსაც ასრულებდა, დაინახავთ, რომ სამოც-სამოცდაათ ავტორიდან, მწერალთა რიგებს შერჩა ათამდე კაცი, დანარჩენები დღესაც ცოცხლობენ ფიზიკურად, მაგრამ მათი მწერლობა რახანია დავიწყებას მიეცა.

თუ თქვენ წაიკითხავთ „დავიწყებულთა“ ნაწარმოებებს იმავე „ჩანგში“, ერთის შეხედვით წუნს ვერ დასდებთ, რითმა-რიტმი, წერტილ-მძიმე, ყველაფერი თავის რიგზეა, მაგრამ საკუთარი ხმა არსად არ ისმის. ასეთი გამვლელი ლიტერატურა და ლიტერატორები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან მწერლობაში, მაგრამ ჩვენ ხომ

ამ ტიპის მწერლები არ გვყავს მხედველობაში, როცა სიძნელეებზე ვლაპარაკობთ. დიდ ლიტერატურულ მემკვიდრეობას დიდი ლიტერატურული მემკვიდრეები შეფერის და ასეთ მემკვიდრეთა შორის მხოლოდ ისინი აღმოჩნდებიან, ვისაც აქვთ საკუთარი მწერლური ხმა. პუშკინის უდიდესი პოეტური მემკვიდრეობის მემკვიდრე ვლ. მაიაკოვსკი სწორედ საკუთარი, მაღალი ხმით მივიდა მეოცე საუკუნის პოეზიაში და ორი მომიჯნე საუკუნე შეერთდა სახელებით: პუშკინი — მაიაკოვსკი.

ამ მოსაზრების თვალსაჩინო დასაბუთებისთვის მივმართოთ ფაქტებს. ცნობილია, რომ ეგნატე ნინოშვილმა მძაფრი საღებავებით დაგვიხატა იმდროინდელი გურიის ცხოვრება. უიშვილი, კაცია მუნჯაძე, მოსე მწერალი. დროიძე, მკლავაძე დაუვიწყარი ტიპებია ქართულ ლიტერატურაში... ნინოშვილის ცალკეული მოთხრობა მეცნიერული სიზუსტით აგვიწერს გურიის მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებას, სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს, მოსახლეობის კლასობრივ დიფერენციაციას. ეს მოთხრობები თავის დროზე უაღრესად აქტუალური იყვნენ და დღევანდელი მკითხველნიც ისეთივე მღელვარებით კითხულობენ მათ, როგორც ნინოშვილის თანამედროვენი კითხულობდნენ.

ახლა ავიღოთ ასეთი შემთხვევა. ვთქვათ ჩვენი მხატვრული ჟურნალების რომელიმე რედაქციაში მოვიდა დამწყები მწერალი, მოიტანა მოთხრობების რვეული, სადაც აღწერილია უიშვილის ბედში მყოფ რომელიმე გლეხის ცხოვრება. ვთქვათ ეს მოთხრობა არანაკლები სიმძაფრითა და მუქი საღებავებით ხატავს უიშვილის მოძმის ცხოვრებას. რედაქცია კითხულობს ამ მოთხრობას და ავტორს ეუბნება — „მოთხრობა ცუდი არ არის, მაგრამ დასაბეჭდად არ გამოდგება“-ო.

დამწყები მწერალი აღშფოთებულია. როგორ, თუ კი ნინოშვილი ბეჭდავდა ასეთ მოთხრობებს და კლასიკოსის სახელი მოიხვეჭა, რატომ მე არ უნდა დამიბეჭდოთ ეს მოთხრობაო?

დამწყებ მწერალს არ ესმის, ან არ უნდა შეიგნოს, რომ ის რაც თავის დროზე უთქვამთ ნინოშვილს, გ. წერეთელს, ჭონქაძესა და სხვებს, გლეხკაცობის სიდუხჭირეზე, დროიძეების წამგლეჯაობაზე, ბახვა ფულავას გამდიდრებაზე, მეჭრთამეობაზე, მაჭანკლობაზე, დღეს უკვე მოძველებული და ეამგადასული ამბავია, მით უმეტეს, რომ იგი დამწყები მწერალი (და განა მარტო დამწყები მწერალი — სახელმოხვეჭილნიც) არამარტო თემატიურად ვარდება კლასიკოსთა ბრმა ზეგავლენის ქვეშ, არამედ სიტყვიერი მასალა, სუუეტი და, წარმოიდგინეთ, მომქმედ პირთა გვარებიც იმავე არსენალიდან გამოაქვს, რომლიდანაც კლასიკოსები სარგებლობდნენ.

ნინოშვილს სჩვევია მომქმედი პირის გვარით გახსნას ტიპის სახე და ხასიათი. უიშვილი, მუნჯაძე, დროიძე, მკლავაძე, მცირიშვილი — თავისთავად იძლევიან სახეებს, თუ ამ გვარს უკან ვინ უნდა იმალებოდეს. მაგრამ, როცა ეს ხერხი გვარების შერჩევისა მოგვიანებით გაიმეორა ზოგიერთმა მწერალმა თავის მეტად სუსტ მოთხრობებში, გამოვიდა ბრმა მიბაძვა ნინოშვილისადმი, და ცხადია, რომ თანამედროვე მკითხველის გაზრდილი გემოვნება ვერ დააკმაყოფილა.

შეიძლება აქ ვინმე შეგვედაოს: თუ თემატიკის ასეთი მოძველება ხდება, მწერალს სხვა არა დარჩენია რა, სწერეს მხოლოდ თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე... მაშინ ხომ უარი უნდა ვთქვათ ისტორიულ თემებზედაც. სწორი იქნება ასე საკითხის დაყენება? რა თქმა უნდა, არა. რადგან საქმე ის კი არ არის, თუ რაზე სწერ, მთავარია — როგორ სწერ, რა სოფლმხედველობა გაქვს, მოვლენებს როგორის თვალსაზრისით აზუქებ.

თემატიკის მოძველება არასოდეს არ ხდება; თემა მუდმივად ცოცხალი და აქტუალურია. საქმე ის არის, მწერალმა თემას მოუნახოს ახალი კუთხე. ცხოვრების ჭეშმარიტ სინამდვილისადმი შეფარდებული, ასახოს ის ახლებურად, საკუთარი მწერლური ძალღონით.

პეტრე პირველის ცხოვრებაზე უამრავი, უაღრესად შავრაზმელური, მონარქისტული და მისტიკური რომანები დაწერილა, მაგრამ ა. ტოლსტოიმ შესძლო დაეწერა უაღრესად აქტუალური საბჭოთა რომანი და მისი დამსახურებაც სწორედ ეგ არის...

გიორგი სააკაძის ცხოვრებაზე საკმაოდ დაიწერა ჩვენში პოემები, რომანები, მაგრამ ეს თემა არ მოძველებულა... სიძნელე კი გაჩნდა. სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი, რომელიც კვლავ შეეცდება ამ თემის დამუშავებას, იძულებული იქნება დასწეროს უკეთესი რომანი თუ პოემა, ვინემ დღემდე დაუწერიათ.

ამიტომ, ქვეყანას, რომელსაც დიდი ლიტერატურა აქვს, სადაც ყოველი ლიტერატურული თემა ხელნახლებია, გზები მრავალგვარად გაკაფული, ძნელია საკუთარი ხმის მიგნება, მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ სიძნელეზე ვლაპარაკობთ და არა შეუძლებლობაზე.

ასეთ საკითხს თავის დროზე ყურადღება მიაქცია პოეზიის მუდამ უჭკნობელმა გენიამ—გოეტემ. ღრმა მრხუცს გოეტეს ახალგაზრდა პოეტი მეიერი ესტუმრა. მეიერმა თავისი ლექსები წაუკითხა მხცოვანს. გოეტემ ლექსები მოუწონა. მეიერი წავიდა. საღამოს გოეტესთან მისი ახლო მეგობარი და მდივანი — იოჰან ეკერმანი შემოვიდა. გოეტემ უამბო ახალგაზრდა პოეტის სტუმრობა და სთქვა: „18 წლისაა, მაგრამ უდიდეს წარმატებისთვის მიუღწევიაო". მოკლე დუმილის შემდეგ ისევ განაგრძო: „მოხარული ვარ, რომ ახლა 18 წლისა არ ვარ. როცა 18 წლის ვიყავი, გერმანიაც 18 წლის იყო და ამიტომ მაშინ რაღაცის გაკეთება კიდევ შეიძლებოდა. ამჟამად მოთხოვნილება საოცრად დიდია და გზები უკვე გაკაფულიაო."

აი, როგორ უფრთხოდა გაკაფულ გზას ზრძენი პოეტი და რაოდენ სიძნელეებს ხედავდა გზების გაკაფვის გამო, მაშინ, როდესაც გერმანული მხატვრული ლიტერატურის გზის გაკაფვის მთავარი ინჟინერი, თვითონ გოეტე იყო. მას არ შეშურდა 18 წლის მეიერის ბედი, მიუხედავად იმისა, რომ მისი ცხოვრების კვირაძალი მოახლოებული იყო.

ჟურ. „ჩვენი თაობის" რედაქციას დამწყები მწერლების მთელი რიგი აკრავს გარშემო. მათ შორის პოეტები უფრო სანუგეშო მდგომარეობაში არიან... ბევრი მათგანი იბეჭდება, რამდენიმე კაცი მწერალთა კავშირის წევრიც გახდა. შედარებით სუსტია პროზის დარგი. ეს გასაგებიცაა; პროზაში მუშაობისთვის დიდ ნიჭთან ერთად საჭიროა ცხოვრების ღრმა ცოდნა..

გოეტე ეკკერმანთან პროზის საკითხებზე საუბრის დროს ამბობდა „იმისთვის, რომ სწერო პროზით, უნდა გქონდეს სათქმელი, იმას კი, ვისაც სათქმელი არაფერი აქვს, მაინც შეუძლია შ ე ა დ გ ი ნ ო ს ლექსი, მონახოს რითმები, ერთ სიტყვას მოჰყვება მეორე და ბოლოსდაბოლოს გამოვა რაღაც, რომელიც თავისთავად არაფერს შეიცავს, მაგრამ მაინც აქვს გარეგნული სახე, თითქო მასში რაღაც იყოს."

და მართლაც თუ პროზაიკოსი ცხოვრებას არ იცნობს, არ იცნობს ადამიანებს და ცხოვრების ღრმა მოვლენებს, ის ვერაფერს თვალსაჩინოს ვერ დასწერს.

პროზის ოსტატი მწერლობაში გამოსვლამდე ცხოვრებაში უნდა იყოს გამოსული, უნდა იცნობდეს იმ ადამიანებსა და მოვლენებს, რაზედაც სწერს, პათეტიური ფრაზები და ახალგაზრდული, ლირიკული ამღერება მას ბევრს ვერაფერს უშველის, — მაშინ, როდესაც პოეტისთვის ეს მონაცემები შეიძლება საკმარისი იყოს იმისთვის, რომ უწვერულვაშო ჭაბუკი მწერლობის რიგებში ჩადგეს.

ამ მოსაზრებას სავსებით ადასტურებს ჟურ. „ჩვენი თაობის" რედაქციაში ახალგაზრდა-დამწყებ პროზაიკოსთა მიერ წარმოდგენილი ნაწარმოებები.

ამ წერილში მიზნად დავისახეთ ახალგაზრდა დამწყები მწერლის ო თ ა რ ჩ ხ ე ი ძ ი ს ძოთხრობების გარჩევა. ო. ჩხეიძე ახალგაზრდა მწერალია. მისი მოთხრობები ნათლად მოწმობენ, რომ ის ჯერ ცხოვრების რთულსა და ღრმა ხვეულებს ნაკლებად იცნობს. მოვლენების ანალიზისთვის საკმაო ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნია. ის გულუბრყვილოდ მიდის მოვლენებთან, ამიტომ მის მოთხრობებს სწორედ გულუბრყვილობისა და ზერელობის კვალი ამჩნევია. სამაგიეროდ, მოთხრობების წაკითხვის შემდეგ, დაკვირვებულ მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რომ თუმცა წარმოდგენილი მოთხრობების დაბეჭდვა ამ სახით შეუძლებელია, მაგრამ ახალგაზრდა ავტორს აქვს უეჭველი მწერლური თვალი, საკმაოდ იცის ქართული ენა და ზოგჯერ სუფეტის გაშლასაც ახერხებს.

ეს სამი პირობა გვაიმედებს, რომ ჩხეიძე თანდათანობით გაიზრდება და ენერგიული შრომით შესძლებს მწერალთა რიგებში ჩადგომას.

ავიღოთ მისი მოთხრობა „ნახუცარი“.

როგორც სათაური გვიჩვენებს, აქ აწერილია ნახუცარ ილარიონის ცხოვრება. ილარიონი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაიპარსა. მასწავლებლობა დაიწყო საშუალო სკოლაში. თანაც სკოლის ფუტკარს უვლიდა. სკოლაში ქართულ ლიტერატურას ასწავლიდა. საგანი შესანიშნავად იცოდა, მაგრამ მშიშარა იყო. პოლიტიკას საოცრად გაურბოდა. სულ იმას ფიქრობდა ცუდი არაფერი წამოვროშოო. ხუცესი, მართალია სავსებით ჩამოშორდა ეკლესიას, მაგრამ ახალ ყოფაცხოვრებას მაინც ვერ შეეგუა. როცა მისი ქალი ნამოჯამაგირალ კომკავშირელს გაჰყვა ცოლად, ილარიონმა იგი ხატზე შერისხა. გავიდა ხანი. ქალი დაორსულდა, მამას წერილი მისწერა შემირიგდიო, მაგრამ ილარიონი ჯიუტობდა... ცოლიც ვეღარაფერს უბედავდა გაჯიუტებულ ქმარს. ერთ დღეს ცნობა მიიღეს „თქვენი ქალი ცუდად არის, მიხედეთო“.

— რა მოუვიდა? — გულისკანკალით წამოიძახა ილარიონმა. და ცოლს მიუბრუნდა — „მიხედე ქალოო“. ცოლი რომ წავიდა, შეწრიალებული ილარიონი ადგილს ვეღარ პოულობდა ოჯახში. ადგა თვითონაც გასწია შვილის ოჯახისკენ. ქალი მკვდარი დაუხვდა.

ილარიონი ხელმეორედ შევიდა ეკლესიაში, ღვთისმშობლის ხატი დაამტვრია და მერე ეკლესიისკენ აღარ გაუხედავს. მალე დედა შვილის დარდს გადაყვა. მარტოდ დარჩენილი ილარიონი მასწავლებლობით და ფუტკრებზე ზრუნვით ირთობდა თავს.

ერთ ღამეს მძინარეს ფუტკრების ზუზუნი შემოესმა. უაზროდ წამოვარდა. სკას მიაშურა. მეორე დღეს სკოლის მოწაფეებმა ნახეს თავგატეხილი ნახუცარი და გაქურდული სკა.

როგორც ვხედავთ გულუბრყვილო მოთხრობაა. მას არ გააჩნია გარკვეული იდეური მიზანდასახულობა. ჩვენის ფიქრით ეს ნამდვილ ამბავს უფრო წაგავს. რომლის მოწმე ჩვენი ახალგაზრდა ავტორი აღმოჩნდა და სრულიად შეულამაზებლად და განუზოგადებლად განიზრახა მისი მოთხრობად დაწერა. ნამდვილი ამბავის მოთხრობის სუჟეტად გამოყენება ცუდი როდია. მაგრამ ყოველი ნამდვილი ამბავი როდია ტიპიური და მისი ფოტოგრაფიული აღწერა როდი იძლევა მოთხრობისთვის საჭირო იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით გამართლებულ სუჟეტს. ასეთ დროს მწერალი ფანტაზიაა საჭირო და ის, რაც სინამდვილეში მოხდა, სულ სხვანაირად აეღერდება მწერლის ოსტატობის მეოხებით.

ავტორს ამ მოთხრობით სურს გვიჩვენოს ნახუცარის გარდაქმნის მომენტები. ის შვილს რისხავს ნამოჯამაგირალზე ცოლად გაყოლის გამო. შვილის სიკვდილი მას აამხედრებს ხატისა და ეკლესიის წინააღმდეგ. ამტვრევს ხატს და ეკლესიაში აღარ შედის. სამაგიეროდ გულმოდგინედ ასწავლის მოწაფეებს და უსასყიდლოდ უვლის სკოლის ფუტკარს. ბოლოს ფუტკრის წერა გახდება. მას ბოროტგამზრახველნი საფუტკრეში მოჰკლავენ, სკას გაქურდავენ და მიიმალებიან. ილარიონი გმირულად ეღუპება... მაგრამ ვინ არიან ეს ბოროტგამზრახველნი, რომელთაც სკაც გაქურდეს და კაციც მოჰკლეს? ამის შესახებ მოთხრობა არაფერს ეუბნება მკითხველს.

გარდა ამისა მოთხრობა ეროგვარ ლიტერატურულ ზეგავლენისგანაც არ არის დაზღვეული. ნახუცარის აღწერაში აქა-იქ გაიელვებენ ნაცნობი ხმები. შეიძლება ეს ავტორის უნებურადაც ხდება. მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა. მოთხრობა საინტერესოდაა დაწერილი, და რომ ის უფრო მეტად განზოგადებული იყოს და იდეურობის თვალსაზრისით გამართლებული, მისი დაბეჭდვა შესაძლო იქნებოდა.

მწერლის თვალისა და დაკვირვების უნარზე უთუოდ ლაპარაკობს მოთხრობის ცალკეული ადგილი. მოთხრობა იწყება დინამიურად. მოხუცი ნახუცრის აღწერაში უთუოდ დაცულია ზომიერება და მოკლე შტრიხები ქმნიან ტიპიურ სახეს ნახუცარისას. ხასიათის გამოვლინებაშიც ერთგვარ ოსტატობას იჩენს ახალგაზრდა ავტორი. მოვიყვანოთ რამდენიმე ამონაწერი.

„ყოველთვის დინჯი და აუჩქარებელი იყო ილარიონი. მუშაობა, ჭამა-სმა, ლაპარაკი ისე ნელი იცოდა, რომ მის შემყურე ძალგატეხილ მოხუცს მადიანად ჩაეთვლიმებოდა. სიარული ხომ, კუ გაასწრებსო, რომ იტყვიან, ისეთი იცოდა. მიუხედავად იმისა, რომ მის ოთახსა (ბინასა. პ. ჩ.) და სკოლას შუა სამოცი საშუალო ნაბიჯი ძლივს იქნებოდა, თითქმის ოც წუთს ანდომებდა მისვლა-მოსვლას. ფეხის ტერფები ცოტა განზე ქონდა გაწეული და ფეხს რომ გადადგამდა, ძვალგაუმაგრებელ ბავშვივით მუხლებში იკეცებოდა. მოწაფეები იცინოდნენ — ხუცესობის დროს ჯორზე ჯდომამ სიარულს გადაჩვია და ახლა ხელმეორედ იდგამს ფეხსო". (დაცულია ავტორის სტილი. პ. ჩ.).

ან კიდევ:

„ამასთან ერთად მშიშარაც იყო ნახუცარი. დაბინდდებოდა თუ არა, ოთახს ჩაიკეტავდა და, რაც არ უნდა გასჭირვებოდა, გარეთ არ გამოიხედავდა... მოულოდნელად, ხვლიკს რომ გადერბინა წინ, კანკალს დაიწყებდა და ერთ სამჯერ პირჯვარი რომ არ გამოესახა, ფეხს ვერ გადასდგამდა. ყველაზე ძალიან პოლიტიკაზე ლაპარაკს ერიდებოდა. სიტყვა რევოლუციონერი. სოციალისტური და სხვა ამისთანა რომ ეხმარა, შიშით გული ელეოდა, ხომ არ შემცდა — მახვილი უადგილო ადგილას ხომ არ გაუსვიო". და სხვ.

ავტორი მსუბუქი ჰუმორის საშუალებით იძლევა ნათელ სახეს ნახუცრისას. საღებავს ზომიერად ხმარობს და ზოგჯერ ორი-სამი ფრაზით ადამიანის ხასიათს ხსნის, რაც უთუოდ დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებითს მუშაობაში.

დაახლოვებით ასევეა დაწერილი მოთხრობები: „ხალხის სამართალი" და „საბრალო". განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს მოთხრობა „საბრალო", სადაც აღწერილია დაბეჩავებულ ობლის საბრალოს ცხოვრება, მისი შესვლა კოლმეურნეობაში, დაწინაურება და ბოლოს კომკავშირის რიგებში მიღება.

აქაც. დინჯად ჰყვება ჩხეიძე საბრალოს ცხოვრებას.

„ქოხის წინ იჯდა საბრალო: წალდი ეჭირა და თოხის ტარს თლიდა. მის წინ თოლია დაყუნცულიყო, ფეხებს ულოკავდა პატრონს. გვერდით ცხვარი იწვა და მადიანად იცოხნებოდა. მამალი მხარზე შემოჯდომოდა საბრალოს და მოსვრილ ნისკარტს მის გაბურძგნულ თმაში ისუფთავებდა. ირგვლივ მიდებული იყო ურმის ჭალები, სალართხეები, ბარის თუ თოხის ტარები. ღობეზე ორიოდ ჯინიც იყო აყუდებული. ოჯახის მოწყობა ჰქონდა მურაზათ ყმაწვილს და რაც ხელიდან გამოუვიდოდა ყველაფერს აკეთებდა".

როგორც ამონაწერიდან სჩანს ჩხეიძე არ ეტანება პრიალა, მაგრამ უშინაარსო ფრაზებს. ის მოკლე წინადადებით, სულდათქმულად ასწერს სურათებს საბრალოს ცხოვრებიდან. დაკვირვებულის თვალით უცქერის საბრალოს ცხოვრების ცალკეულ წვრილმანს. სჩანს, ჩხეიძემ თემის საგანი იცის, იცნობს თავისი გმირის თავგადასავალს და, ამათუიმ ეპიზოდის აღწერისას, გარკვეულ ეფექტს აღწევს.

მწერლური თვალი უთუოდ აქვს ჩხეიძეს.

ავიღოთ ასეთი მაგალითი: კოლექტივში შესვლის შემდეგ საბრალო პირველად აიღებს ფულად თავის ნაშრომს. კოოპერატივში გაემგზავრება, იყიდის რაღაც წვრილმანებს და ხურდას გამოართმევს ნოქარს.

„ხურდად რაღაც შაურები ერგო. იფიქრა, ამას ჯიბეში ჩავიყრი, სხვებსავით მეც გავაჩხარუნებო. მაგრამ შარვალზე ჯიბე არ აღმოაჩნდა და ჭირის ოფლი დაასხა".

ასეთი მოხდენილი ადგილები ხშირ-ხშირად გაიელვებენ ხოლმე ჩხეიძეს მოთხრობებში, მაგრამ მათ დაბეჭდვაზე მაინც თავს შევიკავებდით გარკვეულ მოსაზრებათა გამო. სჯობს ავტორმა პირველი მოთხრობის დაბეჭდვამდე გასწიოს მეტი მოსამზადებელი შრომა. სამახსოვროდ შეინახოს, რამდენიმე სუსტი, „ძვალგაუმაგრებელი" მოთხრობა, ვინემ დაბეჭდოს ერთი ან ორი სუსტი ნაწარმოები, რომელიც შეუმჩნეველი დარჩება ჩვენს მკითხველ საზოგადოებრივობას.

ამ სტრიქონების ავტორის სავარჯიშო რვეულები (ლექსები, პიესები, მოთხრობები, სამი დაუმთავრებელი რომანი) რამდენიმე კილოგრამს აიწონის, სასწორზე რომ დასდოს კაცმა, მაგრამ სადებიუტო ნაწარმოების გამოქვეყნების შემდეგ ამ რვეულებს ერთიც აღარ მომატებია საარქივოდ შესანახად. მოთმინება და აუჩქარებლობა არსად ისე საჭირო არ არის, როგორც მწერლობაში. ძალიან ბევრია იმაზეც დამოკიდებული, თუ როგორის სიძლიერით იწყებს მწერალი დებიუტს. პირველი ნაწარმოების ხმის სიძლიერე ისევე სწყვეტს მწერლის ბედს, როგორც ნაწარმოების პირველი გვერდი (დასაწყისი) და დასასრული გადამწყვეტი მნიშვნელობისაა თვითონ ნაწარმოების ჩამოყალიბების საქმეში.

ისმება კითხვა: ღირს თუ არა ასეთი სუსტი ნაწარმოებების გადაკეთება. მე პირადად ამ შემთხვევაში სავსებით ვიზიარებ უდიდესი რევოლუციონერი მწერლის მაქსიმ გორკისა და დიდებულ გოეტეს აზრს. სუსტი ნაწარმოების გადაკეთება არ ღირს, უკეთესია ავტორმა ახალ მასალაზე იმუშაოს, ვინემ გადაღეჭილ მასალის გადამუშავებას დაუბრუნდეს.

რამდენიმე სიტყვით შევეხოთ ო. ჩხეიძის კიდევ ერთ მოთხრობას „ღალატის მსხვერპლს". თუ მოთხრობები „საბრალო". „ნახუცარი" და „ხალხის სამართალი" სადა ქართულითაა დაწერილი და სისადავით ერთგვარ ეფექტს აღწევს, „ღალატის მსხვერპლში" საწინააღმდეგო მოვლენას აქვს ადგილი. მოთხრობა თავიდან ბოლომდე ყალბია, ყალბია სტილი, მომქმედ პირთა თავგადასავალი. ახალგაზრდა მწერალს, სჩანს ჯეროვანი წარმოდგენა არა აქვს მავნებლობასა და ხალხის მტრების შენიღბულ მოქმედებაზე. მასალის უცოდინარობა, ყალბი სიტუაციების გამოგონება და ნაძალადევობა მავნე გავლენას ახდენს მწერლის სიტყვიერ მასალაზე და უმიზნო პეიზაჟების აღწერისას ვხვდებით ასეთ ენობრივ დამახინჯებებს: „ზაფხულის თაკარა მზე ცის შუაგულ გუმბათზე მ თ ე ლ ი სი ს ა ვ ს ი თ გ ა დ მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ა". „მეორე კი ს ა ხ ე ზ ე გ ა ნ ც ვ ი ფ რ ე ბ ა ა ღ ბ ე ჭ დ ი ლ ი მისდევდა მეგობარს". „თ ვ ა ლ ე ბ ი ჩ ა ც ი ე ბ ი თ დ ა ხ ა რ ა ზ ე და". „მდელოსავით ხშირმა აწეწილმა წარპებმა შეუსვენებლივ დაიწყეს ტოკაობა". „მთელი ორგანიზმით შეჭრილიყო შიგ"... „ქართული მოხდენილი ტანი ვაუკაცური ნაბიჯებით განიერ აივანზე აიტანა". და სხვ.

ეს მოთხრობა, როგორც გამონაკლისი, თავიდან ბოლომდე ასეთი გაპრანჭული, ყალბი და მახინჯი წინადადებებითაა სავსე. ჩვენი ამხანაგური რჩევა იქნებოდა, ჩხეიძე ერიდოს მომავალში ასეთ გამოთქმებს, ერიდოს ისეთ უმიზნოსა და ყალბ პეიზაჟებს, როგორიც ამ მოთხრობის დასაწყისში და შემდეგაც გვხვდება.

დასასრულ, ერთი გაფრთხილება ახალგაზრდა მწერლებს. გამოცდილი ამხანაგების რჩევა-დარიგება, არავითარ შემთხვევაში გაგებულ არ უნდა იქნას, როგორც დადგენილი ლიტერატურული კანონი. ასეთი კანონი არც დაწერილა და არც დაიწერება. მწერლობა უაღრესად ინდივიდუალური მოვლენაა. და ერთი მწერალი მეორისგან მით განირჩევა, რომ მას აქვს საკუთარი სტილი, საკუთარი მეთოდი მოვლენებისა თუ ადამიანების აღსაწერად. რამდენად ერთფეროვანია ამათუიმ ხალხის მწერლობა, ის იმდენადვე ჩამორჩენილია. გამოცდილების გაზიარება ხდება სწავლის თვალსაზრისით, კიდევ მეტი გამოცდილებისა და ცოდნის მარაგის შესაძენად, რადგან ყოველი ჩვენგანი, დამწყები თუ სახელმოხვეჭილი სიბერემდე სწავლობს.

ჩვენს დიად სამშობლოში, დიდი სტალინის ყოველდღიურ მზრუნველობით გაბედნიერებულ ახალგაზრდობას, ყველაზე ხელსაყრელი დრო აქვს, როგორც სწავლისთვის, ისე ბუნებრივი ნიჭის გაფურჩქვნისა და აყვავებისთვის.

„საჭიროა, სწავლა, სწავლა, და კიდევ სწავლა".



ჩარლზ დიკენსი

გასული საუკუნის ბურჟუაზიული რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ინგლისელ მწერალს ჩარლზ დიკენსს მიმდინარე წლის 7 თებერვალს დაბადებიდან 127 წ. შეუსრულდა. იგი დაიბადა 1812 წ. საზღვაო უწყების პატარა მოხელის ოჯახში. დიკენსმა ბავშვობა სიღარიბეში და მძიმე პირობებში გაატარა, ადრიანად იგრძნო კაპიტალისტური ცხოვრების მთელი სისასტიკე. მამის უყაირათობის გამო პატარა ჩარლზი იძულებული შეიქნა ვაჭრის ქარხანაში შავ მუშად მოწყობილიყო და დახმარება გაეწია მოვალეების მიერ ციხეში მოთავსებულ მამისა და ულუკმაპუროდ დარჩენილ საყვარელ დედისთვის. ქარხნის მძიმე პირობებმა კიდევ უფრო დაასუსტა ჩარლზის ისედაც სუსტი ორგანიზმი და მეოცნებე ბავშვად გახადა იგი. ნათესავების დახმარებით, ერთი წლის მუშაობის შემდეგ, ჩარლზი ამოდის ქარხნის ნესტიან სარდაფიდან და სტენოგრაფიის შესწავლას კიდებს ხელს. სტენოგრაფიამ დიკენსს გაუღვიძა წიგნების კითხვის მივიწყებული სურვილი. ახალგაზრდა დიკენსს ორი წლის შემდეგ აღარა აკმაყოფილებს სტენოგრაფია, ანებებს მას თავს და სხვადასხვა გაზეთებში რეპორტიორად იწყებს მუშაობას. დიკენსს რეპორტიორობამ დიდი გამოცდილება მისცა, ხოლო თვითგანვითარების გზით მიღებულმა ცოდნამ — სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის გამბედაობა.

პირველი დიდი ნაწარმოები, რომელიც დიკენსმა შექმნა, იყო „პიკვიკის კლუბი". ეს საქვეყნოდ ცნობილი სატირა ძველს ინგლისზე გამოიცა 1836 წელს, იმ დროს, როდესაც დიკენსი 24 წლისა იყო. 24 წლის დიკენსი უკვე საყვარელი რომანისტი გახდა ევროპისა და ამერიკის ხალხისთვის. „პიკვიკის კლუბმა" იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ის სულ მოკლე ხანში თარგმნილი იქნა თითქმის ყველა ევროპულ ენაზე.

წვრილბურჟუაზიული დემოკრატი მწერალი, რომელიც ვერ ურიგდებოდა მშრომელი ხალხის ველურ ექსპლოატაციას, „პიკვიკის კლუბის" შემდეგ აქვეყნებს ისეთ რომანებს, რომლებშიც მოურიდებლად მხილებულია ადამიანისაგან ადამიანის ჩაგვრის საშინელება.

დიკენსის რომანებში „მძიმე დრონი", „ნიკოლოზ ნიკლბი", „დომბი და შვილი", „ოლივერ ტვისტი", „ცივი სახლი", „მარტინ ჩეზლვიტი", „ამერიკული შენიშვნები" და „დავით კოპერფილდი", მაღალი მხატვრული ოსტატობით არის მხილებული ბურჟუაზიის სიმხეცე და ლიბერალიზმის რაობა. დიკენსის სიმპატია დასახელებულ რომანებში ყველგან მშრომელი ხალხის მხარეზეა. მას სწამდა ბოროტების დამარცხება, სიკეთისა და სიმართლის სრული გამარჯვება. დიკენსი არ იყო მებრძოლი რევოლუციონერი, მას სოციალური ჩაგვრის მოსპობა სურდა მშვიდობიანობის გზით, გრძნობებზე მოქმედების საშუალებით. მისი რომანები უტოპისტ სოციალისტთა მოძღვრების გავლენით არის დაწერილი. მიუხედავად ამისა, დიკენსის ყველა რომანი წარმოადგენს საბრალდებლო აქტს, ბასრ შახვილს კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ამიტომ დიკენსს რეაქციული ბურჟუაზია ყოველთვის თავს ესხმოდა. ინგლისის ბრუჟუაზიას,

რომელიც აშკარად ხედავდა დიკენსის რომანებში თავის სახეს და მოქმედების მხილ-ლებას, სძულდა მწერალი და ეზიზღებოდა მისი თხზულებები.

დიკენსის წინააღმდეგ განსაკუთრებით აღშფოთებული იყო ამერიკის ბურჟუაზია. დიკენსმა 1842 წ. ამერიკაში იმოგზაურა. „პიკვიკის კლუბის“ ავტორს ამერიკის საზოგადოება დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. დიკენსს იქ უმართავდნენ ბანკეტებს, უწყობდნენ კონცერტებს და ქება-დიდებას უძღვნიდნენ. ა. შ. შ. ბურჟუაზია ღრმად იყო დარწმუნებული, რომ გამოჩენილი რომანისტის გონება და გული მოხიბლული იყო „თავისუფალი“ ამერიკის სიმშვენიერით. დიკენსს კი არაფრად მოსწონდა ამერიკის „თავისუფლება“. იგი დაკვირვებით სწავლობდა „ოქროს“ ქვეყანას და ხედავდა, რომ იქ გაბატონებული იყო მონობა. ინგლისში დაბრუნებისთანავე დიკენსმა გამოაქვეყნა ორი რომანი (უფრო პუბლიცისტური ნაწარმოები) „ამერიკული შენიშვნები“ და „მარტინ ჩეზლვიტი“ „ამერიკულ შენიშვნებში“ და „მარტინ ჩეზლვიტში“ დიკენსმა უარყო ამერიკაში მიღებული პატივისცემა და ამერიკა თავისუფლების ჩამხშობ ქვეყნად გამოაცხადა, მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის ბურჟუაზიის დაცემული ზნეობა და განმარტა ამერიკის რესპუბლიკის ბუნება. ამით უკმაყოფილო ამერიკის ბურჟუაზიამ განგაში ასტეხა ჰუმანისტ მწერლის წინააღმდეგ. ამერიკის ბურჟუაზიის განგაშით დიკენსის მაღალი სული და სიმართლის მოყვარული აზროვნება ოდნავ არ შერხეულა. მას სიკვდილამდის არ შეუცვლია თავისი შეხედულება ამერიკაზე.

დიკენსი, როგორც მწერალი, საინტერესოა იმ მხრითაც, რომ მის რომანებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბავშვების სწავლა-აღზრდის საკითხებს. დიკენსმა თავის რომანებში სასტიკად გააკრიტიკა ბურჟუაზიული სკოლა, მათი სწავლის მეთოდები. „დავით კოპერფილდში“ დაგმო ბურჟუაზიული სკოლის აღზრდის შემხუთავი სისტემა. „ნიკოლოზ ნიკლბიში“ და „ოლივერ ტვისტში“ მაღალი ოსტატობით გვიჩვენა ბურჟუაზიული სკოლის მხეცი მასწავლებლების სახე, მათი ცივი სული. დიკენსის საძართლიანი აზრით ბურჟუაზიულმა სკოლამ მრავალ ახალგაზრდას უდროოდ მოუსპო სიცოცხლე, ბევრი ფიზიკურად დაასახიჩრა და უნაყოფო არსებად გადააქცია. მართალია, დიკენსი ბურჟუაზიული სკოლის კრიტიკაშიც არ გასცილებია რეფორმისტულ აზროვნებას, მაგრამ ბურჟუაზიული სკოლის აღწერაში მაინც ბოლომდე რეალისტად დარჩა.

მარქსი და ენგელსი ყოველთვის დიდად აფასებდნენ დიკენსსა და მის შემოქმედებას.

ვლად. ჯიბუტი.

ივანე მაჩაბელი

მიმდინარე წლის თებერვლის 10-ს შესრულდა 85 წელი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის — ივანე გიორგის-ძე მაჩაბლის დაბადებიდან. ივ. მაჩაბელი დაიბადა 1854 წელს 10 თებერვალს სოფელ თამარაშენში.

პირველდაწყებითი სწავლა პატარა ვანომ მიიღო ოჯახში.

მისი პირველი მასწავლებელი იყო პაპიდა ელენე დიასამიძე, რომლისგანაც ისწავლა ვანომ: ხუცური ანბანი, ლოცვები, შემდეგ დავითნი, უამნ-სახარება და საშოციქულო. პაპიდა-მისი დიდად მორწმუნე ქალი იყო და ვანოსაც ასევე ზრდიდა. საერო წიგნების კითხვა მას აკრძალული ჰქონდა. ასეთებს ჩუმად თუ ჩაიგდებდა ხელში და წაიკითხავდა. კითხვით უზომოდ გატაცებული ვანო, სიყმაწვილეშივე ეცნობა „ბარამიანს“, „ყარამანიანს“, „ვისრამიანს“ და სხვა საგმირო და სატრფიალო შინაარსის წიგნებს. წამოზრდის შემდეგ მას ნებას აძლევენ ისარგებლოს პაპამისის მეტად მდიდარი ბიბლიოთეკით. ის ხარბად დაეწაფება და მოკლე ხანში გადაიკითხავს ამ მდიდარ ბიბლიოთეკას, ეს არ აკმაყოფილებს და მეზობლებსა და ნათესავებში ეძებს ახალ-ახალ წიგნებს... წიგნების კითხვა მასში იწვევს თხზვის სურვილს და ისიც თხზავს ლექსებს შინაურებსა და ნათესავებზე, თხზავს უმთავრესად სახუმარო ლექსებს ხაბარდიან კნეინებზე.

8 წლის ვანო მიყავთ თბილისში და აქ ვანოს აღზრდაზე ზრუნავს მისი უფროსი ძმა ვასილი. ძმის ხელმძღვანელობით პატარა ვანო დიდი ენერგიითა და მონდომებით კიდებს ხელს რუსული ენის შესწავლას. ერთი წლის შემდეგ ის წარჩინებულად აბარებს გამოცდას ტფილისის ყოფილ კეთილშობილთა სასწავლებლის პირველ კლასში.

მაჩაბელი ენების სწავლას სიყმაწვილიდანვე ეწაფება და ამაში განსაცვიფრებელ ნიჭსაც იჩენს. მან გიმნაზიაშივე შეისწავლა ლათინური და გერმანული ენები, გიმნაზიაში ყოფნის დროს გიმნაზიის გარეგ მოახერხა ფრანგული ენის შესწავლა, შემდგომში რუსეთსა და საზღვარგარეთ ყოფნისას შეისწავლა აგრეთვე ინგლისური, იტალიური და ესპანური ენები, როგორც აკაკი იგონებს, ის უცხო ენებსა და საგნებს ადვილად იმორჩილებდა.

აღსანიშნავია აგრეთვე მისი არაჩვეულებრივი გატაცება ქართული ლიტერატურის კითხვით. მას ქართულ მწერლობაში განსაკუთრებით მოსწონდა ნიკოლოზ ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე. ამ მწერლების მხატვრულ შემოქმედებას ის ზეპირეთ იცნობდა. გიმნაზიაშივე სერიოზულად და საფუძვლიანად გაეცნო ის შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანს“.

1871 წელს ივანე მაჩაბელი შედის პეტერბურგის უნივერსიტეტში ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე. პარალელურად ერთდაიმავე დროს ესწრება და ისმენს ლექციებს იურისპრუდენციაზე და ამთავრებს ამ ფაკულტეტსაც.

პეტერბურგში 1873 წელს ვანო პირველად ეცნობა პირადად ილია ჭავჭავაძეს, რომელიც მაშინ ჩასულიყო იქ სათავადაზნაურო ბანკის წესდების დასამტკიცებლად.

მაჩაბელი ორ ფაკულტეტზე გამოჩენილ პროფესორთა ლექციებსაც ისმენდა. მენდელეევის, რიხტერის, ვაგნერისა და სხვა დიდ მეცნიერთა ლექციებს არასოდეს არ დააკლდებოდა. განსაკუთრებით გატაცებული იყო მაშინდელი თანამედროვე ლიტერატურით და სისტემატურად ესწრებოდა კაველინის ლექციებს ლიტერატურაზე. ამავე დროს სწავლობდა რუს და უცხოელ მწერალთა მხატვრულ ნაწარმოებებს. მისი საყვარელი უცხოელი მწერლებია: დიკენსი, გოეტე, რუსო, შილერი, შექსპირი, ბაირონი, პუშკინი, დანტე, მოლიერი, ჟორჟ ზანდი და სხვ.

მაჩაბელი არ იყო ცალმხრივად განვითარებული პიროვნება. ის დიდ ერუდიციას ამჟღავნებდა მეცნიერების სხვადასხვა დარგებში. მას სერიოზულად შესწავლილი ჰქონდა არა მარტო ბუნებისმეტყველება, იურიდიული და აგრონომიული მეცნიერება, ის იცნობდა არა მარტო ქართულ, რუსულ და უცხო ერების მხატვრულ ლიტერატურას, არამედ კარგად ერკვეოდა პოლიტიკურ საკითხებშიც და ზეპირეთ იცნობდა თავისი დროის გამოჩენილ პოლიტიკურ მოაზროვნეთა ნაწარმოებებს. მისი საყვარელი საკითხავი წიგნები იყო ჰეგელის, ფურიეს, სენ-სიმონის, ლუი-ბლანის, პრუდონის და სხვათა ნაწარმოებები.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მაჩაბელი მიდის სწავლის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ. იქ მან აირჩია აგრონომიული მეცნიერება და ერთხანს სწავლობს გერმანიაში, შემდეგ გადადის საფრანგეთში, შედის ჰიბოდიერის უნივერსიტეტში, გადადის მონპელიეში, ისმენს ლექციებს სორბონაში და კოლეჟ-დეფრანსში.

80-იან წლების დასაწყისში ივანე მაჩაბელი ბრუნდება საქართველოში ღრმად განვითარებული და დიდად მომზადებული, გულმხურვალე მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ საქმიანობაში, მხარში ამოუდგება დიდ ილიას და მასთან ერთად ეწევა საზოგადოებრივ მოღვაწეობის მძიმე ჯაპანს. პირველ ხანებში ხელს კიდებს კულტურულ მეურნეობას და სამაგალითო ბაღს აშენებს თავის სოფელში, ამასთანავე თანამშრომლობს ჟურნალ „ივერიაში“, სისტემატურად ათავსებს წერილებს კულტურული მეურნეობის შესახებ.

შემდეგ თბილისში გადმოსახლდება და სათავადაზნაურო სკოლის უფროსად ინიშნება. რამდენიმე წლის განმავლობაში არის ჟურნალ „ივერიის“ თანარედაქტორი, შემდეგ „დროების“ რედაქტორი (1880 — 1885 წ.წ.). მუშაობს სათავადაზნაურო ბანკში ილია ჭავჭავაძესთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას იღებს ქართულ კულტურულ საზოგადოებათა საქმიანობაში, განსაკუთრებით დიდია მისი ამაგი ქართული

თეატრალური კულტურის აღორძინების საქმეში, ამ დარგში იგი მუშაობდა ორ ფრონტზე: იყო დრამატიული საზოგადოების წევრი და თავისი პრაქტიკული ენერგიული მუშაობით უზრუნველყოფდა დასის არსებობას წლიდანწლამდე. მეორე მხრივ, შექსპირის ტრაგედიათა მთელი რიგის საუკეთესო თარგმანით გაამდიდრა საერთოდ მთელი ჩვენი მწერლობა და კერძოდ დრამატიული მწერლობა.

ივანე მაჩაბელი იყო წარმომადგენელი იმ ფენისა, რომელმაც შეიგნო კაპიტალიზმის განვითარების მნიშვნელობა, ძალა.

ივანე მაჩაბელი ებრძოდა თავისი დროის, თავისი ეპოქის კონსერვატიულად და კლერიკალურად მოაზროვნე საზოგადოების დამყაყებულ ნაწილს და ამ თავისი ბრძოლით გზას უწმენდდა ჩვენი ხალხის კულტურული და პროგრესიული ცხოვრების განვითარებას.

ბ. მეგუკე.

ოვანეს თუმანიანი

მიმდინარე წლის ოც თებერვალს 70 წელი შესრულდა გამოჩენილი სომეხი მწერლის — პოეტის, ბელეტრისტისა და საზოგადო მოღვაწის ოვანეს თუმანიანის დაბადებიდან.

ოვანეს თუმანიანი ახალი სომხური ლიტერატურის ერთი ფუძემდებელთაგანია. იგი დაიბადა 1869 წელს სოფელ დსეღში (ლორი), ღარიბ ოჯახში.

პირველდაწყებითი განათლება პოეტმა მიიღო თავის სოფელში, შემდეგ შევიდა ჯალალოღლის (სტეფანავანი) სკოლაში, მაგრამ ეს უკანასკნელი ხელმოკლეობის გამო ვერ დაამთავრა, თავი დაანება სწავლას, გადავიდა ტფილისში და სამსახური დაიწყო სომეხთა სასულიერო კონსისტორიაში (საეპარქიო სამმართველო).

ამ სამსახურმა თავისი შინაარსით ვერ დააკმაყოფილა ახალგაზრდა ოვანესის სულიერი მოთხოვნილება, მისი პოეტური ბუნება. აქ, ამ სამსახურში იგი თავს გრძნობდა, როგორც უცხო და მისთვის მიუღებელ ალაგას. ამიტომ რამდენიმე ხნის გაწვალებული სამსახურის შემდეგ თავი დაანება მუშაობას და ხელი მოჰკიდა სამწერლო მოღვაწეობას. მართალია მაშინ მწერლობით ცხოვრება და სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობა მეტად ძნელი იყო, იგი მრავალ გაჭირვებასა და წინააღმდეგობებთან იყო დაკავშირებული, მით უმეტეს ისეთი ჰუმანისტური გრძნობებითა და ხალხის უმწიკვლო სიყვარულით გამსჭვალული ადამიანისთვის, როგორიც იყო თუმანიანი, მაგრამ მან მაინც სიძნელეების გზით სვლა აირჩია, რადგან ამ გზით სვლაში ხედავდა იგი თავისი ხალხისადმი ერთგულ სამსახურს.

ოვანეს თუმანიანის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იყო ტფილისი. აქ იწყებს და შლის იგი თავის სამწერლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. თუმანიანის საზოგადოებრივ მოღვაწეობიდან განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას მის თავდადებულ ზრუნვას ამიერ-კავკასიის მოსახლე ერებს შორის მეგობრობის განმტკიცებისთვის და იმ ეროვნული შუღლის აღმოფხვრისთვის, რომელსაც სთესავდნენ და აღვივებდნენ მეფის მთავრობა და ნაციონალისტური ბურჟუაზია. ოვანეს თუმანიანმა ძალიან ბევრი გააკეთა სომეხი, ქართველი და აზერბაიჯანელი ინტელიგენციის დაახლოვებისთვის.

სამწერლო ასპარეზზე თუმანიანი გამოვიდა 1886 წელს 17 წლის ახალგაზრდა. პირველი მისი თხზულებაა „ძაღლი და კატა". შემდეგ დასწერა „უბედური ვაჭარი", „მარო", „ლორელი საქო", „გუთნის სიმღერა", „აღთამარი", „გიქორი", „პოეტი და ბუზა", „ანუში", „დავით სასუნელი", „ნ. ბარათაშვილი", თარგმნა ი. ჭავჭავაძის ლექსები და სხვა.

ოვანეს თუმანიანს, როგორც მწერალს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ახალი სომხური ლიტერატურის ისტორიაში. მისი შემოქმედებით ტრადიციაზე მრავალი თაობა აღზრდილა. თუმანიანი არის დიდი რეალისტი და ლექსის შესანიშნავი ოსტატია. მისი შემოქმედება სომხურ ლიტერატურაში წარმოადგენს ფორმისა და შინაარსის კლასიკური სრულყოფის ნიმუშებს. ოვ. თუმანიანი ახალი ლირიკული და ეპიკური

პოეზიის ერთერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია. ამ მხრივ მან შეასრულა სომხურ ლიტერატურაში ისეთივე როლი, როგორიც შეასრულა ა. პუშკინმა რუსულ ლიტერატურაში.

იშვიათია მეორე მწერალი, რომელიც ისეთი პოპულარობით სარგებლობდეს თავის ხალხში, როგორც თუმანიანი. ეს უნდა აიხსნას არა მარტო მის ნაწარმოებთა მხატვრული ბრწყინვალეებით, არამედ იმითაც, რომ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე იგი დაინტერესდა თავისი ხალხის ბედით. თავისი პოეტური ჰანგები მჭიდროდ დაუკავშირა ამ ხალხის სულიერ განცდებს. სომეხი ხალხის სულიერი განცდები, მწუხარება და სიხარული, დაუდგრომელი სწრაფვა უკეთესი მომავლისაკენ, თუმანიანმა გადააქცია მხატვრული აზროვნების წყაროდ.

ოვანეს თუმანიანი, უპირველეს ყოვლისა, იყო ჰუმანისტი. ეს ჰუმანიზმი, მიუხედავად იმისა, რომ შეიწოვდა თავისში ევროპული კულტურის საუკეთესო მიღწევებს, მაინც ორიგინალური მოვლენა იყო და ფესვები მას ღრმად ჰქონდა გადგმული სომეხი ხალხის ცხოვრებაში, მდიდრდებოდა საუკუნეების მანძილზე ხალხის მიერ შექმნილი საუნჯით — ფოლკლორით. ძალიან ხშირად, იყენებდა რა პოეტი ფოლკლორს, მას იგი დიდი მხატვრული ოსტატობით ამუშავებდა და ლიტერატურულ ხარისხში აჰყავდა. ისე, რომ არ ღალატობდა პირველადს წყაროს. „ჩემი ლეგენდები და ზღაპრები, — ამბობს თვითონ პოეტი, — აღებული მაქვს ხალხიდან და ხალხურიდან. და ყოველთვის ვცდილობდი და ვცდილობ, რამდენადაც შესაძლებელია, დავრჩე მისადმი (ხალხურისადმი) მახლობელი და მონათესავე“.

ოვანეს თუმანიანი თავის ლექსებში, პოემებში. მოთხრობებში და ზღაპრებში აგვიხატავდა სომეხი მშრომელი ხალხის მძიმე მდგომარეობას, მათ ეროვნულ და კლასობრივ ჩაგვრას, გამოდიოდა ჩაგრულთა მგზნებარე მოსარჩლედ, უკეთესი ცხოვრებისთვის დაუღალავ მებრძოლად. თუმანიანი შესტრფოდა მშრომელი ხალხისა და მოძმე ხალხების ეკონომიური და კულტურული ყოფის აყვავებას. ამ სპეტაკ მისწრაფებას შეალია მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება და შემოქმედება. მწერალი უსაზღვრო სიხარულმა და აღფრთოვანებამ შეიპყრო, როცა ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, შეიქნა სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ძმური ურთიერთობა და შესაძლებელი გახდა მათი ცხოვრების აყვავება.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში თუმანიანმა დაინახა თავისი მრავალი ხნის ოცნებათა განხორციელება. სულით და გულით მივიდა ამ რევოლუციასთან და რევოლუციამაც იგი ღირსეულად დააფასა.

ოვანეს თუმანიანი გარდაიცვალა 1823 წელს კიბოს ავადმყოფობით.

დ. ზ.

ბიბლიოგრაფია

აკაკი ბელიაშვილი — „ახალი მოთხრობები“. „ფედერაცია“. — 1938 წ.

აკაკი ბელიაშვილი საკმაოდ ნიჭიერი ნოველისტია. მისი ნოველები თავისუფლად და მიმზიდველად იკითხება. ბელიაშვილის პატარა მოთხრობებსა და ნოველებში იგრძნობა მწერლის მხატვრული ალღო და გემოვნება. მათი კითხვისას მკითხველი განიცდის როგორც აზრის ზემოქმედებას, ისე ესთეტიკურ სიამოვნებას. „ფედერაციის“ მიერ ამასწინათ გამოცემული „ახალი მოთხრობებიც“ ამას ადასტურებს.

სარეცენზიო წიგნში მოთავსებულია 15 მოთხრობა. მოთხრობა „ახალგაზრდებს“ წიგნის ნახევარზე მეტი უჭირავს. ამ მოთხრობაში მკითხველი ეცნობა საბჭოთა ახალგაზრდობის ბრძოლას ვოლფრამის მოპოვებისთვის. აშკარად სჩანს, რომ ა. ბელიაშვილი დაკვირვებით იცნობს მებრძოლი ახალგაზრდების ცხოვრებას, ფსიქოლოგიას და ნებისყოფას. ვრცელ მოთხრობაში ვხვდებით საქართველოს ახალგაზრდების საუკეთესო წარმომადგენლებს, მათ საქმიანობას და გამძლეობას. მოთხრობის გმირები მერი, ოსიკო, ტიტიკო, დათიკო და სანდრო ყოველგვარი სიძნელეების დამძლევი ადამიანები არიან. ისინი დიდ სიმპატიას იმსახურებენ ახალგაზრდებში. მათი გმირობა და გამარჯვება აღფრთოვანების ცეცხლს ანთებენ მკითხველის გულში. განსაკუთრებით მერი იმსახურებს მკითხველის ყურადღებას. მერის სახით მწერალმა სწორად მოხაზა თანამედროვე საბჭოთა მოწინავე ახალგაზრდა ქალის სახე. ამასთან მოთხრობაში სიყვარულის პრობლემა სათანადო სიმაღლეზეა აყვანილი და გადაჭრილია სწორად.

აკ. ბელიაშვილი დიდ ინტერესს იჩენს სპორტისადმი, იგი კარგად იცნობს სპორტის თითქმის ყველა სახეს და თავისი მომხიბლავი ენით აყვარებს მას მკითხველს. მკითხველი უსათუოდ მოიხიბლება სპორტის იმ დარგებით, რომელსაც აკ. ბელიაშვილის კალამი შეეხო. ბელიაშვილი სპორტს გვიხატავს არა როგორც უბრალო გასართობ საშუალებას, არამედ როგორც დიდი პრაქტიკული და კულტურული მნიშვნელობის მქონე საქმეს.

„ახალგაზრდები“ უსათუოდ დიდი მხატვრული ღირებულების ნაწარმოებია. „ახალგაზრდების“ ენა იტაცებს მკითხველს და აგრძნობინებს მხატვრული სიტყვის სიძლიერეს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მოთხრობის დასასრულს ოსიკოს დღიურები. დღიურები ლირიკული ხასიათისაა. მკითხველი, გატაცებული ოსიკოს სიყვარულით, უსათუოდ ბოლომდე დაძაბული კითხულობს დღიურებს და ელის ოსიკოს ბედის გამარკვევას.

სარეცენზიო წიგნში მოთავსებულ სხვა მოთხრობებს შორის საყურადღებოა „სიხარული“ და „იუსტინეს ხაფანგი“. „იუსტინეს ხაფანგი“ კარგად საკითხავი მოთხრობაა. ამ მოთხრობაში მკითხველი ხედავს, თუ როგორ გატაცებულია ახალგაზრდობა წითელი არმიით. ტიტიკო შეწუხდა, როდესაც მას გამოუცხადეს: ავადმყოფობის გამო წითელი არმიის ნაწილებში ვერ გაგიწვევენო. წითელი არმიის სიყვარულით აღტაცებულ ტიტიკოს ავადმყოფობა არაფრად მიაჩნდა. ოღონდ ჩამდგარიყო საამაყო წითელი არამიის რიგებში. ახალგაზრდების სიყვარული წითელი არმიისადმი აკაკი ბელიაშვილს სხვა მოთხრობებშიც სჩანს. მოთხრობა „სიხარული“ ასახავს წითელი არმიის აღმზრდელობით მუშაობას. მოთხრობის გმირი თედო მთელ დროს სიზარმაცეში, უქნარობასა და ლოთობაში ატარებდა. თედოს მამას, პატიოსან მშრომელ კოლმეურნეს,

თედოს ოინებიდან თავი მობეზრებული ჰქონდა. მაგრამ აი, თედო გაიწვიეს წითელ არმიაში. იქ მან გაატარა რამდენიმე ხანი, ისწავლა ტრაქტორის დაშლა-აწყობა და მართვა. წითელი არმიიდან სოფელში დაბრუნებული თედო უკვე აღარ გავს თავ-მომაბეზრებელ ახალგაზრდას. მშობლებმა ვეღარ იცნეს მასში თავისი წინანდელი თედო, იქე გარდაექმნა წითელ არმიას. ქიტესა განცვიფრებულია ამ მომხდარი ცვლილებებით.

სარეცენზიო წიგნში მოთავსებულ მოთხრობათა შორის კიდევ აღსანიშნავია: „ამბავი რუსთაველისა“ და „ზღაპარი სინამდვილისა“. ორივე მოთხრობა ქართული კულტურის დიდი განძის — „ვეფხის ტყაოსნის“ ისტორიას ეხება. „ამბავი რუსთაველისა“ გადმოგვცემს, თუ როგორ ცდილობდა სამღვდელოება გაენადგურებია რუსთაველის შემოქმედება. „ზღაპარი სინამდვილისა“ ასახავს შაჰ-თამაზის ბრძოლას ქართველი ხალხისა და მისი კულტურის წინააღმდეგ. ორივე მოთხრობაში მწერალს ქართული კულტურის დამცველებად სამართლიანად ხალხი ჰყავს გამოყვანილი. „ამბავი რუსთაველისა“ და „ზღაპარი სინამდვილისა“ მხატვრული სიტყვის თვალსაჩინო ნიმუშებს წარმოადგენენ. სარეცენზიო წიგნში მოთავსებულია ჯანსაღ სატირასა და ჰუმორზე აგებული რამდენიმე მოთხრობა (სახელდობრ: „ანაფორა“, „წუწკი“, „უცნობი“, „კალისტოს გასაჭირი“ და „გზააბნეული“). ყველა ეს მოთხრობა მამხილებელი ხასიათისაა. მოთხრობა „გზააბნეულში“ მწერალი სასტიკად კიცხავს ქალისა და ოჯახის აბუჩად ამგდებ მამაკაცებს. „კალისტოს გასაჭირში“ გამათრახებულია წარმოების ისეთი ხელმძღვანელები, რომლებსაც ყველაფერი აინტერესებთ გარდა წარმოებისა. აკ. ბელიაშვილის ჰუმორი და სატირა ჯანსაღ ხასიათს ატარებს.

კარგია მოთხრობები: „ციალა“, „შეხვედრა“ და „ბეჭედი“.

აკაკი ბელიაშვილის სახით თანამედროვე ქართულ საბჭოთა მწერლობას კარგი ნოველისტი ჰყავს.

მკითხველი.

1939 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამოდის ყოველთვიურად

ხელის მოწერის პირობები:

წლიურად	18 მან.
ნახევარი წლით . .	9 „
ცალკე ნომერი . . .	1 მ. 50 კ.

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპეჩატის რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.